

ლიტერატურული გაზეთი

№10 (386) 23 მაისი - 5 ივნისი 2025

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

გიორგი ლოხუანიძე

მოუცლელის დაკვირვებანი

არ ვიცი, გქონიათ თუ არა ისეთი დღეები, როცა ყველანაირი ცოდნა, რაც ცხოვრებაში დაგროვებთ, უცებ ერთბაშად კარგავს აზრს და ეჭვქვეშ დგება შრომა, რომელიც მის შოვნას დაახარჯეთ. იმ ერთ ზღვრულ წამს მთელი სულიერი მსხემობა მატერიალიზდება და როგორც ყველაფერი ნივთიერის შემთხვევაში, გაიფიქრებ: რისთვის ვწვალობდი, თუკი მთელი ეს ინტელექტუალური ავლადიდება ფიზიკურ გადარჩენაში ვერაფრით გეხმარება, თუ ყველაფრის ბოლო მაინც ფატალური გამოსავალია და აღარაფერი რჩება, რაც ორმოცდაათი წლის შემდეგ ამ სამყაროს შენი არსებობის მჩქეფარებას მკრთალად, თუნდაც ძალზე გაცრეცილად, მაინც შეახსენებს?

ამ შეკითხვების შემდეგ ერთბაშად ძვირფასი სამოსელივით გეძარცვება ყველანაირი გამოცდილება, ყველა ინფორმაცია და ლოცვასავით ბუტბუტებ ლექსებს, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გისწავლია, რომლებიც, აღარც კი გახსოვდა, თუ ოდესმე იცოდით. მაგალითად, „ვაშლი და შაქარი“:

*მაღლა ფოთლებში ელვარებს ვაშლი სისხლივით წითელი,
მას აქეთ-იქით აქანებს სიო საამო და ნელი.*

სიტუაციის მთელი ტრაგიზმი ისაა, რომ ვთქვათ, მომაკვდავის სარეცელთან მჯდომს, რა გევაშლება და გეშაქარება?!

მაგრამ სწორედ ამ ლექსით გახსენდება ყოფითი ბედნიერების ის თავის დროზე შეუმჩნეველი წუთები, როცა მეორეკლასელს, ამ ლექსის დაზეპირებისას რომ წვალობდი, გასამხნეებლად იქვე შენს სიახლოვეს მოფუსფუსე მამამ დაგიძახა:

„რა უნდა მაგის სწავლას?! შენი ტოლი რომ ვიყავი, მაშინ ვისწავლე და დღემდე არ დამვიწყებია!“

ადგება და მთელ ლექსს უშეცდომოდ ჩამოგიკრავს. მამა ამ დროს ორმოცდაათი წლისა თუ იქნება, შენ რვა წლისა ხარ, და სიჭარბის შვილს შენი მშობლები უკვე ღრმად მოხუცებულები გეჩვენება.

ახლა შენ თვითონ იმ ასაკის მამაზე უფროსი ხარ. თავი ისევ ის პატარა ბიჭი გგონია და...

მაღლა, ფოთლებში ელვარებს ვაშლი, სისხლივით წითელი...

გუშინ დილას განსაკუთრებით მეზარებოდა სამსახურში წასვლა. თავი ვაიძულე და წავედი. სისხამ დილით ჩვენი ქუროთი თუ სომეხი მეეზოვე იდგა ყინვაში და გაზონზე დაყრილ წაგავს — ქალაქებს და ვითომ ასეთ მსუბუქ რამეებს — ხელით აგროვებდა. რომ დამინახა, თითქოს ცა გაეხსნა: გამარჯობა! როგორ ბრძანდებით? — დამიძახა ხალისიანად. მივესალმე და ვუთხარი: აი, თქვენისთანა ადამიანების შრომაზე დგას ეს ქვეყანა!

— ღმერთმა დაგლოცოთ! — მომაცხა გახარებულმა და მივხვდი, რომ სიზარმაცე არის მშობელი ყოველგვარი უნიათობისა და დეპრესიისა!

დეტალებზე როგორ არ შეიძლება ვიკამათოთ პროფესიულად, შევაფასოთ, ვინ როგორ წერს, უფრო სწორად, კრიტიკოსებმა იმსჯელონ, თუნდაც ხალხმა — თავის მწერლებზე: მაგრამ საშინლად მაბრწინებს: „ფუ, ესენი არიან მწერლები! უჰ, ესაა ქართული მწერლობა?!“ დიახ, ეს არის! თავისი დიდ-პატარით, თავისი რუსთაველითა და ეკო დეისაძითა თუ ზაზა ბურჭულაძით! ჩვენ გვაქვს ისეთი დიდი და ჰუმანისტური მწერლობა, რაც ბევრ მრავალრიცხოვან ერს შეშურდება. ეპოქები განსხვავებულია, გემოვნებაც განსხვავდება. მაგრამ ისინი არიან მწერლები, მთარგმნელები და ყველა თავისებურად ინახავს ქართულ ენას!

დიდი ხანია, ვიცი, რომ პოეზია ძალიან ცოტას ესმის. ახლა გავიგე, რომ ძალიან ბევრი აგრესიულია იმის მიმართ, რაც არ ესმის.

დღეს ჩემი შვილის მასწავლებელმა საყვედურივით მითხრა: „რაზეც გინდა ველაპარაკებოდე, სულ ღიმილი აფენია სახეზეო“. მერე ამაში ცუდი რა არის, კეთილგანწყობილია და გილმით-მეთქი, ვუთხარი. კი, მაგრამ ხომ არსებობს სერიოზული თემებიცო! — მითხრა. კი, მაგრამ ასაკი აქვს, ისეთი, რა საჭიროა, ჭმუნვა ჰქონდეს აღბეჭდილი სახეზე-მეთქი. შემომხედა და აშკარად მივხვდი, რომ „ჭმუნვაზე“ გაჭედა.

შემოქმედებითი აქტი ფორმისა და შინაარსის ურთიერთგადაკვეთის წერტილია.

ია ხასაია

გითხრა, რომ გზები ბგერებს არ ცვლიან, თუ ხმა ვერ გასცდა ამ თვეს, ამ კვირას? რომ ველარ გავეცი მე ათმარცვლიან სტრიქონს და რამით ველარ გაკვირვებ?.. რომ ერთი ცრემლის ფასად ურვება ხიბლში ცვლის ყოფის ფასადურობას?.. რომ მთვარე წყდება, როგორც ფოლაქი და უგორდება მკერდზე ფილაქანს?.. რომ ცოცხალს, გდებულს სახლთან ჯირკვივით, შინმოუსვლელი მქვია ჯერ კიდევ და ველოდები ჩუმ შეხურვებით რომ გამცეს ჩემმა ნაფეხურებმა?!

IV-V

ფიზიკურად გაანადგურო, მესამე დღეს (ხვალ თუ არა ზეგ) მაინც გაცოცხლდება და თვისებრივად ახალ სინამდვილეს შე-ქმნის. აი, ეს არის სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვა.

როცა ბჭენი ჯოჯოხეთისანი ველარ გე-რევიან!

დრო ყოველთვის იმისაა, რაც გეხალი-სება!

ქრისტე აღსდგა!

ჭეშმარიტად აღსდგა!

მთელ ირანში ნოვრუზის დღესასწაულ-ია და მარტო მე მაქვს ნევროზის დღესასწა-ული.

„მას დღესა ნავროზობასა“..

რუსთველი გახსოვთ?!

ვაჰ, ხალხი იმაზე როგორ იქნება ერთი აზრისა, ღმერთი არსებობს თუ არა, როცა მიწისძვრაც კი ერთი ნაწილისთვის იყო და მეორისთვის — არა?!

არადა, იყო

ადრე რომ იყო მახინჯი პრაქტიკა ქარ-თულ თარგმანში, აწერდნენ, რომ ვითომ ორიგინალიდან იყო შესრულებული თარგ-მანი და სინამდვილეში რუსულიდან თარგ-მნიდნენ, კიდევ გაიგებდა კაცი ამას, საბ-ჭოთა დრო იყო. დღეს რალა გაუჭირდათ, ვთქვათ, რომ გვეუბნებიან ფრანგულიდან ვთარგმნეთო და სინამდვილეში როგორც უხეიროდ ნაოპერაციებ ტრანსებს, სტრი-ქონებს შუა, შიგადაშიგ რუსული ენა უჩ-ანთ.

შუალედური ენიდან თარგმანს არაფე-რს ვერჩი. თავისი ადგილი აქვს და თავის ადგილას ეგებ კარგიც კი იყოს, მაგრამ მთ-ავარი სხვა რამეა — სიმართლე — რაც თე-ალის სინათლეა!

დიდი სიხარულით დავინყე ჩემი უსაყ-ვარლესი მეგობრის თარგმანის კითხვა. ელ ზა მორანტეს „არტუროს კუნძულის“ დარეჯან კიკოლიაშვილის თარგმანი. დღეს შევიძინე. ოღონდ, რამდენიმე გვერდში და-ვრწმუნდი, რომ მეგობრების თარგმანი ჯობს, გამოცემამდე წაიკითხო! გირჩევთ, დაეშუროთ! მაქრო ბაბუშამია, ინტელექტის გამოცემა. დიდი მწერალი იყო. ფემინის-ტებს არ უყვართ ხოლმე ამისი ხაზგასმა, მაგრამ ნამდვილად დიდი მწერალი ქალი!

გუშინ ავტობუსში რომ ავედი, ნანა დეი-და დავინახე. ჩემი უფროსი მეგობრის, დი-დებული პოეტის მამუკა ნიკლაურის მეულ-ლე. სულ წინა სკამზე იჯდა და გვერდით ადგილიც ცარიელი იყო. დავჯექი მის გვე-რდით და დავინყეთ ლაპარაკი. იშვიათად შეგხვდებათ ასეთი ნათელი და კარგი ადა-მიანი, ასეთი ღრმა ქალბატონი, როგორიც ჩემი ნანა დეიდაა. 1960 წლიდან სოლომონ დოდაშვილზე ვმუშაობ, მისი სრული ბიბ-ლიოგრაფია გამოვეციო, საუბრისას მოაყ-ოლა. წელს სოლომონ დოდაშვილის 220 წლისთავი სრულდება და მისი ერთი ნაშ-რომი კრიტიკულად შევისწავლე და გამო-საცემად მზად მაქვსო. მერე თავისი მეულ-ლის, მამუკა ნიკლაურის, ერთი გამოუქვეყ-ნებული ლექსი მითხრა ზეპირად. ნამდვი-ლი შედეგრი. ჩვენ წინ ერთი ქალბატონი იდგა, ჩასასვლელად ემზადებოდა და შევა-მჩნიე, რომ ამკარად გზა დაიგრძელა მეორე გაჩერებამდე. ლექსს უსმენდა. მერე მოგ-ვიბრუნდა და გვითხრა: ბოდიშს კი ვიხდი, უნებლიეთ მესმოდა თქვენი ხმა, მაგრამ რა კარგი ლექსია! ავტორი ვინ არისო. ნანა დეიდამ სახელი და გვარი უთხრა, მე კი დაე-ძინე: ამ ქალბატონის მეუღლე იყო, თანამე-დროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი დი-დი პოეტი! ნანა დეიდამ იუხერხულა. სახე-ზე სინითლემ გადაჰკრა და თავისთვის ჩუ-მად, რალაცნაირად გაუბედავად ჩაილაპა-რაკა: გარდაიცვალა. აბა, ეს არის საქმე? მე დაერჩი და ის კიდევ აღარ არის!

მოვდივართ ავტობუსით. აცხადებს: შე-მდეგი გაჩერება იან ჰომერის ქუჩა.

მე უკვე ტრადიციულად შევბუზღუნებ ირინას: ნეტა, ეს იან ჰომერი გამაგებინა, ვინ იყო.

ვაგრძელებთ გზას. აცხადებს: შემდე-

გი გაჩერება მარკო პოლოს ქუჩა.

— და მარკო პოლოზე რატომ არ გიჩნ-დება პროტესტი? — მეუბნება ირინა, — დიდი დილომი აღმოაჩინა? აქიმოგ ზაურა? განსაკუთრებით შემდეგ გაჩერებასთან კავშირში:

არჩილ მეფის ერთი.

ჩავდივართ...

„ადამიანის გრძნობებს ვუფრთხილდე-ბი ყველაზე მეტადა. რადგან ადამიანი, რაც არის, გრძნობაა. გრძნობა თუ დაიშალა, და-იშლება ადამიანიცა.“

ვზივარ ავტობუსში, მივჩაქჩაქებ და ნა-მომიტივტივდა გონებაში დიდი მწერლის, ოთარ ჩხეიძის „ბორიაცი“.

ვინ იცის, რამდენი წლის წინათ წავიკი-თხე პირველად და პირველივე წაკითხვიდ-ან სამუდამოდ დამამახსოვრდა. ლექსივით არის. არადა, დიდებული პროზაა. დიდი ჰუ-მანისტის შეგონება!

ვერძნობ, ნელ-ნელა როგორ გამომეცა-ლა ყველა სასიცოცხლო ენერგია. ეს სიცი-ვე და თოვლი საკონტროლო გასროლასა-ვით არის. ალბათ ეს არის სიბერე: სიცვიის, თოვლის შიში იქამდე, სანამ თოვლი აღარ შეგამიწებს.

ეს ჩემი მეგობრის, ძალიან კარგი ამერი-კელი პოეტის, ელიზაბეთ სკოტ ტერვოს, წიგნის ქართული თარგმანია (მთარგმნელი ელისაბედ გოგავა). თავის დროზე ლიზი ბე-დისწერამ საქართველოში ჩამოიყვანა და მისი აქ ყოფნა ზუსტად 9 აპრილის მოვლე-ნებს დაემთხვა. იშვიათია საქართველოს ასე გულწრფელად მოყვარული უცხოელი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ტურისტული აღ-ფრთოვანებით კი არა, ნათესავისა და გუ-ლშემატკივრის ნერვებით მიეჯაჭვა. ეს წი-გნი ამ დიდი სიყვარულის დასტურია. საო-ცარი წიგნი საქართველოსა და მის ბრძო-ლაზე საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ!

ლიზი, არ ვიცი, როგორ გითხრა მად-ლობა!

მიყვარხარ, ჩემო დიდო მეგობარო!

რაც დრო გადის, როგორ არაფერი აღ-არ მაცლის ჩემს ნამდვილ საქმეს და ნამდვ-ილ ჩემ თავად ყოფნას.

რამდენი ხანია, ვზივარ, ვასწორებ მეო-თხე წიგნს და წინ ვერ წავედი სულ სხვა რა-ლაცაა უფრო საშური და მოსასწრები.

დავრბივარ და ყურებში მიგუგუნებს ავსიტყვათა ქირქილი:

ვინ ოხერი ხარ?!

ვის რაში სჭირდება შენი „არსთა მესნე-ვი“...

დღეს ერთი ჩემი ფერეიდნელი მეგო-ბრის, ქამრან მიქელანის (კარლო მიქელა-ძის) წყალობით, ერთ საინტერესო კინოჩ-ვენებაზე აღმოვჩნდი კინოთეატრ „ამირან-ში“. საქართველოში მცხოვრებ ირანელებს თავისი ახალი ფილმი წარუდგინა ცნობილ-მა რეჟისორმა სორუშ სეჰათმა, რომელიც გარდა იმისა, რომ აღიარებული რეჟისო-რა, ერთი ძალიან საინტერესო გადაცემაც მიჰყავს, სადაც ირანელ ინტელექტუალებს ეპატიჟება და მსჯელობენ სხვადასხვა საკ-ითხებზე.

დღეს ნაჩვენები ფილმი ჯერჯერობით ირანის კინოთეატრებში არ გასულა. ასე რომ, „ამირანში“ დღეს ამ ფილმის პრემი-ერა იყო.

თუ ფილმის სითამამესა და ირანული კინოსათვის უჩვეულოდ მძაფრ სოციალურ სარკაზმს გავითვალისწინებთ, დიდი შანს-ია, რომ ეს ფილმი რეჟისორის სამშობლო-ში კიდევ კარგა ხანს არ აჩვენონ.

აბსურდის ელემენტებით უხვად გაჯე-რებული კომედია „საუზმე ჟირაფებთან“, რომლის ყურებისას დარბაზში მაყურებლ-ის ხარხარი არ წყდებოდა, როგორც თავად რეჟისორმა ფილმის დაწყებამდე აგვიხსნა, ბოდიშის მოხდისა და პატიების თემას დას-ტრიალებს და სერიოზულად გვაფიქრებს იმაზე, თუ რა შეიძლება ადამიანმა ვერ აპა-ტიოს მეორე ადამიანს, თუკი სიკვდილ-სი-ცოცხლის დილემის წინაშე არ აღმოჩნდე-ბა.

მე ძალიან ვისიამოვნე და გული დამწყ-და, რომ ეს ღონისძიება ქართულმა საზო-

ლიტერატურული გახეთი

გადოებამ არც იცოდა და ქართველ მაყუ-რებელს არ მიეცა ამ ფილმის ნახვის საშუ-ალება.

მე კი რეჟისორიც გავიცანი და მის გა-დაცემაში მიპატიჟებაც მივიღე.

მამის მანქანის ძარაზე გულალმა წევს ორი პატარა ბიჭი. უმცროსი ცას უყურებს და ასძახის: არწივო, არწივო!

ერთი-ორი წლით უფროსი ძმა ნიშნის-მოგებით ეუბნება:

— ეგ არწივი კი არა, ყვავია!

— აბა, არწივს რატომ ჰგავს? — კითხვ-ას შეუბრუნებს უმცროსი.

— მე რა ვიცი! — არხეინად მიუგებს უფროსი.

ეს კადრები, ეს დიალოგი უკვე სრულყ-ოფილი კინოა.

ასე იწყება ირანელი რეჟისორის ბაბაქ ხაჯეფაშას კინოშედეგრი „არღავანის ხის მკლავებში“.

მშობლები იყრებიან. უმცროსი ბიჭი დედასთან რჩება, უფროსი — მამასთან. ძმ-ებს კი ერთმანეთთან დაშორება არ უნდათ და გადაწყვეტენ გაიპარონ.

რა ფასად გვიჯდება იმასთან ყოფნა, ვისთან განშორებასაც სიკვდილი გვირჩე-ვნია.

ამ ფილმით გაიხსნება ირანის კულტუ-რის ცენტრის ორგანიზებული ირანული კინოს ორდღიანი ჩვენება „კინოს სახლში“. ფილმები სპარსულადაა, ქართული სუ-ბტიტრები.

გულწრფელად გირჩევთ, ვისაც ამისი დრო და ნერვები გაქვთ.

დღეს უნივერსიტეტის გამომცემლობა-ში რალაცას თარიღი დავუსვი: 03.02.2025 და იქვე ხმამაღლა აღმომხდა: ბორენას და-ბადების დღე! ლელამ გამიგო, ნიკლაურმა, 17 წლის „ბერდედომ“ და შემომცინა: მე და დედა, სასაფლაოზე რომ მივდივართ ხოლ-მე, ყოველთვის ვჩერდებით ბორენას საფ-ლავთანო!

ლელას მამა, დიდი პოეტი მამუკა ნიკ-ლაური, „ლიტერატურული საქართველოს“ ფანჯრიდან რომ მომკრავდა ხოლმე თვა-ლს, მეტყოდა: მოდი, გიორგი, მოდი! არ არ-ის დღეს მამიდაშენი!

ჩემი მამიდობა ბორენას არგუნა ხუმ-რობით...

ნავიდა ის წლები...

აღარც მამუკაა ახლა და აღარც ბორენა — „მამიდაჩემი“. 58 წლისა გარდაიცვალა — უპასუხო სიყვარულის დიდებულ ასაკ-ში...

ვთარგმნე ეს სპარსული ფილმები. ჩარ-თული მქონდა ფილმი, ვუყურებდი, ვუს-მენდი და ქართულ თარგმანს პირდაპირ ვაკაკუნებდი იმავე ლექტოპზე.

გადაკითხვის ჯერი რომ დადგა, ირინას ვუკითხავ ამ დიალოგებს და ვამოწმებ, რა-მდენად აღიქვამს უცხო ყური იმას, რაც დავწერე.

ერთ-ერთ ფილმში ცოლ-ქმარი ჩხუბო-ბს. გრძელი დიალოგია, თავისი ჩახლართუ-ლი წიაღსვლებითა და ვერბალურ-ემოციუ-რი აფეთქებებით! დედის გინებითა და მა-მის საფლავის ნეკროფილური შებღწე-ვით!

ოხვრით, კვნესითა და გმინვით. მოფერებითა და შერიგების თხოვნით. მისმინა, მისმინა ირინამ და მეუბნება: დამანებე, რა, თავი ეგ კინო ცხოვრება-ში ძაან ბევრჯერა მაქვს ნანახი! არადა, ასეთ კინოს ბევრჯერ ვერ ნახა-ვთ, დამიჯერეთ!

გაცილებით რთულია, ერთ ადამიანს უერთგულო ბოლომდე, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყ-ვე და სიკვდილს არ დაანებო თუ სიკვდილი არ დაანებო, ვიდრე რომელიმე იდეის ერთ-გულება, ზოგადად.

ჩვენ ყველანი სიკვდილს ვებრძვით და ეს ბრძოლა არის ყველაზე ფასეული, რად-გან სიცოცხლისა და თავისუფლების იდეის ერთგულების ყველაზე დიდი გამოხატუ-ლებაა.

წელიწადზე მეტია, მე დავინყებულები მა-ქვს საკუთარი თავი და ჩემი პიროვნული ინტერესები.

მახსოვს მხოლოდ ერთი რამ:

ჩემს შვილებს უნდა გადაურჩეთ და გვე-

ჩანაწერები 3

რდით ჰყავდეთ დედა, რომ მათაც არ გამო-ცადონ ის, რაც მე ძალიან ადრეულ ასაკში სიმწრით გამოვიარე!

რაზეც, სხვათა შორის, ზოგჯერ მწარ-ედ უჭილიკიათ ხოლმე იმ ადამიანებსაც კი, ვინც მე მთელი გულით მიყვარდა და მეგ-ობრად მიმჩნდა. მაგალითად, ფრაზებით: ნუ, ეგ ხო ობოლია! ობლობით სპეკულირ-ებს.

ახლაც ჩუმად ვარ, მომძახიან, რატომ ხმას არ იღებسو, რამე აზრი გამიჩნდება, დავწერ და მოდის ნიაღვარი: რატომ ისე არ ფიქრობ, როგორც მეო.

შემეშვით, თქვენი კვნესამე!

თქვენს თავსა და გასაჭირს მიხედეთ!

„ვის ჭირდება შენი არსთა მესწვეი“....

„მე შენ ხელს არასოდეს ჩამოგართმევ!“

რა ამაღლეუებელია, ღმერთო ჩემო, ეს კინოფრაზები!

სპექტაკლსა და კინოში ამ ფრაზის პას-უხი იქნებოდა:

„შენ რომ მე ხელი ჩამომართვა, მანამდე ხელები კარგად უნდა გქონდეს დაბანილი!“ რაც შეეხება იმას, ვის სჭირდება „არს-თა მესწვეი“.

ერთმა ძალიან კარგმა ადამიანმა მომწ-ერა ამას წინათ. ჩემმა ქმარმა მოიტანა მა-ლაზიიდან სამივე ტომი. სიხარულით ფეხზე ველარ იდგა და მომიყვა:

მალაზიაში, გამყიდველმა გოგონებმა მითხრეს: ამბობენ, დიდი წიგნიაო, მაგრამ ჩვენ გადავხედეთ ხან ერთ ტომს, ხან მეო-რეს და ვერაფერი გავიგეთო!

ამ გოგონების გულწრფელობა ჩემთვის ძალიან დასაფასებელია! აღიარებენ მაინც, რომ არაფერი ესმით! მე ის „გოგოები“ მა-წუხებენ, რომელთაც რაც არ ესმით, ყვე-ლაფერი უფასური ჰგონიათ! პრეტენზიე-ბი კი, იცოცხლეთ, ძალიან დიდი აქვთ და წლითი წლობით მხოლოდ ეს პრეტენზიები ეზრდებათ და საჩვენებელი თითები სხვი-სკენ გასაშვერად!

იორგ ჰენლე ფონდ „ჰორიზონტის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელია, უჭკვიანესი კაცი. ამ საღამოს გერმანიაში ვაცილებდით და კავკასიურ სახლში პატარა წვეულება გვქონდა. ახალგაზრდა თაობის სადღეგრ-ძელოში ბატონმა ჰენლემ ასეთი რამ თქვა: „გერმანიაში, ახალგაზრდებზე როცა ლა-პარაკობენ, ასეთ რამეს უსურვებენ ხოლ-მე, დაე გაიზარდოს მათი ტერფებიო. ეს ერთი შეხედვით უცნაური გამოთქმა კი იმას ნიშნავს, რომ ახალ თაობას წინამორ-ბედთა ფეხსაცმელი ძალიან დიდი არ მოუ-ვიდესო“. მთელი საღამოა ვფიქრობ ამ ნათ-ქვამზე... მართლა რა სამინელებაა, როცა შენი წინაპრების ფეხსაცმელი არ მოგერგ-ება, დიდი მოგივა იმიტომ, რომ მათი აზრო-ვნებისა და ყოფის მასშტაბებს ვერ გასწვდ-ები. ჩემს მასწავლებლებზეც ვიფიქრე, საკ-უთარ თავზეც და ჩემს სტუდენტებზეც... ჩემო საყვარელო ბავშვებო, დაე, გაიზარდ-ოს თქვენი ტერფები! ამაზე კარგი დალოც-ვა მე არ ვიცი...

რამდენჯერმე ისე მოხდა, რომ ირანუ-ლი კინო ჩემთვის საუკეთესო თერაპია აღ-მოჩნდა. ახლა ამ დღეებში, როცა თავს ისე გამოფიტულად ვგრძნობ, რომ ჩემს თავში ველარაფეის გაციეთების ძალას ველარ ვხე-დავ, მხოლოდ ანაზღაურების გამო დავთა-ნხმდი ერთ პროექტს — რამდენიმე ახალი სპარსული ფილმის ქართულად თარგმნას. მეოთხე დღეა, სახლიდან არ გამოვსულვარ და უკვე სამი ფილმი ვთარგმნე. და ისევ ამ ფილმებმა მიშველა.

როგორ მომნატრებია სწორი ადამიანუ-რი აქცენტები.

ერთი რამ, რაც მაოცებს, არ არსებობს ინტელექტუალური თუ სულიერი პრობლე-მა, რამაც კი შეიძლება ადამიანი ჩვენს დრ-ოში შეაწუხოს და ამაზე სპარსულ კინემა-ტოგრაფში არ იყოს ლაპარაკი. ახლა, მაგა-ლითად, ერთ ფილმს ვთარგმნი, სადაც აუ-ტისტ ბავშვზეა სიუჟეტის ერთი მნიშვნე-ლოვანი ხაზი. გაოგნებული ვარ, რა სიღრმ-ითა და სიფაქიზით დაისმის ეს პრობლემა. ან ეს ბავშვი რა სასწაულად თამაშობს.

ბავშვები ირანულ კინოში საერთოდ სრ-ულიად განსაკუთრებული თემაა. სამივე ფილმის შემთხვევაში ფილმს, ძირითადად, სამიდან ათ წლამდე ბავშვები აცოცხლებ-ენ.



 თოვს... და ნაბიჯი დაასვენე,
 საღ მენივ სიტყვა გასამართლებს.
 ღამე ამ კვალის დასასერად
 იმარჯვებს მთვარის სამართებელს.
 ჩაღდა ის ქარი... და ნამქერი
 ახლა სიმშვიდის ბანაკს უვლის,
 ათასი ფიქრი და სათქმელი
 არის წერტილით განასკუვლი.
 ფიფქი ქმნის ახალ ნიშანს სასვენს *
 თოვს... და ნაბიჯი დაასვენე.

თოვლი, რომელმაც აღარ ითოვა,
როგორც ასახდენ სურვილთა ნაღმი,
ექებს ნაბიჯებს, ალბათ თვითონაც
იცის, შეხვედრა ღირდა თუ არ ღირს...

მიყვარს, შენთან რომ ვიხსნი ადვილად
 ნილაბს... და ცრუ ტექსტს არ ვიმეორებ,
 როგორც არტისტი, უკვე ნამდვილი,
 რომ უზრუნდება საგრძნობლოს.

მოვიცვი სარკის სიშიშველ სრულად,
სუყველა ცოდვა ჩამოვიძენძე.
მე მერგო შენი დედოფლის როლი
და მაინც ისევ ახალ როლს ვეძებ.

 მოება სიტყვა იმ ვარსკვლავებს,
 ააციმიციმეს რაც კი მოგეებმა,
 მოიგე ომი,
 მოიგე ფული,
 მოიგე ბოძოლა არენაზე...
 და მაინც, მაინც
 აქამდე გიჭირს
 ყველაზე ნაზი,
 ყველაზე სუსტი,
 ერთი პატარა
 გულის მოგება.

ხიდეbs მიხედუ,
ხედეს და ჯერ
ფიქრი გახედნე,
მე დამიტოვე
წარმოდგენა ჩემი
უნებლად.
როცა საკუთარ
სიმაღლიდან
გადმოიხედავ,
გაგეხსნება კი
ფრთა
მიწაზე
დასაბრუნებლად?!

 ის დროა, როცა ლექსისგან შორს ხარ...
 ან უნდა იყო და გულს ვერ უდებ.
 არ უკირკიტებ ვულფსა და ბორხესს,
 რადგან ახლოა შენი ბერძენი.

ფიქრი იმაზე, რაღაც არ ღირდა,
რომ საუკუნოდ ტყვიელმა გვჯაბნოს,
აგაკრავს სხეულს და პარმალიდან
ეძებ საკუთარ კილიმანჯაროს.

თოვლით ჯერ კიდევ მარაგდებიან
მთები...სად მიდის ნეტავ ორთა გზა?
ან ეს ცრემლები სმარაგდებია
თუ სულიერი მეტამორფოზა?..

ტილოდ ეფინა სველ მინას მური,
შეეცოდნენ შავ პურს და ვოლას,
შორიდან კრთოდა მზე წინამურის
და დაქცეული მასზე სამშობლო

შლდი შეხვედრას, რომელიც დათქვი,
როცა შენს თავთან გქონდა ომი და
გსჯიდა ის სიტყვა, რომელიც არ თქვი
სიმშვიდის ცივი ამბიონიდან.

 უცებ სარკის წინ
 ჩემს სიხარულს და
 ტკივილს შევხვდი,
 თვალი ჩამიკრეს,
 მეც იგივე გავიმეორე.
 ჩემი არ იყოს, მოტეხილხარ, —
 პირველმა მითხრა,
 ახალგაზრდა ხარ ჩემსავითო, —
 მითხრა მეორემ.

როცა სიზმრები ხუნდებიან,
მოდი, ამხსენი ხუნდები ან
კაბით შემოსევ ფერით ბორდოს
ერთი მახარე, როგორ ბარდნის!..
ღელქი ასადე პაოლოსი,
როგორც უჭკნობი პეულები,
ცირები, აქვე მარინები,
ციაგი ჯეჰამარინების...
მე შინ კირჩხიბი, შენ, მორიელს
ფედვამ სიმშვიდის მეომრიალს.
დილამ მომმაღლა სიტამამე,
ვდავათარ დახლთან და

 სიფათ ვარ მე
გულში სურვილის ამხევევის
მერე თითებში ამზინდაა,
თუ ავიხდენდი ყველა სურვილს
იქ, ნაპირალთან კელასურის...
რჩება თამაში უწყინარი,
კოტო კი უწყის ოწინარმა..
თემო ცრემლბაპირს ჯომარდობა,
მიყნის წალმა პირს, ჟამარჯობა!

რა შემშურებია და
გონიერება იმ ლალი ჩიტის,
არასდროს რომ არ იჭრება
შენს ფანჯარაში,
რომელიც ღიაა.

ჩემი კორპუსის აივნიდან
არ ჩანს მთაწმინდა,
მაგრამ ჩანან თვითმფრინავები,
როგორც გადამფრენი ჩიტები,
რომელთაც სამშობლო დააქვთ.

ეს შემოდგომის წვიმაც უჯავშნო
ნდობით როგორი უმეცარია...
და სულ ტყუილად ხსოვნის უჯრაში
ადგილს ვინახავ თურმე ცარიელს...

როცა ქარს სულში არევ-დარევის
ჩაუსახლდება დარიოს, ქსერქსე,
აიღებს ფოთლის მეისტორიე,
რასაც თარიღად წავაწერ ლექსებს.

 ბაქანზე იდგა გოგო თმაშლილი
 და გამოტოვა ბევრი ვაგონი,
 ვაითუ მტრედთა დაპურებაში
 გზა დაავიწყდა და ვერ გაეგნო.

მუბლზე ეხატა სიკეთის ლოგო,
ნამი მარადი მისჩერებოდა,
მე ავედევნე ამ ციდა გოგოს
დიდობის ბოლო გაჩერებიდან.

გისოსებს იქით
გადასული
ტოტებიდან რომ
ბიჭუნამ ვაშლი
ვერ მოიწვდინა,
ფესვი შეტოკდა
გისოსებს აქეთ...

ილიას

აბაიძე! მძიმედ სუნთქავს ენკენისთვე,
წამოკრიფა ნისლი, ფიქრად აშალა...
დავებუნდეთო, — ამბობს ოღლა, — უკან, ისევ...
და ქარს მიაქვს შორით მისი თავშალი...

ოხრავს ეტლი,
ვერშემსწრები ამგვარ რამის,
შიში ჯაბან კაცისაა, ვაი მას!
ილიას კი ელოდება საგურამო,
ეგულება, ვით გოეთე ვაიმარს.

მზე ერვენა რაღაც უცხოდ მენამული,
სანუთრო თუ ნააქსოვდა ბნელ ამბავს...
რა იცოდა, გზა წყაროდან წინამურის
ჩაუვლიდა თუ პილატეს ხელსაბანს!

რა ჩახმახი! რის სასხლეტი!..
 უფალს ვედრებს,
 საქართველო მის გულს ოდენ ებადა!
 აბაიმი! შესწრებოდა ამბავს პეტრე,
 ჯამბაზობა ალბათ ეგონებოდა.

რას სჩადიო?! — განა შიში შეტყობია,
ილია ვარ! — ზარის დარად ისმოდეს!..
ესროლეს და... მან იცოდა, რომ ეს ტყვიან
მაღემსრბოლი იყო მარადისობის.

თუ მეტყევი, ჩემია სიმშვიდის არკადა,
შენი კი ამ სტროფთა ნაქსოვი მაკრამე,
რომ წვიმამ აიღო პირველი აკორდი
და სადღაც პოეტის თითები უკრავენ,

მე მოგცემ ნელებს და მომეცი მკლავი შენ,
რომ ვიგრძნო ძარღვებში მითები მოეთის,
რომ სადღაც სულს შორის
სულ ახლო კლავიშზე
უკრავენ, უკრავენ თითები პოეტის.

რას ვწვალობ, სიტყვა მოვეძებნო და
 მერე გავრიტმო,
ანდა მადლობა გამოგეტყო, მე აბ კდემიან
კლდის ყვევილების ბედი უნდა ვიმპალითო,
ჩუმაღ ხარობენ, მოდიან და ჩუმაღ კვდებიან.

განა ერთნაირი
სიმძიმით
ეცემა წვიმა
ზაფხულში
გვალვისაგან
გამომშრალ ბალახსა და
გაჩერებული ატრაქციონის
ცხენის უნაგირს?..

ტალღა ყავაში გრილი ამინდი
სველი ძაფებით საგა ავბედითს
ექსოვება და გირლიანდების
ხელის შეხება აბა, გაბედეთ! —

დაებერებათ ზღვის ქარებს ნესტო
და უსათუოდ ამინდს აურევს
მობრუნებული თქემებად ტექსტი,
გაგზავნილები უსათაუროდ...

მადლობა ბედის, ნების დამჯერი
კვლავ რომ მაგებებს ღიმილს უშურველს
რომ ჯერაც ჩემი ცრემლების სჯერათ
სასთუმალობის გედის ბუმბულებს.

მენ უკეთ იცი... რომ სიზმრის ამკლებ
ჯერამოუთქმელ სიტყვას სული თლის
კუბოს კარამდე სიყვარულს მაკლებ
კუბოს კარიდან სიყვარულისთვის.

არის ვინმე? — ვკითხავ ჩუმად სახლს, რომელსაც სუროს თმები შეხმობია და ჩარჩოდან გადმოდიან სურათები:

პაპა ჩუმი გახელებით ღობე-ღობე მავთულს ავლებს და ხელები ხმელ-ხმელები ჩქმეტენ სევდის მათუსალებს...

დაუბანგავს ველთა თრიაქს ფერდებთხელი ბორჯი-ოდა ჭინკები კი არაყს ხდიან პაპას თვალთა ბორჯღალოდან.

ფერი ფერთან შეცილებით ზვრის ღარს მისდევს, მიარიკობს, ტევრის ჩრდილქვეშ ეცინება მტევნის მწიფე იამბიკოს.

ეჰა, პაპაც მოიკუზა თუ დაღალა წალდის მორზემ? ნუთუ ნატრობს სოფლის ზურგზე ასფალტების ცხელ-ცხელ როზგებს?..

ჯერ კი უცვლის ბილიკს ურემს, გზას, მასავით ჯავრით ნაცემს დაადგება, მიაშურებს შინ ქალაღდის ჯარისკაცებს,

გაიხსენებს ავიცენას, ვაჟას, გალას გულს უერთებს, ვისზე ნაკლებ ესმის ენა მეტერლინიკის, გოლზუორთის...

მიყუჩდება ჭირი, სნება, დაეხსნება კატა ლოგინს და თვალს მიღმა გაიხსნება განვლილ დღეთა კატალოგი...

თურმე მთვარის კიდე-გული მაშინ იწყებს უცხო ლაპლაპს, ზურგზე სახლაკიდებული სახლიდან რომ მიდის პაპა...

ნება შენია... გეგმავ... წვიმა ცრის... ფაზლს ხაოიანს მიება გლუვი. დღესასწაულობ... მაგრამ ხშირად ცვლის დღესასწაულებს დღეები გლოვის...

თუ მხოლოდ შენგან გამომდინარე სჯი, განზრახვაში იქნებ ავი დევს... ნულარ შეუცვლი სავალს მდინარეს, მდინარემ იცის, საით წავიდეს...

ლარნაკის ყვავილს შურს ყვავილის, ქოთნად რომ ყვავის, ქოთნის ყვავილებს ეხარბებათ ვრცელი ველების... ჩვენ კი ავხედავთ ალბათ შურით სამარის ყვავილს, როცა მიწიდან საბოლოოდ მოვიცელებით...

ღია ფანჯარა, გალიაც ღია, ნუთუ გალიამ შეჩვევა იცის რა არის ფრთა, თუ არ ეძებს ღიობს, დავიწყებია იმ ჩიტსაც ი ცის გალიასავით გულია მჩატე — მოძრავი შკალა ფიქრთა მიმოსვლის, გარეთ სადენზე ჰკიდია ჩიტი, ვით გასაღები ვიოლინოსი.

ეს რუტინული ფიქრი სირბილით რომ ჩაუქროლებს ერთ მისალმებას, შეეპარება ნაბიჯს სირბილე... და ნაოცნებარს, „შეეხვედ სადმე მას...“

დაანაწევრებს როდესაც ქარი უცებ მოვარდნილ იმ ორთა სალამს, შეეფითრება ბაგეზე ცვარი გზაზე ამოსულ იორდასალამს.

ჩრდილი აქვთ ვარდებს, ეკალ-ბარდებს, თურმე ნარცისსაც, რამდენჯერ არის, ხის ჩრდილი სჯობს თურმე კაცისას. სიტყვავ, თუკი ვერ ირომანებ, დარჩი ნოველად. მე მხოლოდ ლექსი დამიტოვე საჩრდილობელად.



ოპტომაზრი, მაზა

შენი სახელი ჩამიქრა სანთელივით. ღარნაკში აწყვია დამჭკნარი ქრიზანთემა. ოთახი ოქტომბრის დღესავით გათენდება და სიზმრებს წაიღებს ქალღმერთი ათენა. მოდი, ამ ხის სარკმელს გამოვადებ, სინათლეს შემოვუშვებ სანახევროდ, რადგან ოთახის ნათელი აღარ მყოფნის, რადგან უმოწყალო ღმერთია სიბნელე! მიგაქვს მსუბუქი სული — აბრეშუმი... მიგაქვს უსაშველო სუნთქვა განშორების... თითქოს ამქვეყნად არავინ გყვარებია, თითქოს ამქვეყნად არც ყოფილხარ!

ჩვენ ვხვდებით არასოდეს

ჩვენ ვხვდებით არასოდეს ბალახთა ჩალისფერში; მიტოვებულ სადგურთა ხმებში; გუმბათებიდან აფრენილი მტრედების ფრთებში; შუაზე გადახსნილი მთვარის წუხილში; აგვისტოთა ნალვლიან ხმაში; წვიმის წვეთთა უსასრულობაში; მუსიკაში, რომელიც რაღაც დაკარგულს გვახსენებს... ჩვენ ვხვდებით იმდენად არასოდეს, რომ არასოდეს ვცემთ ხმას ერთმანეთს. დავიწყებული შესახვევით მივდივართ ერთმანეთისკენ, მორიგეობით, ხელის კანკალით, ვრეკავთ ზარს კარზე, რომელსაც შიგნიდან ჩვენვე არ ვაღებთ, რადგან მკვდრები ვართ, რადგან დიდი ხნის წინ განშორებისას დავიხოცეთ!

წვიმათა აზვისტო. კორტასარი

ვის შეუძლია ამ შუალამით მარტოობიდან ჩემი გარდამოხსნა? ბალიშში ჩავრგავ გახრწნილ სახეს, ვით მარცვალს მიწაში, და ვარსკვლავებს აღარ ავხედავ. შევალ ოთახში და წამოვწვები უხმოდ სანოლზე. ამ დროს კი წვიმათა აგვისტო თავს შემახსენებს და ფანჯრის რაფებზე წვეთებივით გაიხმიანებენ ჩემი ვერნამლერი სიმღერები! შემოვა ვილაც ჩემში, ამ დავიწყებულ სახლში, და მიიტაცებს ჩემსავე მარტოობას, გარდამოუხსნელს, ტკივილიანს...

ჩემი შენდამი

რა მოხდებოდა, არსებულიყო კოცნათა სეზონი, სად ყოველი განშორება გაუქმდებოდა და ყოველი შეყვარებული დაბრუნდებოდა, რათა სამი თვე ძველი სიყვარული ეკოცნა, ეკოცნა...

ახალი ოღისაჲ

მაკოცე, მაკოცე, მაკოცე! სადმე გემით რომ გავემგზავრო და ვერავინ იცნოს ჩემი ნაიარევი სახე, ისე მაკოცე!..

რელსები

რელსები თითქოს უნუგეშოდ გაწვდილი მკლავებია, რომლებიც ვერასდროს იხელთებენ სანატრელ სიყვარულს, რადგან ვერასდროს ვერსად ერთდებიან...

CARPE DIEM

ქუჩას ჩალისფერთმიანი გოგონა ჭრის. გაიხლოვდება. ჯიბიდან ერთადერთ მანდარინს იღებ და ღიმილით უწვდი. აკუთავავას „მანდარინები“ ხომ წაგიკითხავს? — ეკითხები. გაოცება და სიხარული მის სახეზე ერთმანეთს ფარავენ საღებავივით. შენ კი გზას აგრძელებ. უკან არ იხედები. არც უნდა მიიხედო, რადგან პოეტი ხარ, ერთადერთი წამით ცხოვრობ, თითქოს გაქანებული მატარებლიდან შენს კეთროვან ხელებს მართლაც მწიფე მანდარინები ესროლოს ვილაც მშვენიერისთვის...

ღია სტურუას

ქუჩაში დავინახე ღია სტურუა, მშვიდად მოდიოდა აგურისფერში. ვიფიქრე, პირველად მეძლევა შანსი, როგორ არ მივესალმო, ხელი არ ჩამოვართვა. მის წინ დავდექი, მივესალმე. ოდნავი შეკრთა, თვალთა სიღრმიდან ამომხედა — ამომღიმილა. მისივე ლექსის ერთი ფრაზა

ვუთხარი ფრთხილად: „მეტაფორულად კვებიან, ანუ უსაფლაოდ პოეტები — აპოკრიფები...“ — აჰ, ესე იგი, პოეტი ხართ? ნეტა მქონდეს ხელთ წიგნი, გაჩუქებდით... — ჩათვალეთ, მაჩუქეთ მაგ სიტყვით...

მან გამიღიმა. გამოვეთხოვე და ხელის ჩამორთმევისას ხელისგულზე ჩემი გულისფანქარი დავუდე. დახედა. დააკვირდა. ღამაზია, — თქვა და წავიდა. აგურისფერი პოეტი შემოდგომის თბილისის ქუჩის ათას კაცს შეერია და დარჩა მაინც განუმეორებელ ღია სტურუად.

ეს წერილი იმ სპარსული ფილმიდან არ-
ის, რომელიც ახლა ვთარგმნე.
გარდაცვლილი მამა წერს ქალიშვილს,
რომელიც სიცოცხლეში, ბავშვობის მერე
ალარასდროს უნახავს.
რითი არ არის ახლა ეს პოეზია?
„იასამინ, სულზე უტკბესო!
თუ ამ წერილმა შენამდე მოაღწია და ახ-
ლა კითხულობ კიდევ,
ესე იგი, დაბრუნდი!
ესე იგი, მე აღარა ვარ!
ვიცი, კარგი მამა არ ვყოფილვარ.
როცა ბავშვი იყავი, მაშინ მე არ ვიყავი,
რომ ამეხსნა.

ახლა კი უკვე არც მე და არც შენ აღარ
მიგვიწვდება ხელი რამის ასახსენლად.
შეიძლება, მხოლოდ სიყვარულია, რას-
აც არავითარი ახსნა არ სჭირდება.
მაგრამ მინდა, ერთი რამ გითხრა, რაც
არასოდეს მითქვამს:
ჩემო საყვარელო, ჩემი და დედაშენის
გზა და ფიქრი ცალ-ცალკე გალავდა.
მე მინის ჯიშისა ვიყავი, დედაშენი —
ქარის ჯილაგისა.
მისი განზრახვა წასვლა იყო, ჩემი მიზა-
ნი დარჩენა
და ერთად ყოფნა არ გამოგვივიდა.
უეჭველია, ამ დაცალკევებაში, რომელ-
მაც სიცოცხლის დღე ჩამოიბინელა. ერთა-
დერთი ნათელი წერტილი შენ ხარ, იასამინ.
დედაშენის დაჟინებით მოხდა, რომ შე-
ნი ამბავი საერთოდ არ მიკითხავს, მანამ,
სანამ შენს ახალ გარემოს შეეთვისებოდი.
ძნელი იყო, ძნელი...
შენს სიმორესა და შენზე დარდს სალ-
ბუნი არ გააჩნდა

და ეს ჭრილობა მუდმივად მტეხავდა.
ეგებ, მართლაც, ჩემი სრული არყოფნა
უფრო გეხმარებოდა, ვიდრე ჩემი ყოფნა,
ცოტა ყოფნა ან ხანდახან ყოფნა...
ეს დედაშენის თხოვნა იყო და შეკითხვა,
რომლის პასუხიც, მთელი სიცოცხლეა, ვერ
ვიპოვე.
ამ წლებში ერთხელაც არ ყოფილა, რომ
მამაზე ხელჩაქიბებული გოგონა დამენახა
და ყველში ცრემლის ბურთი არ გამჩროდა.
მონატრების მთელ წნეხს კი იმ შეგნე-
ბით გაუქძელი, რომ ჩემი არყოფნით შენს
ზრდას დაეხმარე.
ამქვეყნად არ გამოვიდა, მაგრამ
დარწმუნებული ვარ, ერთ დღესაც ერთად,
ერთმანეთის გვერდით ისევ შევიყვებით!”

ჩვენს სოფელში ერთი გამრჯე კაცი ცხ-
ოვრობდა. მთელი თავისი დღე და მოსწრე-
ბა ცხვრის ფარას დაჰყვებოდა მწყემსად,
ამ თავის ფარაზე იყო გადაგებული და საკ-
უთარი თავისათვის არაფერი ემეტებოდა.
მეტი არც არაფერი აღელვებდა თავის გა-
რშემო. სოფლის ერთმა ახალგაზრდამ ერ-
თხელ ლექსი გამოუთქვა, ჩვეულებრივი,
სახუმარო ლექსი იყო, არც თუ ისე კრიტი-
კული, მაგრამ ამ კაცმა ეს ამბავი ძალიან
განიცადა. საერთოდ, ბუნებით ძალიან ჩუ-
მი და სიტყვაძვირი, გამოვიდოდა ხოლმე
სოფლის ბირჟაზე, ჩამოჯდებოდა თავისთ-
ვის, უსმენდა სხვებს და შიგა და შიგ ამოიგ-
მინებდა: „ლექსი, ლექსი! ლექსმა დამლუ-
პა!”

ამ კაცის გარდაცვალებიდან დიდი ხანი
გავიდა, მაგრამ ეს ამბავი არ დამვიწყებია,
მეტიც, სულ უფრო, ხშირად მაგონდება ხო-
ლმე და მწარედ მეცინება. ეგებ, ჩემი ცხოვ-
რების თავისებური რეფერენია და იმიტომ?

ესე იგი, არ ვიცი, პახმელიაზე ვარ თუ
რისი ბრალია, მაგრამ ამდენი ხეავი თარგ-
მანი რომ გამოდის და უბანძესი ქართულ-
ით, ეგ რალა უბედურებაა! თან განა ვილაც
საშუალოებს კადრულობენ, ქა! პირდაპირ
საოცრებებს მიადგებიან! მოიცა, შვილო
ჯერ სხვა რამეზე ისხავლე და კლასიკოსებ
მერე ნაებლაუჭე! თორემ ამ დალოცვილში,
ძირითადად, ერთხელ ითარგმნება რალაც
და რალა შენ უნდა გააფუჭო?! ნავიკითხავ
სხვა ენაზე — სულ სხვა რამეა, ნავიკითხავ
ქართულად და იმ ორიგინალის ენაზე რომ
ვიკითხო, რომელიც არ ვიცი, უფრო გემოს
ჩავატან, მგონი!

დღეს მთელი დღე უამურად ჟინჟლავს
სტამბოლში და მთელი დღეა, მახსენდება
ლია დეიდას, ჩემი უსაყვარლესი ლია ჩლა-
იძის მიერ თურქულიდან ბრწყინვალედ

გიორგი ლოხუანიძე

მოუცლელის დაკვირვებანი



თარგმნილი ჰალდუნ თანერის ნოველების
კრებული, რომელიც ამ ათი წლის წინათ
გამოსცა „კავკასიურმა სახლმა“ და
რომელსაც ჰქვია „ანვიმდა სტამბოლს“.
მაშინ ლია დეიდამ მითხრა ორიგინალში
ამ ნოველას ჰქვია: „ანვიდა შიშჰანეს“ —
შიშჰანე სტამბოლის ძველი უბანია, მაგრამ
მე ასე შევცვალე სათაური, რადგან შიშჰანე
ქართველი მკითხველისათვის გაუგებარი
დარჩებოდაო.

მე ისიც არ ვიცი, ჩვენი აჯიბადემი რო-
მელ უბანშია. ჩემი სიძე დამპირდა, ირინა
რომ კარგად გახდება, მთელ სტამბოლს
ფეხდაფეხ შემოგატარებო. ირინა დღეს
წამოდგა პირველად და ოთახში დადის,
დაფუსფუსებს. ეს ჯერ მხოლოდ დასაწყი-
სია, მაგრამ თურქი ექიმების მიერ მოხდე-
ნილ ამ სასწაულს ისე შევეყვრებ, როგორც
აღამიანმა წყალზე რომ გაიაროს. მად-
ლობა ღმერთს და აღამიანებს ამ სას-
წაულისათვის!

როცა მცალბა, ოჯახის წევრებს ხანდა-
ხან ვუყვები იმ ამბებს, ამბებს, სადაც მიცხ-
ოვრია, მაგალითად, მუჰამადის ცხოვრების
იმ ეპიზოდებს, რაც მიკვლეია, რალაცებზე
დამიწერია და რალაცები წიგნებს მიღმა
დარჩენილა.

აი, ამ წიგნებს მიღმა დარჩენილ ამბებს
განსაკუთრებული ეშხით ვყვები და მათ
შორის, აიშაზე, რომელიც მუჰამადის უს-
აყვარლესი ცოლი და ძალიან ხასიათიანი,
ერთობ კერპი ქმნილება გახლდათ. მისმი-
ნა, მისმინა, ირინამ და მითხრა: უი, ამის გა-
მო უთქვამს მაშინ კიკნევს: „აირა ალექსან-
დროვნა პროსტა პრელესტ! სლოვნა აიშა უ
მაგამედა“.

გამახსენდა და მოგკვდი სიცილით.
პირველად ვინც ჩემთან ერთად იყო ეგ-
ვიპტეში, იმათ კი ემახსოვრებათ, როგორ
„შექანდა“ ჩემზე იქ გაცნობილი დიდი რუსი
არაბისტი მაქსიმ სერგეის-ძე კიკნევი. მთე-
ლი ის ხანი, რაც კაიროში ვიყავით, გვერდი-
დან აღარ მიშორებდა და დიდად დავმეგო-
ბრდით. მასთან ურთიერთობა კი კიდევ ერ-
თი უნივერსიტეტის დამთავრებას უდრიდა
არაბისტისათვის. დაეყავდი ყველგან და
სიყვარულით მაცნობდა ეგვიპტეს, სადაც
როგორც რუსი დიპლომატის შვილს, თავი-
სი სიტუდენტობისა და ახალგაზრდობის სა-
უკეთესო წლები ჰქონდა გატარებული. და-
ვშორდით, როგორც დიდი და თავგადაკ-
ლული მეგობრები. 2002 თუ 2003 წელს,
გიორგი წერეთლის ხსოვნისადმი მიძღვ-
ნილ დიდ საერთაშორისო კონფერენციაზე,
მაქსიმიც ჩამოვიდა და ერთ საღამოს ვახშ-
მად შინ დავპატიჟეთ. ჩემზე მართლა უც-
ნაურად გიჟდებოდა, მაგრამ ასევე ერთობ
უცნაურად გამოხატავდა მაინც თავის ვე-
ლიკოქერუჯულ შოვინიზმს: მაგალითად,
კარგად რომ შევთვერით და უკვე ღომზე
და ყველზე ვიყავით გადასულები, გამოგ-
ვიცხადა: „ჩტო ტაკოე სოზსტვენო გავარ-
ია კავკაზ — ეტა ჟე ეტნაგრაფია — და თან
ლომს ჩასცქეროდა, მაშინ იყო, ირინამ ლო-
მიანი თეფშები რომ აგვაცალა და გვითხრა:
ა შას დესერტ! უგაშაინეს! ი ვოტ ფრან-
ცუშკიე პიჩენი!”

და სწორედ მაშინ თქვა კიკნევმა ეს ის-
ტორიული ფრაზა, პრინციპში ირინათი მო-
ხიბლულმა, რადგან ჩემგან განსხვავებით,
მისმა უაქცენტო რუსულმა ძალიან გააკვი-
რვა და გაახარა!

ალკოჰოლთან ვერ ვმეგობრობ. შეიძლ-
ება ითქვას, წვეთსაც კი აღარ ვსვამ. მაგრამ
ყოფილა ჩემ ცხოვრებაში ერთი, ახლა უკვე
საფუძვლიანად დავიწყებული ეტაპი, როცა
თურმე ყოველდღე ვსვამდი.
ირინა მიყვება: გკითხე, გიორგი, რა მო-
გვიდა ამდენს რატომ სვამდი? და მიპასუხე:

მინდა, ყველაფერი დავივიწყოო. არადა,
დალევდი თუ არა, ყველაფერი მაშინ გახსე-
ნდებოდა — მთელი 20 წლის წინანდელი
ბოლმებიო.

პარიზში მეორედ მივდივარ. მიუხედავ-
ად იმისა, რომ ფრანგულის სწავლა დაახლ-
ოებით 20 წლის წინათ წამოვიწყე და ამასო-
ბაში ფრანგულად თითქმის თავისუფლად
ვკითხულობ, რა თქმა უნდა, ლაპარაკი მი-
ჭირს იმიტომ, რომ უცხო ენაზე „ენის ამო-
დგმას“ უსათუოდ იმ გარემოში ცხოვრება
სჭირდება. მე კი 2024 წლამდე არასოდეს
მომიხერხდა საფრანგეთში წასვლა. 2024
წელს ფრანგულმა გამომცემლობამ „ლე
კარნე დიუ დესერ დელუნ“ — მა ჩემი ლექსე-
ბის ფრანგული კრებული გამოსცა, ბაჩანა
ჩაბრაძის ბრწყინვალე თარგმანითა და ამ
გამომცემლობის ძალზე პრესტიჟული სერ-
იით „თანადროული ევროპული პოეზია“,
რომელსაც ევროკავშირის სპეციალური
პროგრამა აფინანსებს. წიგნზე მუშაობა
გამოცემამდე დაახლოებით წელიწადნახე-
ვრით ადრე დაიწყო და, არსებითად, მაშინ-
ვე განისაზღვრა, რომ წარდგენას პარიზში
გამომცემლობა გააკეთებდა და ადგილზე
ჩემი და ეკა ქევანიშვილის ჩასაყვანადაც
(რომლის წიგნიც ამავე გამომცემლობასა
და ამავე პროგრამით მაია ქაცანაშვილის
ასევე შესანიშნავი თარგმანით გამოიცა)
თავად ფრანგული მხარე იზრუნებდა.

პრეზენტაციის თარიღი უკვე კარგა ხნ-
ის დანიშნული იყო, როცა ჩემი მეუღლის
უმძიმესი დიაგნოზის გამო სწორედ ამ დრ-
ოს კლინიკაში აღმოვჩნდი.

არაჩვეულებრივი ფრანგული გამომცე-
მლობა საფრანგეთში ათი დღით გვეპატი-
ყებოდა, რომ წიგნების წარდგენა რუანსა
და პარიზში გამართულიყო. მე კი მეუღლეს
გვერდიდან წამითაც ვერ ვცილდებოდი და
ბოლო წუთამდე არ ვიცოდი, საოცნებო სა-
ფრანგეთში წასვლას მოვახერხებდი თუ
არა.

ბოლოს უკვე ჩემმა მეგობარმა, თავისი
საქმის წამდვილმა ჯადოქარმა, პროფესო-
რმა ნინო შარაშენიძემ დამაიმედა: ნუ გეში-
ნია, წადი სამი დღით, ირინას აქ არაფერს
გაუფიქრებთო და დიდი სინდისის ქენჯნი-
თა და სწორიად არეულ-დარეული ჩავედი
პარიზში.

პრეზენტაციამ დიდი წარმატებით ჩაია-
რა და რაც მთავარია, ის პარიზული სამი
დღე ჩემთვის წამდვილი სულის მოთქმა აღ-
მოჩნდა ჩვენი ფრანგი მასპინძლების, იქაუ-
რი ქართველი მეგობრებისა თუ ჩემი ძალი-
ან საყვარელი თანამგზავრის, ეკა ქევანიშ-
ვილის, წყალობით.

ფრანგები თან გადაგვყვნენ და სერიო-
ზულად დამაფიქრეს იმაზე, რომ ქართვე-
ლებზე უკეთესი მასპინძლობა სცოდნიათ
თუ შესძლებიათ. ამ მოგზაურობისას კი ნა-
მდვილი მეგობარი შევიძინე, ჩემი ფრანგუ-
ლი გამომცემლობის ერთ-ერთი დირექტო-
რი პატრიკ ვერშუაიენი, რომლის მსგავსი
დიდებული ადამიანიც ცხოვრებაში მართ-
ლა იშვიათად შემხვედრია. მასპინძლების
ასეთი მცდელობის მიუხედავად მაშინდე-
ლი პარიზული მოგზაურობა მისტიკურ ბუ-
რუსში გახვედრი გზასავით მახსენდება,
თბილისში, საავადმყოფოს პალატაში დარ-
ჩენილი გული და გონება ირგვლივ მკაფი-
ოდ ველარაფერს აღიქვამდა და „ჩემი ძვე-
ლი ნაცნობი“ ეიფელის კოშკიც მაშინ შევა-
მჩნიე, როცა საღამოს სინათლე ჩაირთო და
პარიზის უკვე ხანმოთუელი პატარძალი ჩე-
ვნიგან სულ რამდენიმე მეტრში აციმციმდა.
მაშინაც საშინლად დამწყდა გული, რომ ამ
საოცრებას ირინასთან ერთად არ შევცქე-
როდი.

მაშინ, უკან დაბრუნებისას, პატრიკმა
მინინასწარმეტყველასავით:

„არა უშვს, ამ შენი წიგნი გამო, დარწ-

მუნებული ვარ კიდევ არაერთხელ მოგიწე-
ვს აქ ჩამოსვლა და მერე უკვე მეუღლესთან
ერთადო“.

პირველი მოგზაურობიდან დაახლოებ-
ით წელიწადნახევარში უკვე საქართველ-
ოს „მწერალთა სახლის“ შეთავაზებით, ერ-
თი თვის წინათ, გავემგზავრე საფრანგე-
თის დედაქალაქში პარიზის წიგნის საერ-
თაშორისო ბაზრობის ფარგლებში გამარ-
თულ ქართული პოეზიის საღამოში მონაწ-
ილეობის მისაღებად. თანამედროვე ქარ-
თული პოეზიის და ლიტერატურის წამდვი-
ლი ოსტატების ჯგუფთან მოგზაურობა კი
წამდვილად დაუვიწყარი აღმოჩნდა: პოე-
ტები: ლია სტურუა, ელა გოჩიაშვილი, პაა-
ტა ნაცვლიშვილი და მე, მწერლები — მაკა
ჯოხაძე და კოტე ჯანდიერი.

პოეზიის საღამომ კი ისეთი ოვაციებით
ჩაიარა, რომ ალბათ ჩემგან უხერხული იქ-
ნება ახლა ამაზე ლაპარაკი. საკუთარ თავ-
ზე არაფერს ვამბობ, მაგრამ იმის თქმა ნამ-
დვილად მემამყება, როგორი დიდი აღტაც-
ებით შეხვდნენ ფრანგები ლია სტურუას,
ელა გოჩიაშვილისა და პაატა ნაცვლიშვილ-
ის ლექსების ფრანგულ თარგმანებს, რომე-
ლსაც იმ საღამოს ავტორების მიერ წაკით-
ხულ ორიგინალებთან ერთად ახალგაზრ-
და ფრანგი მსახიობი კითხულობდა. როგ-
ორ ტიროდა დარბაზი ელა გოჩიაშვილის
მოსმენისას, რა სულგანაბულები უგდებ-
დნენ ყურს ლია სტურუას, როგორ გამოაც-
ოცხლა და არტისტული მჩქეფარებით ააე-
სო იქაურობა პაატა ნაცვლიშვილის შეუ-
დარებელმა ლიტერატურულ-მხატვრულ-
მა პერფორმანსმა.

ოდნავ განსხვავებული ფორმატით ჩა-
ტარდა პროზაიკოსებთან შეხვედრა. აქ ძი-
რითადად, ჩვენი ცნობილი მთარგმნელის
და ერთ-ერთ საუკეთესო ლიტერატორის,
დალი იაშვილის თარგმანები იყო წარმო-
დგენილი. ბოლო წლებია, დალი იაშვილი
ინტენსიურად თარგმნის არამხოლოდ ფრ-
ანგულიდან ქართულად, არამედ პირიქით,
ფრანგებსაც აცნობს ჩვენი ქართული პრო-
ზის მიღწევებს. ორი წლის წინათ პარიზში
დალი იაშვილის თარგმნილი მიხეილ ჯავა-
ხიშვილის „ლაშბალი და ყაშა“ გამოიცა,
ერთი წლის წინათ კი ფრანგულადვე დაის-
ტამბა მის მიერ შედგენილი ქართველი პრ-
ოზაიკოსების კრებული, საერთო სახელ-
წოდებით — „ფანჯრები“, რომელმაც მე-
ოცე და ოცდამეერთე საუკუნეების 20
ქართველი ავტორის საუკეთესო ტექსტე-
ბი გააერთიანა. სწორედ ამ კრებულში და-
იბეჭდა კოტე ჯანდიერის მოთხრობაც, ხო-
ლო მაკა ჯოხაძის რომანის ფრაგმენტი
(ერთი თავი) დალიმ სასინჯად თარგმნა და
ამ რომანის გამოცემაც ასევე იგეგმება. მა-
კა ჯოხაძე რომ თანამედროვე ქართული
მწერლობის ერთ-ერთი ცენტრალური
ფიგურაა, ამაზე აღარავინ დავობს, მისმა
ბოლო რომანმა „ისკარიოტის ეკლები“
(რომელიც, სხვათა შორის, შარშან პრემია
„მუზას“ ლაურეატიც გახდა საუკეთესო
რომანის ნომინაციაში) პირადად ჩემს ყო-
ველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ამიტომ ამ ურთულესი რომანის თარგმ-
ნა მსოფლიოს მრავალ ენაზე და მათ შორის
ლიტერატურული სამყაროს უმნიშვნელო-
ვანეს ფრანგულზე ჩვენი კულტურის ღირ-
სების საქმედ მესახება.

წლევიანდელი პარიზის წიგნის გამოფე-
ნის მთავარი სტუმარი ქვეყანა მაროკო
იყო, მაგრამ გამოფენა ქართველების კონ-
ცერტით დაიხურა. „გრანდ პალემი“ შეკრე-
ბილი საზოგადოება დიდი აღტაცებით ის-
მენდა ქართველი სოპრანოს იანოალიბეგა-
შვილის, საოპერო მომღერლის კონსტან-
ტინე ყიფიანისა და მომღერალ ნატო მეტო-
ნიძის არაჩვეულებრივ შემოქმედებას.

ამ გამოფენისათვის ჩვეული რუდუნე-
ბით იმუშავა ქეთევან დუმბაძემ და საქარ-
თველოს „მწერალთა სახლმა“.

საქართველოს წარევანდელი მონანილ-
ეობა კი იმდენად წარმატებული გამოდგა,
რომ ის დღეები არ მშორდებოდა ფიქრი, რა
იქნება, დაიწყოს მუშაობა იმაზე, რომ რამ-
დენიმე წლის შემდეგ სწორედ ჩვენი ქვეყა-
ნა გახდეს პარიზის წიგნის ბაზრობის
„მასპინძელი“ ქვეყანა, როგორც წელს ჩემი
საყვარელი მაროკო იყო.

მართალია, მაროკოს სულ სხვა ფრ-
ანკოფილური ტრადიციები აქვს, ფრანგუ-
ლადაც შეუდარებლად მეტია თარგმნილი
მათი ძველი თუ ახალი მწერლობა, მაგრამ
ფიქტრობ, თუ ყველა ერთად მოვინდომე-
ბთ, ჩვენ ეს ამბლუაჟ მაროკოელებზე არ-
ანაკლებ ღირსეულად გამოგვივა.



ნანა ტრაპაიძე

ნაცრის კვარი

ვუძღვნი ჩემს პირველ მასწავლებელს

დღესაც რომ თაფლი არის მოსაყოლად, დილა და მზეა, განა მწუხრია, ხსოვნაში დამრჩა ჩემი ძველი სკოლა და ახლაც მიმიძღვება ბუხრიან ოთახში, სადაც მიხმობს სიყმაწვილე (ბავშვობის ხანა, ხელუხლებელი), ცხოვრების გზაზე ისევ მიმაცილებს პირველი, ჩემი, მასწავლებელი. ოხშივრით აბნეული ნაცრის კვერი გემასპინძლობს იმ, ზღაპრული, ლადრიდან, ერთმანეთს „მოვუფუნჩხეთ“ ჭყინტი ყველი, ვიგრძენით ღვთიურ მადლის ყადრი და იმ სითბოს ვერაფერი ველარ შეცვლის, ჩვენთვის რომ ინვოდა და ღელავდა, ბუხარში მოგიზგიზე, გულის, ცეცხლი ანთია მისი ხსოვნის კელაპტრად. სიყვარულს, თითო-თითოს, განაპირას, სულში რომ გვიბევრებდა ას ცალად, სითბოში მიყუჟულებს, ბუხრის პირას, პატარებს, მეგობრობა გვასწავლა. ფერად კვალს არაფერი გაუხუნებს (მე უნდა მოვეფერო, აბა ვინ?) რადგანაც ჩემთან ერთად საუკუნეს მოჰყვება ნაცრის კვერის ამბავი.

ოდა გაზაფხულს

გამოთბა, უკვე დღემ მოიმატა, აპრილს სულსწრაფვით მოეჩქარება, ჭიჭყინა მარტი დარჩება მარტად, მარტო და ზამთრის გასახარებლად ქარიან დღეებს მზითვად ნაილებს, მოსწყდება ბუდეს, მმოზღოს სახლისას, დამზრალ თითებზე დათვლის თარიღებს, საქარაშოტეს, ყინვას აპნისად გაიყოლიებს როგორც სჩვევია მერყევ ბუნების წარმოსაჩენად. მე კი — იმედის სხივიხვევია დღეებს შევთხოვე ჩემთან დარჩენა, რომ გაზაფხულზე მარად ყვაოდნენ სურვილის ფარჩა-ვარაყებიან აზარფეშების წყებად, რაოდენ სანატრელი და მისაღებია მწვანე ფარდაგზე ლურჯი ლილილო, თეთრი გვირილა, სოსანი, ანდა, ანაზდად, ას წელს მინდა ვიხილო, ხანდახან არა, კვლავ და კვლავ, კვლავ და ჟანგამქრალ სხივით შევივერცხლები, ქუჩის ლამპიონ-განათებიან, დენის, მავთულზე ჩემი მერცხლები ნოტებივით რომ შემოსხდებიან.

„იჟიდვაჲ“

სულში — დარდი, ჭიშკარს — აბრა, ელდად შემომეფეთება, ეჰ, უმზეოდ რარიგ დაღრა ლხენა და სულისკვეთება.

მოეფერეთ ქართულ მინებს, მიზანსწრაფობს მტერი, ბეცი,

დედასავით დაგაფიცებთ, შვილს ანდერძით გადაეცით.

გზაზე — კენჭო, წყალზე — ხიდო გულზე რომ მელამუნები, არ დატოვოთ, არ გაყიდოთ, არ განიროთ მამულები.

თოვლი

ძველია, არახალია თოვლის უტყვი ახირება, ჩაიქროლეს, რახანია, ბავშვობიდან მარხილებმა.

მივდივარ და შეებით ვუმზერ გზას, სიჩუმის ადევნებით, სახესა და ხელისგულზე მადნებიან ფანტელები.

შორეული და ფერმკრთალი მთები თოვლმა გადათოვა, შემორჩება ჩემი კვალი ნაფეხურებს, დანატოვარს.

დროს და სივრცეს, უსამანოს, ჰორიზონტის ხაზის ხიზანს, სურს, წარსულში დაივანოს, აედევნოს ჯიუტ მიზანს.

ან მერმისში, ან ახლავე გამეცლება ფიქრი უნდო, ვიდრე თოვლში დამარხავენ, ლექსმა სულში დაიბუდოს.

სანამ ცხვირწინ ამაცლიან (კაცი რამდენ ღალატს უძლებს), ქათქათა და რვამარცვლიან ლექსად დარჩეს თოვლი ფურცელს

სხვა დრო

გულს დაშორდნენ დარდები და ხუნდები, ვიცი, მალე თეთრად გაზაფხულდება, ჰე, ზამთარო, ნულარ დაგვიბრუნდები გაზაფხულზე ფიფქებად და გუნდებად, სულის თრთოლვა

ტყემლის ყვავილს მიენდო, ღანვებს ინთებს ატმის გაჩირაღდნებით, ძველო სიტკბოვ და მომავლის იმედო, ხელისგულზე ფანტელივით დადნები, თუ ენძელებს ფეხთით არ უდარაჯე (ცხოვრების გზაც ზამთარივით სრულდება), დრო წავა და... სხვა დრო იტყვის დანარჩენს, იმ სხვა დროში როცა გაზაფხულდება.

მამა

ვუძღვნი მშობლების ხსოვნას

მამა ჩამოვიდა სურებიდან (ათ წელზე მეტია, ველოდები), დედამ გამოაცხო პურები და უმაღ ჩამოართვა ჩემოდნები.

ცხენზე აკიდებულ მძიმე ტვირთად სოფლის შემოდგომა მოგვიტანა, ცრემლი კურცხალივით ამიზვირთდა, იმ დღის ეშხის მადლი,

დამდევს, თანაც, მაჯა გულისცემით ამიჩქარდა, უკვე რახანია ვერსად ვნახე, არსად შემეგება, სიზმრის გარდა, შრომით დაღარული მამას სახე. სახლის ბოძს მიაბა „მურგას“ ღვედი, ულხინს საამაყოდ, სამამაცოდ, „ჭენებ-ჭენებით რომ ჩამოხვედი, რა დროს ცხენიაო, ბერიკაცო?“ დედამ საყვედური მიაგება (მხედრული ამინდი რომ არ იყო), შალი მოასხა და ერთი წყება ხილი ჩემოდნიდან ამოიღო. „ყანაც მოვტეხე და ჭყინტი ტაროც“, თითქოს ჩაგვაბარა ანგარიშად, „მამა, წყალი ხომ არ მოგიტანო?“ „არა, დაჯექიო“, არ გამიშვა. „მინდა, ასე, ყველას ჩაგეხუტოთ, გულის ხვაშიადი გადმოვცალო, მამის თვალის ჩინო, ჩემო ხუთო გვრიტო, სათითაოდ საფიცარო.“ მერე, ჩამომარცვლა

„რაფერ“ ძლებდა, როგორ ჯახირობდა შინ და გარეთ, ბუხრის ხმაურიან ნაპერწკლებთან ნაბლი და სიმინდი მივაყარეთ. წარსულს მიეკედლა,დამიძველდა დედის გამომცხვარი პურები და ზეცას მიაშურა ჩემმა დედამ, მამაც არ ჩამოდის სურებიდან.

თუთა

გარიჟრაჟზე ქარი მღერის, ტოტებგაშლილ თუთას ართობს, ზღაპარივით ერთობ ძველი, ხე,ხნიერი, განა მარტო ამბების და არაკების მომსმენია, მოხრობელია, ჩიტნი, მოაგარაკენი სტუმრობენ და ნობელიანტ მწერლებივით შესანიშნავ ოსტატობით, მოხერხებით იმშვენებენ ნიჭს, ფხას, ნიშას, სტვენა-გალობ-სიმღერები ჩაუქსოვენ ხმაში დარდებს, ყველა მამრი თავს იწონებს, იქნებ, ასე შეუყვარდეთ დამორცხვებულ გულისსწორებს. მიჯნურობის უვლით ჟრჟოლა შოშიებს და მოლალურებს, მოტრფიალე წყვილებს „ბჟოლა“ მნიფე თუთით დააპურებს. რახანია მიინავლა გიშრისდარი სილამაზე, გაუცვეთელ ხიბლის ყავლად მისი ეშხი შევაფასე. მითქმა-მოთქმით, დაბლით-მაღლით ხემ ჰანგი არ აირიდა და ვუსმენდი ჩემი სახლის, ვით ოპერის, აივნიდან. ვიმედოვნებ, მომავალშიც გაგვაკვირვებს რაიმეთი, კვლავ სამოყვრო ტოტებს გაშლის რწმენით, ლხენით და იმედით მგალობელთა ბალდახინებს მწვანე ფარჩად იქონიებს, უბილეთოდ გვასმენინებს არიებს და სიმფონიებს.

წვიმა

წვიმას ლოყას უშვერს ჩემი სარკმლის მინა, სურს, რომ გადაურჩეს სიცხის ბულს და გმინვას.

ალიცლიცდა ცაზე მარგალიტის მძივად და მაჟორულ ხმაზე ცვივა, ცვივა, ცვივა.

მზეს მყის ჩაეთვლიმა, საღამოა შორით, თავს არ ზოგავს წვიმა თქეში, დელგმა, თქორი.

გარეშეს თუ შინას არ დაინდობს ურჩი, კოცნის სარკმლის მინას წვიმა, სველი ტუჩით.



აჰას სიზმარი

ყაყაჩოებით დანიწკლულა
სევდის მინდორი,
აუტანელი სიმარტოვით მინდა,
მტკიოდე,
მზერით, შეხებით,
უსაშველო ხსოვნის სიშორით
დამემართები,
აგაყოლებ მარტივ ტრიოლებს.
წვიმით ნაბანი სუმბულები
სუნთქვას მიწიდან
შემომახვევენ
ნელ-სურნელის გრძნეულ
ბისონებს,
როცა მზის ჩასვლის ამბიონზე
ინვის იზიდა,
ყავლი გაუდის როცა სიტყვებს,
როცა სტრიქონებს!..
აელვარდები, მომერევი
თრობის ამბორით,
დაიტბორება ყველა ისე,
ყველა ამრიგად,
მიზიდავ, მაგრამ წარსულს
უკან ველარ ვაბრუნებ,
ცრემლით ვაგროვებ ლილიფარებს
სავსე მთვარიდან.
სხივებს მიმაგრებს მზე ბავშვობის
სუსტი თითებით,
გეტრფი სტრიქონის ყველა გრძნობის ყველა გამიდან,
არასდროს გეტყვი, ამ ტკივილებს
როგორ ვიტანდი,
მე ნეკნი შენი, უსხეულო
დასაბამიდან.

ერთი მოდის და მეორე მიდის,
ვით ჩემი ეგოს და შენი იდის,
დაშლილი ყორის ნიშანით კითხვის
ეპაექრება სიცოცხლე სიკვდილს,
ცის ნასახლარზე ეკალი ხარობს,
ეპოქა წგრევის ვაშენეთ რისთვის?!
რას გეუბნება შენი გულისთქმა,
რით დააპურებ საკუთარ სინდისს?
ვინ მარგალიტებს დაეძებს ყველგან,
ვინ ღვთიურ სანთელს გროშებად ყიდის!
ვით შენი ეგოს და ჩემი იდის,
ერთია იგიც, დირეც და ხიჭვიც,
აღარც მინდორი,
აღარც ყაყაჩო,
სუნთქვა?
მეტალის
ფილტვებით
მიმდის!

თვითშემეცნების გზები ვეძიე,
გულზე ვაცურე გზები სატივე,
სრულყოფილება თუ ვერ შევძელი,
მოდი, ყველა გზა გამიმარტივე.
რა შუაშია, მაინც ვერ ვხვდები,
ქვეშეცნეულად ან რას ვცითირებ,
დაკარგულ მეს თუ ველარ შევხვდები,
მოდი და ერთხელ გამომიტირე!

ჭეშმარიტება რას შევალიე,
ხან ვნების ჟინით ვკრავდი მანძილებს?!
ცას ვუბრუნებდი მზის რეგალიებს,
წვიმის წვეთებად სულს რომ ამძივებს.
დამოკლეს მახვილს ვაძლეე სამსჯავროს,
გულს მიმსჭვალავდა, მწამდა ის, რისიც,
თუ ვინმეს უნდა, ღმერთი განსაჯოს,
დე, საკუთარი ეყოს სინდისი!

ან არ ეპლავი

იხეე Moritz Eggers-ს

მზერა ტბის ფსკერზე არეკლილი მზეებით იწვის,
ზურმუხტის ფილებს იდუმალი გრძნობებით თლიან,
სულის ემბაზში ვარდისფერი ნისლებით მიწყევ
ყველა ატომი ჩუმდება და პოულობს მთლიანს.
საფეთქლის წილებს
მიმზიდველი მოუჩანთ მშვილდი,
სარკე აგრძელებს რეალობის მაცდურ პორტალებს,
ო, ამ სიჩუმეს მარტოსული მზეების ფლირტით
გადავარჩენდი, ამ ერთხელაც რომ არ მომკლავდეს!
ვტოვებ ანარეკლს, სინამდვილე ქრება ფარფატი,
ცის დეფოლტებით ვეტკეპნები ხსოვნის ბილიკებს,
როკარიუმთა სამეფოში მზერა ფარავნის
თვალს რომ მოგჭრის და ვერასოდეს ველარ ივინყებ!
გზად წეროების ბუდეები შემძრავს ფერწერით,
ბეგქონდარებთან არწივებმაც აღარ დამინდეს,
რატომ მგონია, რომ ფსკერიდან ზეცას შევწვდები,
სიზიფეს ლოდით შევაკავებ გრძნეულ ამინდებს?!
ქვა, ფარავანი, სახარება,
საათი, სარკე,
სარკეში თეთრი,
ისევე თეთრი თმები თოვდება,
ვდუმვარ და ისევე ხელის გულზე

ვისრეს თბილ სანთელს

და ვინვევ ღრუბლებს უხსოვარი ხსოვნის ტოტემად...
ძველი ტაძრიდან არეკლილი ქვათა ლალადი
პიქტოგრაძებად იტვიფრება ხავსიან ნისლში,
და ყველა წუთი ნეტარებით
იხდის პარაკლისს
და ადრენალინს სამუდამოდ მიტოვებს სისხლში!
ო, ეს ბილიკი,
ბილიკები ლურჯი ეკლებით,
ისმის გალობა,
ცას ვატოლებ ცრემლიან განცდებს,
ავეტაძრები ღმერთსაც სულის ანარეკლებით
და ყველა სანთელს შენი სულის მზეებად ვანთებ!

იტირე, მათილდა

არაფერს არ ცვლიან,
არ მცნობენ ის ხმები,
ანცობენ მისნებიც
ცის დასაბამიდან,
ნაბანი წყალივით
სუსტია სიტყვები,
ააღდა ელვებიც
ხილვებად,
განვიმდა...

ამ ციდან გიკრეფავ
ცეცხლოვან სონეტებს,
მირეკლავს მომენტი
უნწყვეტი კადრიდან,

ამინდის პროგნოზიც
ტყვიებით მესროლეს,
რად გინდა?!

ქუჩები ვერ იტევს
გაყინულ მოლბერტებს,
კენკავენ ფოთლები
ფუნჯებსაც ფანჯრიდან,
გაცვეთილ ობერტონს
არ ეყო სუნთქვები,
განმსჯი და

ქარია, ქუჩები
მემსხვრევა ტოტებად,
მომედო ცხელებად,
ციებად ართრიტად,
ვითარცა სონეტის
ცისფერი ტოტემა
ნისლებით ნაორთქლი
ნაილე სანსკრიტად,

ფოთლებსაც გაგატან
ქარვების სუდარით,
მირონი წვეთავდეს
გრძნობების საყდრიდან,
გარე წრეს შეხსენი,
არ ყოფნის ვუალი,
იტირე,
იტირე,
იტირე,
მატილდა!

ალეგანდა,
იცაჰაჰა ჩამთვის

მეგობარ პოეტებს

და იყო მარცხი,
გამარჯვებას უდრიდა ოდეს
და პოეზიის ყვავილებით ცოცხლობდა ღმერთი
სულში, რომელშიც ფორიაქით იხსნიდი კბოდეს...
შენ, სიყვარულის ქალღმერთივით,
ლოტუსებს ჰკრეფდი!

და გალაქტიკა შენს სხეულზე იწყებდა ცეკვას,
ცა — ვარსკვლავებით,
მიწა უფრო სურნელით ძენის,
ეფინებოდი ფანტომებით უხილავ ზეგანს,
როს მთვარის შუქით გახურავდნენ ღვთაებრივ მერდინს!
სადღაც უკრავდნენ ვიოლინოს,
ძერწავდი გამებს,
ინვეფი ანმყოს,
წარსულიდან აწეულ მერმისს,
ქარი რომ ტალღებს სიყვარულის
აფრაზე აგებს
და იმ ზვირთებთან მოთამაშეს
მეც თავბრუ მესხმის.
როგორ მინდოდა,
შენთან ერთად მინდოდა ფრენა,
იმ ფრთაფარფატა სიხარულით
მწყუროდა დაღლა,
როგორ მინდოდა,
რომ მეფრინა ერთხელაც ფრანი,
ილბლის გასაღებს რომ ასწევდა
მზეებზეც მაღლა.
მტკიოდა ფიქრი,
შენთან ერთად მწუსხავდა, ვშიშობ,
ვისაც მარგალიტს ვერ დაუყრი
ვერასდროს ფერხითი
და მე ვიყავი იმ დიადი
ტკივილის პირმშო,
აიზენახში რომ კვდებოდა
გრძნობების ღმერთით!

უსიტყვო

მოგისაკლისე,
ვერ ავანთე
კვესით სანთელი,
ვერც ვარსკვლავები
ვერ ჩავაქრე
გრძნობის ქარაფთან,
როცა უსიტყვო
მონატრების
ცრემლით დავთვერი,
არ დაიჯერებ,
ცა ფიფქებით
ალაპარაკდა...

სანუბაჰო

მიშო-მიქაელს

მე ავაშენე ღვთაებრივი სულის ტაძარი,
ცისკრის ვარსკვლავებს შეეგება ცაზე მზე როცა,
ეს სიყვარულის ამბორია ცეცხლის სადარი,
მსურდა უცრემლოდ, ცრემლებამდე,
თქვენთვის მელოცა.

მხოლოდ აქ მესმის ცეცხლისფერი ზეცის ჩურჩული, ყაყაჩოებით ვეზიარე სულის სერობას, მე ისიც მახსოვს, ფერწასული ღამის ურჩხული როცა სიყვარულს სიყვარულზე მეტად ელოდა. მე იქ ვჩუმდები, სადაც სხვები იწყებენ ლოცვას, არც დაჩოქილი ვანთებ სანთელს ყველა ხატის წინ, რომ სიყვარული უმოწყალოდ გვმარხავს და გვხოცავს, დასერილი მაქვს ამ შეგრძნებით ყველა ღავინი. მე ახლა ისე მენატრები, რომ ვხუჭავ თვალებს, უთქმელი ცაა, უფრო მეტი, ვიდრე ცა ნისლში, მარადისობას არ სჩვევია გვიან და მალე, როცა ჩამჭიდე ხელი, სწორედ მაშინ გაგიშვი. ვაქარვებ დღეებს, მწიფე სევდით ვანთებ კელაპტრებს, ქართლის მინდვრებზე მწველი მზეა ახლა სათიბში, წამებს უსიტყვოდ დაენაფე ბედისწერამდე, ცეცხლისფერ ზეცას დაგიტოვებ ღრუბლის სანიშნით. გაარღვევს სული უსაზომო გრძნობის ჩარჩოებს, დრო ოქროსფერი ანგელოზის სხივით შემმოსავს, ცის ამბიონზე ნეტარების ცრემლებს დავტოვებ, სულის ტაძრებში აენთება ყველა მზე როცა! გიტოვებ სუნთქვას,

ჩვენს შეგრძნებებს გიტოვებ მრწამსად, ვარდისფურცლობის პარტერებში იწვის მაისი, დანალმულია, რომ შეხებაც შეხების წამთა, პირველყოფილი, აფეთქდება, სიღარბაისლით. შენც დაფურცლული გვირილების მზეს ირგებ ტანზე, მე ფეხშიშველა მივტანტალებ, მიდის გზა ნისლით... ო, ღმერთო ჩემო, ნაბიჯები მერევა ცამდე, ამ აღმაფრენას, გთხოვ, სიცელქედ ნულარ ჩამითვლი... ანგელოზები ჩამოდიან წამის ჩურჩულით, მთვარის ღიმილით გამოალებს ცისკარს მზე როცა, ცამდე ავზიდე უკვდავება გრძნობის კუნძულით, ფრთები გავშალე, მსურდა ასე თქვენთვის მელოცა.

პარამეტრები იისფარი გადაშეტებით

მომენატრები, დუმილს ვაჩვენე უთქმელ სტრიქონებს, გაზაფხულამდე შემორჩენილ ათ დღეს ვიპარავ, წვიმის წვეთებით მოცაცაცხე მზეებს ვიგონებ და მზიურ ქარში მოციალე მფეთქავ ცის პარნასს. ხელისგულები დამწვარი მაქვს, ცეცხლში ვიარე, თეთრი სუდარა დავაფარე ხსოვნის თარიღებს, ცა ვერასოდეს ვერ დაიტევს გრძნობის ნიაღვრებს, გაავდრებამდე მზერა რაა? მზეებს ვარიგებ! ვტოვებ ქარიშმებს, აგინწნავს ვიდრე ქარი თმებს, გარითმე ფიქრი, სიყვარულის ცეცხლიც ქარითვე და ვიდრე სუნთქვას სინანულის ცრემლად ამინთებ, მონატრებამდე ბროწეულის რტოებს დაგიფენ, რომ ცეცხლად იქცეს შესუდრული გრძნობა ყოველი და სიყვარულის გადაინვას ყველა კარიბჭე!.. ღამეს ათევენ თვითმკვლელობის ცივი დღეები, ამაჩემდები, მზერა რაა, მზეებს ავითრევ, პარამეტრების იისფერი გადამეტებით გადამედები, ვერ გიპოვი ვერსად წამით ვერ! ფეხისგულებიც დამწვარი მაქვს, ცეცხლში ვიარე, მე ვარ ჩურჩული, ნაომარი მიწის მრეელიდან, მე ის ლოცვა ვარ, უსახელო, როცა ნიაღვრებს ცრემლი მოჰქონდათ სიმარტოვის ბედისწერიდან!.. მომენატრები, მომენტები წვავენ სტრიქონებს, გაზაფხულამდე შემორჩენილ ათ დღეს ვიპარავ, სველი ქვის სურნელს, ნისლისფერი სევდით ფსიქორებს, ვიგონებ ისევ, ველოდები, ვზეობ ცის პარნასს!.. ფოთოლცვენაა, დაბრუნდები ალბათ ოდესმე, დრო უძლურია, ატუზულა ღამის სიზმართან.

თავისუფლების სიზმარეული გრძნობა,
თოვლი და ისევ ჯერარგანცდილი წამი,
პირველყოფილი, ლურჯი იებით თრობა,
გთმობდი და ისევ იმ მონატრებით მწამდი.
ასხლეტა წამის,
მზით დაჩხვლეთილი ფიქრი,
ვითვლი და ისევ ველარც გვირილებს ეხედავ,
გამეფებულა სიცარიილე ირგვლივ,
რომ მოსულიყავ,
რა იქნებოდა ნეტავ?
თვალის გუგებში სიმარტოვეა მხოლოდ,
ანარეკლებიც სადღაც გამქრალან, სადღაც...
ასე იციან თოვლის ფიფქებმა
ბოლოს,
რომ შეხებამდე
თავს მოიკლავენ,
სად ხარ?..

რეკვიემი

იქ ღმერთი იყო და თოვდა მაშინ, იქ იყო ხვატიც ხილვების ხატად, იქ იყო სითბო, მამა და სახლი, თითქოს ფიფქებიც რჩებოდნენ სახტად

და ჰქონდა ღამეს სიზმრების ფერი, ქარი არწევდა სურნელის არფას ვარდის ფურცელზე იების მტვერით, მთის მწვერვალებზე წვებოდა დაფნა... ნეტავ თუ საით მივდივარ? გეძებ, ქარში რომ ვფანტავ ზეარსულ ლოცვანს, ველარც ბუდეში ვპოულობ მერცხლებს და ფეხქვეშ მიწა მეცლება, როცა ვიღებავ სახეს წითელი ინით, კვერცხიც აღდგომის მედება ცეცხლად, ხსოვნის რაბათზე დევს საუკუნე სულგაყიდული ოცდაათ ვერცხლად! ცას დახუჭული თვალებით ვუმზერ, ქარში რომ ვფანტავ ზეარსულ ლოცვანს, ვაითუ ველარ დამიფენ სულზე, ვაითუ ველარ მოგისწრო ცოცხალს! სულს მონატრებით დამცდები სულმზე, პურის ყანების სურნელით მმოსავს, ვიდრე ნისლები საფლავის ქვებზე სანთლად ანთებენ კუნელს და მოცხარს, ნაგვემი ცრემლის სიბეცით ფეთქავს ძახველის სისხლით დამზრალი გონი, რომ შეჰყინვია გაძარცვულ ძელქვას, იმ ფოთლებივით გიკვდები, მგონი, მოწვეთავს ნისლიც მზეების სისხლით და ველარ ვყოფნი გაყოფილ ორ ცას, როგორც ავგაროზს, ყელიდან გიხსნი და მარადიულს გიტოვებ მოცარტს! ვხატე იები გულის სენსორით, გგრძნობდი, უფალო, როგორ ბარდნიდა და ვიდრე სიზმრის გუნდას მესროდი, ხატვას ვინყებდი ისევ თავიდან. აქ ღმერთი იყო და ჩემი სახლი, სახლამდე ახლოს, ძველი ტაძრიდან მოასვენებდნენ ლოცვისფერ სამხილს, მე კი ვინყებდი ისევ თავიდან... ერთხელაც ძალა აღარ მეყოფა, რომ დაგიძახო, სული მკვდარია, ნეტარ არიან მორწმუნენი, ნეტარ, უფალო, ნეტარარიან!

აზრიპული ალუზია

საით მიგყავარ, ანგელოზო,
სად ვგიებ ტკივილს,
თეთრი პეპლების
ალუზიურს სად ვნახავ ფარფატს,
გათენებამდე ცის ნატერფალს ვუკოცნი სიკვდილს,
მზის ჩასვლისფერი ნეტარებით რომ იწყებს ტანტალს!..
პალმის რტოებით ჩამომწვდება ჩურჩული ქვიშის,
მარჯნის რიფებით გავეყრები ჯადოსნურ ზამთარს,
მელნისფერ ნისლში,
სუბ-საჰარას სიზმრებად იშვა
მთვარე ვარსკვლავთა ჟრუანტელით,
ფსკერამდე ატანს.
დაისევს ღამე ცის სილურჯეს წითელი ფრთებით,
აბემეს როკვით საიდუმლო პორტალებს ზვერავს,
ქარებს მძინარეს თავს დავესხათ ყიჟინის მთებით,
რღვევის ხაზებით შევეხიზნოთ წყვდიადის მზერას!..
და-რე-სალამში მიქცევები იწყებენ ტირილს,
ცრემლის არფებით ჩამოშლიან სამუმებს ათასს,
შეატრიალებს სულსაც ჯვარცმულს უდაბნოს მწირი,
ქვიშით დამარხულ ეგვტერებში დაეძებს ამფასს...
იწვის ღრუბლებიც
სულის ორთქლის მეტასტაზებით,
მეც თვალზე ცრემლით
სიყვარულის კუნძულებს ვიშრობ,
ვიბრუნებ მზეებს, მოტკბო სურნელს უხმო ფრაზებით,
ფირუზისფერი მონატრების შეხების სინდრომს.

ღმ-ერთობა

ნისლში გაფრინდნენ დედოფლები
თეთრი კაბებით,
ჩქარა დაუშვი ეგ ფარდები,
ღამის ალურო,
თორემ მომბეზრდა უფერული
ღითირამბები,
უუსულგულო, უსურვილო, უსიყვარულო!..
უსასრულოა ეს ღრუბლებიც
ცამდე ნაფერი,
თითქის ხეებმაც სიმარტივე
უნდა გადამდონ,
რა კარგი იყო გაფრენამდე,
როცა ვაფრენდი,
დღეს, როგორც ქარში ფოთოლცვენა,
ისე ეავადობ.
მიწად დამწვარი თავთუხების
გზები მიგია,
სულს რომ მისერავს
ჩამოშლილი ხომლის მთასავით,

ვერ გამოვცალე სიყვარულით
თრობის მაგია,
მიდიან გზები უსასრულოდ,
მაინც არსაით...
თანდაყოლილი სიკვდილებით
დღეებს ვაცილებ,
ვიცილებ ფიქრებს,
ყველა არსში მაინც ღმ-ერთია!
ჩვენ არსაიდან მოვდივართ და
წავალთ არც საით,
მეც იქ დავრჩები,
სამუდამოდ,
სადაც ღმერთია!

(ღმ — განმარტება:
ღ-არიბი
მ-დიდარი)

ხსოვნის ანარეკლები

გაქრებიან ფურცლიდან ხსოვნის ანარეკლები,
იისფერი სიჩუმით კვლავაც გადამეყრები.
ღამის თეთრი პეპლების მთვარეული შეტევით,
ისე მაპატარავებს, ვერაფერში ვეტევი.
დრო კი მიდის ტიალი,
წამს სიგიჟის ვემთხვევი,
არაფერი არ ხდება,
არაფერი არ ხდება,
არაფერი არხდება
ქვეყანაზე შემთხვევით!
ჭრილობიდან სისხლი მდის, დასერილი მტევენებით
შესუდრული ტევრების სუნთქვით დამედვენები,
ზღვაში დამხრჩვალ სიჩუმეს ველარ ვეპაექრები,
ვანთებ ჩამწვარ კელაპტარს უხილავთან შეხებით,
ჰორიზონტი თავს მიხრის სიყვარულის შხეფებით...
არაფერი არ ხდება,
არაფერი არ ხდება,
არაფერი არ ხდება
ქვეყანაზე შემთხვევით!
ხელისგულებს ვიხატავ ოქროსფერი მირქმებით,
ვიცი, ერთხელ დამლევენ ჯადოსნური რითმები,
მოდი, გამისხივოსნე იდუმალი კითხვები,
თორემ მხცოვან ექოთა ლაჟვარდებში ვინთქმები!
თითქოს ანარეკლებიც ფერს იცვლიან ტოტებზე,
არა, აღარ შემეხო სულის მტკივან ნოტებზე.
ცაც ტოტებით მეზრდება, როგორც შემოთოვება,
ფიქრი იყო უენო,
უსასრულოდ მდორე და
მსურდა, სუნთქვა პეპლების
გეგრძნო სულის მდელოდან,
უსხეულო სიჩუმე კედლებს მიცარიელებს,
სულს, ძარღვებში დამიდის თეთრი სიცარიილე...
ჭორაობენ ღამესთან ჩამომდგარი ვერხვები:
არაფერი არ ხდება,
არაფერი არ ხდება,
არაფერი არ ხდება
ქვეყანაზე შემთხვევით.



1995 წლის თიბეარვალი

ყველა შინ ვიყავით, გვენთო ლამფა და იდგა სუნი ნავთის. ნავთის შოვნაც გართულდა, კაცმა რომ თქვას. სხვა გზა არ იყო, ნავთით უნდა გავნათებულიყავით.

მოვიდა თებერვალი და მოვიდა ჩემი ძმის დაბადების დღე. ემზარმა მოინვია სტუმრები, იქიფვეს.

გავიდა ერთი კვირა და მოვიდა დედაჩემის გარდაცვალების დღე. დილას ვიღვიძებ ჩემს ტახტზე და ვდგები. მივდივარ საწოლთან, სადაც დედაჩემი და ჩემი ძმა წვანან. მივდივარ და ვხედავ, რომ იქ საათი დევს. ვიღებ საათს და ვუყურებ დედაჩემს, დედაჩემი მკვდარია.

ნონა მეუბნება, რომ ადამიანები იქამდე არ არიან მკვდრები, ვიდრე მათი სიკვდილის შესახებ არავინ იცის.

ვეძახით მეზობლებს. მამაჩემი ტირის. ბავშვები ჩაეყავართ პირველ სართულზე მეზობლებთან. იქ ზევით დედაჩემი მკვდარია, აქ კი პირველ სართულზე საუბრობენ, რომ სჯობს, იშიმშილო, ვიდრე ჩაუცმელმა იარო. მერე მიხარია ის, რომ ნათესავები, მეზობლები, გოგას ძმაკაცები და ვილაცები მოდიან, მოდიან, მოდიან. მიხარია, რომ მოდიან და მოდიან.

ახლის დაწყება

ნონამ მითხრა, უნივერსიტეტში ახალ სამსახურს სთავაზობენ. სულ ძველი სამსახურებიდან მოდის და ახალს იწყებს. მე ისევ გამიხარდა. ნონამ თქვა, რომ ყორანიო, უყურებდა და იცინოდა. ყორანი იყო ძალიან შავი. ძალიან, ძალიან შავი. მერე გვერდიდან გამომხედა, ისევ გვერდიდან, გვერდიდან გამომხედა. ხვალ ვიქნები ძალიან, ძალიან, ძალიან მშვიდად. დიახ, ძალიან, ძალიან, ძალიან მშვიდად, ხვალ.

გუშინ დილის 6-საათზე დაწერილი წაშლილია. კარგია, ვარჯიშობად ჩაითვალოს. რომ გათენდა, ვაკის პარკში წავედი. ნონას დაავიანდა. მარშუტკაში შემხვდა თ.-ს ცოლი, მაგრამ ფული არ გადაუხადე და ძალიან კარგიც ვქენი. იმ ფულით ორი ცალი ბანანი ვიყიდე, ერთი ნონასთვის მიმდოდა, მაგრამ მის მოსვლამდე შემომეჭამა. ვაკის პარკში ვისხედით და ვეხუტებოდით ერთმანეთს. არ მოვიწყენ, ქვეყანა რომ დაიქცეს. ნონა მივაცილე სახლამდე და წამოვედი. მაგრად აჩვენებს ახალი ანტენა, ჩემი ძმა გენიოსია. ნონა მარშუტკაში თვლემდა. სალამოს ისევ შეეხვდი დელისის მეტროსთან. კარგი ამბები მიაშობო... ნეტავ ეგ გამოვიდეს. მერე მარშუტკაში მკითხა, სამსახური მოგენატრაო და მე ვუთხარი, რა ვიცი, ცოტა-მეთქი. მერე წამოვედი და ამოვედი პლატოზე. ჩემი ძმისშვილები კარგი ბავშვები არიან, ბაღს შეეჩვივნენ. სისხლი ვისთანაც გვაქვს ერთი, ეგ კარგია. ძალიან, ძალიან, ძალიან კარგია.

სრულდება 10 ოქტომბერი

ვიყავი გუგა ექიმთან. მცირედი ჩავარდნა, არცთუ მცირედი. უნდა ჩავინიშნო ყოველი დღეს. ციხეზე აზრები სულ უფრო მცირდება. სიკვდილზეც. 11 ოქტომბერი სერიოზული ჩავარდნა. შეეხვდი ნონას, ჯერ მაკდონალდსში ვიყავით, მერე — ჩაის სახლში. სუნი იდგა კარდამონის. მთელი დღე მოწყენილი ველოდი. რომ დაბნელდა, ფანჯარასთან მივედი და იარალი მოვიმარჯვე. რამდენიმე გამწვლევი გავატარე, უფრო შესაფერის მსხვერპლს ვეძებდი, ტრაკი ძალიან რომ აენვებოდა, ისეთს. ვესროლე. დაველოდე დაწყებულას. ტელევიზორში რალაც მნიშვნელოვანი ხდებოდა. ტელევიზორში შესვლა მომინდა. დენი რო გაითიშოს? ოთახები ეგზისტენციალურად დუშან. კოშმარულია ეს ახალი სახლის კედლების სიჩუმე. ოთახებს ფანჯარა არა აქვს. იქით ფანჯრიან ოთახში გოგა წევს, თავთან პლიტა უდევს. სძინავს თუ ღვიძავს, ვერ გაიგებ. თვალები დახუჭული აქვს. აქეთ ვზივარ მე და ამ დროს აქ რას ვაკეთებ ან როგორ მოვხვდი აქ, აზრზე არ ვარ. დაწყებული მაქვს, ეტყობა, წანწალი. ძალიან კარგი, აქ რომ შემოვიარე.

დუმილია რაღაცნაირი

ჰო, შენ სახლში მელოდები ჩვენთან ზემოთ. ეს სახლი ჩვენი საერთო დიდი სახლის ნაწილია, რომელიც არსებობს სადღაც ახლოს და შორს და რომელიც არ გაქრება სა-



გიორგი კუცია

დუმილის დარღვევა

ფრაგმენტები მომავალი წიგნიდან

გაზაფხული

დღაც, ჰა-ჰა, 100 წელიწადს. მერე იმ სახლის საფუძველზე დაშენდება ახალი სახლი, ჩვენი სახლის შვილი სახლი. შვილი სახლი უკეთესი იქნება, უფრო ბედნიერი. შვილი სახლი არ დაინგრევა, არ გაიყიდება, არ გადაშენდება. შვილი სახლი იგრძნობს მისი წინაპარი დიდი სახლის სიხარულს. შვილი სახლი არ იგრძნობს ძველი სახლის მწუხარებას. მას ექნება თავისი ბევრად უფრო მსუბუქი და ადამიანური სევდა და სიხარული.

ტალღივითი ფიქსურითი

აბები ბევრი. არ დალაგდა არაფერი. ანდა რა დალაგებდა. რალაცა ჩაწყდა. ვწერ. იმდროინდელი ოცნების ახდენას უკლია ბევრი. მე შეიძლება ვიყავი ლენჩი, მაგრამ არასდროს ვყოფილვარ კოხტაპრუნა ლენჩი. რა ბედნიერებაა, რომ ბედნიერება ბედნიერებაა. რომ ვერ გიგებენ. ვერ გიგებენ, როცა არ სცალიათ, როდესაც სხვა უფრო მოსწონთ, ვერ გიგებებენ. რა დაგრჩენია იმის გარდა, რომ შენს ნაჭუჭში ჩაიკეტო. ყველა მოხმა.

მთამსვლელი

მეტროსთან ვიდექი, რომ მოვიდა და მომესალმა. წვიმდა, ისე წვიმდა, რომ მეტროს სახურავს შეფარებულს წყალი მაინც ასხამდა ქვემოდან. მოვიდა. კაცნი ვართ, „რამე უჭირს ალბათ“- მეთქი, ვიფიქრე. ამოიღო ფირი და მეუბნება: „აი, მე სულ ასეთი კი არ ვიყავი, ადრე მთაში დავდიოდი!“ შევხედე და არქეოლოგიურ გათხრებშია სადღაც. მაჩუქა ის ფირი და წავიდა. მერე დავინახე, გაზეთების გამყიდველთან მივიდა. მთელი დღე ვფიქრობდი, სად მინახა და შინ დაბრუნებულს სადარბაზოსთან დამხვდა ნაცემი. „რა მოგივიდა?“ — ვკითხე ნაცნობივით, მეზობლები ვყოფილვართ. „რა ვიცი, მცემეს“ — მომიგო მან და ხელი ჩაიქნია. წამოვაცენე და სახლამდე ავაცილე. „არაფერია“ — მითხრა და მადლობა გადამიხადა.

გოგას პროპლაქიპი ჰქონდა

ჩემი დეიდაშვილი გოგა. სულ იწვა, დღისით კითხულობდა, სალამოს ფილმებს უყურებდა. ღამის 12 საათის მოახლოებასთან ერთად ბავშვებში ჩნდებოდა იმედი, რომ დენი არ წავიდოდა, მაგრამ ის მაინც მიდიოდა. გაზაფხულდა. გაზაფხული, რომელსაც დედა ვერ მოესწრო. ჩემპიონთა ლიგის ფინალია, მილანი-აიაქსი. აიაქსი პატრიკ კლუივერტის გოლით იგებს. დენი არ არის ხოლმე, მაგრამ ფეხბურთი ჩემთვის დღესასწაულია. გოგას ფილმები ურჩევნია. ერთხელაც მოვდივარ სახლში და მამაჩემი და გოგა სხედან და არაყსა სვამენ. არაყი გრაფინშია. გოგა განიცდის შეყვარებულის ამბავს. ახალგაზრდობა საერთოდ რთული რამაა, საკმაოდ რთული რამაა.

იდა. წლევანდელ წიგნის ფესტივალზე ვიყავი ყველაზე ხნიერი, რაც კი ცხოვრებაში ვყოფილვარ. ყველაზე ცოტა ხანი, რაც კი ვყოფილვარ. ყველაზე მარტო, რაც კი ვყოფილვარ.

„დიოგენეს“ გამომცემლობის სტენდს ძლივს მივაგენი. ძალიან მიმზიდველი გარეგნობის გოგო იდგა სტენდთან. ლამაზი თვალები ჰქონდა.

მეგონა, იქ ზაზას ვნახავდი, მაგრამ არ იყო. ჩემი სტუდენტობის დროინდელი მეგობარია.

მინდოდა, მეყიდა მილორად პავიჩის „სანერი მოწყობილობების მანქანა“, მაგრამ ვერ ვიყიდე. აქეთ წამოვედი და სანამ იქამდე დავბრუნდებოდი, სხვა წიგნები ვიყიდე. სჯობს, წიგნები წიგნის მაღაზიაში ვიყიდო ხოლმე. მაგალითად, სხვა გამომცემლობას რომ აუვლი და მის გვერდით იყიდი წიგნს, შეიძლება, იმ პირველს გული დაწყდეს.

დასანანია, რომ ფესტივალი ასე დამთავრდა. შეიძლებოდა, ყოველდღე მევლო. ხალხი გამეცნო.

ბევრი წიგნი გადავფურცლე. აკა მორჩილადის „დიქსლის“ ყიდვა მინდოდა და ფული არ მეყო.

უკვე ველოდები მომავალ ფესტივალს, რომელზეც მარტო არ წავალ.

სალამოს იყო რაგბი და ფეხბურთი. ორივე იყო დიდებული რამ და მე ვიყავი ჩემს ფიქრებში.

საბოლოო ჯამში ამ დღიდან სულში ის მოვლენები უფრო დარჩა, რომელიც ზემორე ნაწერში არაა ნახსენები და ჩემთვის შევინახავ დანარჩენს.

მადლობას გიხდით ყველას — აქ ნახსენებ წიგნს, მწერალს, გამომცემლობას და ადამიანს, ნაგულისხმებს ყველაფერს, არნათქვამს ყველაფერს.

ვემდურნი დროის სიმცირეს და უნიჭობას.

განსაკუთრებული მადლობა 102 ნომერ მარშუტკას.

ენატრს ძალიან გვირს ვუტყაპუნებ

ეხლა ვილაც ნაცემია. მე არ მინდა, ვიყო ნაცემი.

ეხლა ვილაც შვილს უხატავს მანქანას — მე მინდა, ვიყო შვილი. მყავდეს დედა. მყავდეს შვილი. ეხლა ვილაც არის კარგად. ვილაც წერვიულობს. მამაჩემი კედელს ბურღავს. ჩემი ძმა კარტოფილს წვავს.

ვლაპარაკობ ბევრს ძველ მეგობართან. ზეთი ღირს 2. 40.

თევზის კონსერვი — 2.

კარტოფილი იწებია. ვგრძნობ, როგორ

გადამდის ცუდი განწყობა.

შენ დაინახავ მზეს.

ვგრძნობ, როგორ გადამდის ცუდი განწყობა...

სულერთი არაა? არაა სულერთი!

მოგაპალი წალი

მე და ძმისშვილები დავმეგობრდებით. ნაძვის ხეს დავდგამთ.

სხვაბი (რჩევა)

იცოდე, რომ სხვებიც არიან. დაფიქრდი მათზე, მაგრამ ყველაზე არა, საინტერესო ამოაჩრე. არ მიახტე მაინცდამაინც მოსაწყენად საფიქრალს. აჰ, უკვე ვეღარ ვწერ. მეძინება. ნუ გეშინია.

ანდაანდა

ანდაანდა ფილოსოფიურ სიღრმეებს გაურბოდა. პირდაპირ ტვინში ასხამდა ეს სიბრძნე, ისედაც დაღლილი თავი კი ჯიუტად ცდილობდა მის გამოძევებას.

ანდაანდას ზარმაც სხეულს ბაღში გასვლა ეზარებოდა, რომ როგორმე ამოეფრქვია გონებიდან მთელი ეს მახრობელა სიბრძნე, როგორც ეს სურდა თარამ ემხვარს რომანიდან „მთვარის მოტაცება“.

ანდაანდა დაღლილი იყო, დაღლილი იყო ანდაანდა, დაღლილი იყო.

შიოდა ანდაანდას, შიოდა, შიოდა, ვერ ძლებოდა.

ანდაანდა უშუალოდ გველი იყო, ანდაანდა.

ერთუფრედიანი სოფისტი იყო ანდაანდა.

მარი

მარი სკაიპიდან გაქრა და ვიცი, ახლა რამდენიმე დღე მაინც არ გამოჩნდება. სი-მართლე რომ ვთქვა, დღეში წუთნახევარი შეიძლება, გამახსენდეს. მარი ჩემზე ახალი თაობის რობოტია. მეტი მოქმედების შეს-რულება შეუძლია, ჩიმილიც შეუძლია და ცრემლების დანთხევაც. დანთხევა გადა-ჭარბებული ნათქვამია. ერთი წვეთი ცრემ-ლის გადმოღვრა შეუძლია კვირაში და ის ცრემლი ყოველთვის გულწრფელია. მარი „ერთი ცრემლით მეტია თქვენზე“.

ისევ მარი

მარის გასაღებიანი ყვითელი ბურატი-ნო ვაჩუქე. შეხედვისთანავე მოეწონა და შეუყვარდა. მეც მიყვარდა ბურატინო. ეს ბურატინო დედამ მოსკოვიდან ჩამოიტანა. მარის ვაჩუქე. მარის დედამ თქვა, ეს ვინ მომითრიეო. მარიმ თქვა, ეს ჩემი მეგობარ-ია და სასწრაფოდ ბლინები გამოგვიცხვეო. მარი ჩემზე დაბალია.

ნაბიჯი გადავდგი, ირგვლივ სიმწვანეა, პირში თამბაქოს და ალუჩის გემო მაქვს. მარის აცვია და მოდის. მარიმ გუშინ მკვდა-რი ბავშვი დაბადა. ჩვენ ის მზის ჩასვლის-თანავე დავმარხეთ ამ მიწდორში. მარიმ თქვა, რომ მისი პირველი შვილიც მკვდარი დაიბადა.

მარის მზესუმზირას ქამისგან თითები აქვს გაშავებული. მე მარი არ მიყვარს. და არც მძულს. მარი ჩემთვის სულერთი მაინც არაა.

მარშუტკა მოძრაობს სიკვდილის მიმართულაბით

მარშუტკა მოძრაობს სიკვდილის მიმა-რთულებით. გზადაგზა ამოდიან მგზავრე-ბი. მძოლოლი უჩერებს მხოლოდ მათ, ვისაც მართლა გულით უნდა ამოსვლა. მარშუტ-კაში სხედან:

- საფეხბურთო კლუბის მწვრთნელი.
- ელექტრიკოსი.
- ასოთამწყობი.
- დამკაბადონებელი.
- რადიონამყვანი.
- ამალიას ქმარი.
- კახა.

მარშუტკა მოძრაობს სიკვდილის მიმა-რთულებით.

შენში მიყვარს

შენში ყველაზე ძალიან მიყვარს, რომ მოდიხარ, რომ სუნთქავ და ჩქარა ლაპარა-კობ ისე, რომ არც მისმენ და ლაპარაკს მა-ლე ამთავრებ.

ორი საფარფლე

დაბადების დღეზე დეიდაჩემის მიერ ნაჩუქარი 2 საფერფლე. პატარა მოცულო-ბის, რომელიც სულ მალე ივსება სიგარეტის ნამწვით და გადასაყრელად მალ-მალე მიწვეს გასვლა. მიწვეს არა, მიწევდა. 5 წუთის წინ ბოლო სიგარეტი მოვწიე. მოწე-ვას მოვრჩი. მირჩიეთ საშუალებები, რაც გამიადვილებს უსიგარეტოდ ცხოვრებას. მომბეზრდა ამ მყრალი სიგარეტის ხრჩო-ლებით გამონეწეული სიძნელეები. მივდივარ საფეხბურთო მატჩის ხანგრძლივობის ძი-ლში. მისურვეთ წარმატებები. გმადლობთ.

შავი ოთახი

არ წაიკითხო ეს. წაიკითხე ფილოსოფ-ია, თეოლოგია, მაგრამ ვერაფერს შეცვლი. იმ დღეს მატარებელში რომ იჯექი, რომ შემოვიდნენ შენს კუპეში ისინი, ისინი, იმნ-აირები. რა ბედნიერი იყავი, არა ბედნიერი არ იყავი, მაგრამ ყველაფერი ფარდობით-ია. რამდენიმე ღერი მონი ზედიზედ ხან-მოკლე შუაღედით... მაგრად გაგამწარეს მაჯლაჯუნებმა. შენ არ იცი, როგორი მად-ლობელი ვარ. ვიცი, რომ მიფარავ, ყველაზე დიდი სიყვარული შენ დამანახე. ფილოსო-ფია ისაა, რო ვერაფერს ვერ შეცვლი. წლე-ბი გადის და რალაც არ იცვლება შენს შიგნ-ით, შენში. რალაც მტანჯველი. რაც გაიძუ-ლებს სახლიდან არ გახვიდე, სახლში დაბრ-უნდე პირველივე შესაძლებლობისთანავე.

თამაშები

დღეს აპენინებზე ტურის ძირითადი ნა-წილი გაიმართება. მატჩები 15 წუთში იწ-

ყება. ინტერმა ლეონარდოს მოსვლის შემ-დეგ პირველი მარცხი ფრიულიზე უდინ-ეზესთან იწვნია. გუშინ სამი თამაში შედგა, სამივეში მასპინძლებმა მოიგეს. მოიგო რომამ, პარმამ და პალერმომ. ინტერნეტით უნდა ვადვენო თვალი. ვისაც ამ საკმაოდ გრილი, მაგრამ მზიანი საღამოს კალჩოთი ტკობა გსურთ, გირჩევთ, იუვენტუსის თა-მაშს არ უყუროთ. ვინც არ დამიჯერებთ, ჩემი ვარაუდის მიხედვით, ყოვლად მკვდარ და უგერგილო ბურთაობას იხილავთ. საინ-ტერესო საყურებელი იქნება ფიორენტინა-ლჩე — ჩემი სიმპათიები ლეჩეს. ასევე, თვ-ალსასეირო უნდა გამოდგეს ლიდერ-აუტ-საიდერის გვიანა მატჩი. უხვგოლიან თამ-აშს უნდა ველოდოთ სან სიროზე. ვეცდები, ვიდეოები მოვიპოვო. გაუმარჯოს ჯანსაღ სპორტს. შემიკლა ფილოსოფიამ. რუსული საინფორმაციო საიტების თავზეც გავია-რე. პოსტი მომზადებულია მხოლოდ ჩემს მიერ.

რობოტი

რობოტს გაეღვიძა. დახვდა მკვდარი ქალი. რობოტს ძალიან დაეზარა ამ ქალის დასაფლავება. იმდენად დაეზარა, რომ ტი-რილი დაიწყო.

ისევ შიშილი

ბავშვობა, ლიგა, იუვენტუსი. მაშინაც ასე იდგა ოთახი, აქ იდგა ტელევიზორი და იყო 1995 წელი და ვუყურებდით მილან-აი-აქსს, როცა კლუივერტმა გამოყო ფეხი. და მაშინ იუვენტუსი ისეთი პონტი იყო, როგო-რც ახლა ბარსელონაა. იქამდე რეალი იყო და მეც იუვენტუსი ავირჩიე, ამიტომ ახლ-ანდელ რეალის ფანებს დიდად არ ჩამოვუ-ვარდები და არც ჩემშია სამწუხაროდ რამე ფაქტსაიდერული. აი, მაშინ ვთქვათ, ფოჯას თუ არ ავირჩევდი, შეიძლებოდა, იმავე იტ-ალიაში თუნდაც სამპდორია ან ჯენოა ამო-მერჩია ან ინგლისში ჯორდები. სულ რო-გორ უნდა მეძინებოდეს, მეძინოს მაინც. ძალიან რო მოგმივდება, მერე ქამის დედ-აც. ყველაზე დიდი შეურაცხყოფაა შეურა-ცხყოფა შიშილით. ერთი კვირა სადმე ცხ-ელ წყალში ჩამანვინა. და გვერდით ეს მო-მინვინა.

22 დეკემბერი — ყველაზე გრილი ღამე

შენი ძველი სახლის სუნი მიყვარს, კე-დლების, თეთრეულის, ნივთების, მუთაქე-ბის, კარტის, ტანსაცმლის. ხანდახან წყდე-ბოდა სახლი და მიფრინავდა. შენი მეორე სახლი არ მიყვარს, იქ ის სუნი არ იგრძნობა. მართალია, საგნებს ჰქონდა შერჩენილი, მაგრამ სახლი სხვა იყო. არც შენ აღარ მიყ-ვარდი ახალ სახლში ისე, როგორც ძველ-ში. ჰეჰ, გამარჯობა, ჩემო უგენიალურესო.

დაბრუნებაჰი ტ-ის თ-ად გადასაკითხლად ანუ SHIFT

ვის არ გადავეყრები ხოლმე, ვის არ გა-დავეყრები. ყოველთვის მიყვარდა გასვლა იმ სიტუაციიდან, რომელშიც (მომკლა ამ რომელიც, რომელშიც, რომელმაც, სხვა სტრუქტურა უნდა მოვნახო მეტყველების და წერის უფრო) ვარ. ოთახიდანაც.

ეს კომპიუტერი რომ გადაიწვას, შიშმა შემიპყრო ახლა. გადაიწვას? არ გადაიწვას, მაგრამ არა, არა, რას ქვია გადაიწვას, არა-ვითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიწვას.

ვერა და ვერ ვისწავლე თ-ს შეუცდომლ-ად წერა. და ეს ყველაფერი სისულელეა. ყველგან ვორდის ფაილი, ვორდის ფაილი მარად და ყველგან. ფეხბურთის თამაში მომენატრა. სახლში ვორდის ფაილი, სამსა-ხურში ვორდის ფაილი. ფეხბურთის გახ-სენებაზე, გუშინ იუვენტუსმა ზალცბურგ-თან ფრე ითამაშა 1-1, პირველი ტაიმი წაა-გო, მეორეში კრასიჩმა გაათანაბრა. დელ ნერიმ, ასე ვერ გაგფრინდებითო.

პართანა

ვართანა 3 წლის იყო, სახეში პარკეტი პირველად რომ მოხვდა. დედამ სახლიდან გარეთ გააგდო და ისიც ცეცხლთან მივი-და. 15 წლის ჯბამ არც აცალა გათბობა, ადგა და პარკეტი სახეში ხია. ვართანა წაიქ-ცა. მერე ადგა და ატირებული გაიქცა სახ-ლში. კორპუსის კიბეებთან რომ მიირბინა, გაახსენდა, რომ სახლიდან გამოაგდეს და

გაჩერდა. ვართანას მამა, ოვანეს, „საპოჟ-ნიკი“ იყო. დილას სახლიდან გასული აუ-ცილებლად მოიხდიდა სავალდებულო მოკითხვას მალაზიის გამყიდველთან:

— როგორა ხარ?

— ნიჩევო, არამიშავს, შენ როგორა ხარ?

— რავი, არა მიშავს

მერე ჩავიდოდა თავის ჯიხურში, დაჯ-დებოდა და დაღამებამდე კემსავდა ფეხ-საცმელებს. თუ საქმე არ ჰქონდა, მეზობლ-ის ბიჭის მიერ ინტერნეტიდან ამობეჭდილ ლიტერატურას კითხულობდა. პალანიკის რომანები იყო ძირითადად. წაკითხული გვ-ერდებით კი იქვე ჩამომჯდარ „სემიჩკის“ გამყიდველ მოხუც ნათელას გულუხვად ასაჩუქრებდა. ვართანას დარდი ჰქონდა. 3 წლის იყო და არ ლაპარაკობდა. არც ილიმე-ბოდა, არც ტიროდა. თავად კი კარგად ეს-მოდა, რასაც ლაპარაკობდნენ მის ირგვლივ მშობელი დედა და მამა — ოვანესა, მეზობ-ლები, ეზოს ბიჭები. ბავშვები, რომელთაც გაჭირვებასა და ექსტრემალურ პირობებში უწევთ ცხოვრება, უფრო სწრაფად იზრდე-ბიან, უფრო გამძლენი და ჭირთამთემენი არიან, ვიდრე ჩვეულებრივ ოჯახებში ან ფუფუნებაში მყოფი მათი თანატოლები. ვართანას უკვირდა, რატომ სცემდა დედა ყოველდღე ასე გამეტებით. ლოთი იყო. მთ-ელი დღე სვამდა და ეწეოდა. რეცხავდა, ეწეოდა. საჭმელს აკეთებდა, ეწეოდა. ტელ-ევიზორს უყურებდა, ეწეოდა. ვართანას დარდი ჰქონდა.

მოთხრობაც ღაწნარე

ნაწილი პირველი

მატარებელი ის-ის იყო დაიძრა, რომ მს-უქანი გრუზათმიანი ბიჭი ხელში ატატებუ-ლი დით შეახტა. კუპეში ორნი ისხდნენ — გოგონა და კაცი და კროსვორდს ავსებდნ-ენ. ბიჭმა ბავშვი ზედა სანოლზე დააწვინა. ბავშვი 4-5 წლის იქნებოდა. ჭორფლიანი სა-ხე, გამხდარი ლოყები და მონიათალო თმა ქონდა. ისე იყურებოდა, გეგონება, მთელ დედამინაზე ამრეზილიაო. გრუზათმიანი ბიჭი კუპედან გავიდა და მალე ლიომნიათის ბოთლით ხელში დაბრუნდა. მამაკაცმა კუ-პე მალე დატოვა და კუპეში ბიჭი და გოგონა დარჩნენ. და, რა თქმა უნდა, ბავშვი, რომე-ლსაც დაწოლისთანავე დაეძინა. ცოტა ხანი კროსვორდს ავსებდნენ. ნახევრამდეც ვერ შეავსეს, მაგრამ მაინც კმაყოფილი დარჩა ორივე, რადგან ამ დროს უკეთ გაიცნეს ერ-თმანეთი და გაერთნენ კიდევ. გოგომ გა-უმხილა, რომ სოფლიდან ქალაქში სამუ-შაოდ და სასწავლებლად მიდიოდა. რომ სახლში ავადმყოფი დედა დაეტოვებინა, მამა კი ბრმა ტყეყის ემსხვერპლა ტყეყი, როცა იმედგადაწურული შინ ბრუნდებო-და. ძროხის საძებრად იყო ტყეში შესული. დედაც აღარ იყო ამქვეყნისა. ლოგინად ჩა-ვარდნილმა (ძვლებში კალციუმის ნაკლე-ბობას დაეჩაჩანაკებინა) ლეიბის ქვეშიდან პენსიიდან დაზოგილი თანხა ამოიღო და ქალიშვილს გაუწოდა. კედებს და ჯინსებს ვიყიდი, გაიფიქრა გოგონამ. იყიდა კიდევ. ჩასვლის დღესვე შეიარა ვაგზლის ბაზრო-ბაზე. კედები, ჯინსები და ფერადი მაისუ-რების კომპლექტი შეიძინა. მაისურები მჭ-იდროდ ადგა და მის ისედაც ქორფა და აბუ-რცულ ძუძუებს მეტად მომხიბვლელად წა-


რმოაჩენდა. განსაკუთრებით მწვანე მაი-სური უხდებოდა. იმ საღამოს, თბილისში რომ ჩავიდნენ, უსახლკარო და უშწნო გოგ-ონა გრუზათმიანსა და მის პატარა მძინარე დაიკოს დაემშვიდობა, „ბავშვთა სამყარ-ოს“ წინ ტაქსი გააჩერა და შორეული ნათე-სავების სახლისაკენ გაემართა.

მშვიდი დილაა, ძაღლები არ ყიფენ. ჰა-ერი მოძრაობს. ჩიტები ახლალა აჭიკჭიკდ-ნენ. ისინიც კი მშვიდად, ზარმაცად ჭიკჭი-კებენ. არაფერი არღვევს დილის მყუდრო-ებას. შაბათია. ხალხის უმეტესობა დღეს ისვენებს და დილით ადრე არავის ეჩქარე-ბა ადგომა. გოგონას 5 საათზე ეღვიძება. კომპიუტერს რთავს და forum.ge-ს ხსნის. ვილაც იუზერი სელინჯერის „თამაში ჭვა-ვის ყანაშის“ თხოვებას ჰპირდება. გოგოს ძალიან უნდა ლიტერატურის მოყვარული ბიჭის გაცნობა. ეს წიგნი თუმცა წაკითხუ-ლი აქვს, მაინც თანხმდება. გვიანი შემო-დგომა. პარკი. დილის 10 საათი. ფოთლები წყდებიან, ახლად მოხვეტილ ნითელ ხრეშ-ზე ეცემიან ფარფატი. მწვანე ხის სკამზე ჯინსებში, კედებსა და ყვითელ მაისურში გამოწყობილი შავთმიანი, გამხდარი გოგო ზის, ლამაზი მკერდით. მარტოა და ელის. პარკის შუაგულში აუზნა. აუზის გვერდზე პინგპონგის მაგიდები დგას. მაზიანზე თამ-აშობენ გიგლა და ოთარა. თამაში იყო იმა-ზე, რომ წაგებული უნდა მისულიყო და სახეში შეეფურთხებინა „სოფლის გომბიო-სათვის“. გიგლამ სპეციალურად წააგო. ოთარა გაწითლდა. ავჭალელი გიგლა „სო-ფლის მშვენიერებასთან“ მივიდა. ხხხხ... ფურთხი დაიგროვა პირში და სახეში შე-აფურთხა. აქლემო — თქვა გოგომ.

ნაწილი მეორე


გოგონა ლოგინში პირქვედამხობილი ინვა და ტიროდა. მთელი ღამე არ ეძინა და ტიროდა. მისი პირველი პაემანი წარმოუდ-გენლად საზარლად დასრულდა, უფრო სწორედ არ შედგა. მას შემდეგ, რაც გიგლ-ას, რომელმაც სახეში მონდომებით შეაფუ-რთხა, აქლემი უწოდა, ადგა და ფურთხი ცხვირსახოცით მოიწმინდა სახიდან. მერე წყალთან მივიდა, სახე ჩამოიბანა, გაჩერე-ბისკენ წავიდა, ავტობუსს დაელოდა. ავ-ტობუსში კონტროლიორმა დააჯარიმა. ხუ-რდა არ ჰქონდა. სახლში მივიდა და ეგრევე ლოგინზე მიეგდო მონყვეტით, თავი ბალი-შში ჩარგო და დაიძინა. ნაშუადღევამდე ეძ-ინა. ბინის ტელეფონმა გააღვიძა, ბიძა რე-კავდა, დამავიანდებო. გოგონას უნდოდა კიდევ დასძინებოდა, ისევ წამოწვა, მაგრამ არ დაეძინა. ადგა. ტელევიზორი ჩართო, უაზროდ მიაჩერდა. არაფერზე ფიქრობდა, არ ესმოდა, რას ამბობდნენ ტელევიზორ-ში, მხოლოდ სიმძიმეს გრძნობდა გულში. მოშივდა. მალაზიაში ჩავიდა და პური და არაჟანი იყიდა. მალაზიიდან სახლისკენ მი-მავალს ბირჟაზე მდგომმა ბიჭებმა თვალი გააყოლეს. გამონაბოლქვის სუნს გრძნობ-და და გული ერეოდა. სახლში შესული შიმ-შილს ველარ გრძნობდა, პური და არაჟნის ქილა მაგდაბზე დადო და ისევ ლოგინზე ჩამოჯდა. ხვალ დილით სამსახურში უნდა გავიდე, ვინ იცის, იქაც ასე ან უარესად მო-მექცნენ, სასწავლებელში წასვლაზეც ვნ-ერვიულობ — ფიქრობდა გოგონა.

XIII



ნანა კუცია

აბრეშუმის ქაფს ქონივით აცმული ლექსები



„ოფელიას“ სინტაგმას), „ჩვენი“ უფლისწულები — ტარიელი და ავთანდილი, „თავის გამთავისწინებელი“, ჟამიერი სასონარკვეთისას, ჰამლეტზე ადრე, „სიცოცხლისა თუსა“ მთქმელნი, „ვინსოფელსა არ (ამოჰკრეფს) კიტრად ბერად...“

ფეისბუქზე ტრაგიკულ-გროტესკულ „კადრს“ წავეანყდი ახლახან — პირველყოფილი რალაც არსება გამოქვაბულის ლიობში როდენის „მოაზროვნის“ გამომეტყველებით ფიქრობს, ათასწლეულების შემდეგ „ჩემს შთამომავალს“, ადამიანს, ორ-სამ სამსახურში მოუწევს სირბილი, ასეთსავე ქვის გამოქვაბულში ბინა(ს) რომ ელირსოსო.

„ვამლის ქალაქთა უფლისწული“ გვანუგეშებს, რომ ქალაქები მხოლოდ ქვის არაა და „ვამლისაც“ შვიძლება იყოს.

ვამლის ქალაქი დილან ტომასის ლექსის, „ფერნის გორაკის“ მხატვრული სივრცეა, რომელშიც დავით წერედიანის „თრიმლების“ ველი მომაგონა — ლოკალი, სადაც „ყველაფერი იმისთვის შეემთხვევა კაცს, ღმერთს მიაგნოს ბოლოს“ (კონსტანტინე გამსახურდია) — ესაა ლექსი-მოგონება, ლექსი — ყოფიერების განაზრება, რუტინულში პარაბოლურის აღქმა.

ყველა ლექსი თავისით მოვიდა ჩემთანო, მკითხველს გაენდობა მთარგმნელი. „თავისით მოვიდა“ კრებულის სათაურად გატანილი ციტატაც „ფერნის გორაკიდან“, ამონარიდი, რომლის მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია სარომანე სივრცეს მოხაზავს: „ერთ დღეს ჩემი ახალგაზრდა, მძიმე პაციენტის დედამ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ეს მოკლე ტექსტი: „I was prince of the apple towns“. ქვემოთ მიაწერა შვილის დაბადება-გარდაცვალების თარიღი — იმ დამით გარდაცვლილიყო. დანიური ლაკონიურობით, საოცრად ლამაზად გამოხატა ეს უდიდესი მწუხარება იმ რამდენიმე სიტყვით, რომლითაც დიდი უელსელი პოეტი უდარდელ ბავშვობას მისტირის. ლექსს მაშინვე მივაგენი და გადმოვქართულე“ („ვამლის ქალაქთა უფლისწული“).

ვფიქრობ, მთარგმნელში მინიატიურათა ოსტატე(ც) თვლემს — მინაწერი თავადვეა მაღალი სინჯის ლიტერატურა (და არა — „დანარჩენი ლიტერატურა“). მთარგმნელის მიერ ხაზგასმულ „დანიურ ლაკონიურობას“ აქ ფრაზის ქართული სისადავეც ერთვის, სიძველად, ჰაგიოგრაფიის ლაკონიზმით ლიბოდადებული (მიყვარს ყველაფერი სადა, მიყვარს ყველაფერი ძველი“ — გალაკტიონი).

ექიმები სხვანაირად, განსხვავებულად წერენ — ჩეხოვის, ბულგაკოვის, მოემის ფრაზის სისადავე და სიღრმე მომხიბვლელია და ამ სისადავე-სიღრმესთან ხშირად მიბრუნებისკენ წამქეზებელი.

„ვამლის ქალაქთა უფლისწულში“ სხვადასხვა ეპოქა, სხვადასხვა სივრცე თანაარსებობს — დასავლეთი/დასავლური ჭარბობს (უილიამ უორდსვორთი, ჰანს ქრის-

ტიან ანდერსენი, დილან ტომასი, რობერტ ფროსტი, უოლტ უიტმენი, ადელაიდ კრეპსი, ედნა სენტ ვინსენტ მილი, ემილ ორესტრუპი, იოჰანეს ჰელმსი, ტუვე დიტლევსენი, ალექსანდრ ბლოკი; აღმოსავლეთიც გაიკიაფებს — რუმი, შრილა ბჰაქტიეინოდა თჰაკურა), ცალკე რკალად ჩნდება ბარათაშვილისა და გალაკტიონის ინგლისური თარგმანები, კრებულის ფინალურ პასაჟად კი წარმოდგენილია თავად მთარგმნელის ორი ორიგინალური ლექსი — ინდოეთის მისტიკური სივრცით შთაგონებული („ინდოეთი მისტერიათა საუფლოს განასახიერებსო“, წერდა ზვიად გამსახურდია „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებაში“).

მკითხველს განსაკუთრებულ სიამოვნებას მიანიჭებს უცხოურ ორიგინალთა და თარგმნილ ტექსტთა პარალელიზმი, ორიგინალის მუსიკისა და შინაარსის აღქმის შემდეგ დაფიქრდები, რა ექვემდებარება, ემოწმილება თარგმანის ხელოვნებას და რა რჩება ორიგინალური სივრცის „ერთგულად“, უთარგმნელად.

რუს მთარგმნელს უთქვამს გალაკტიონის პოეზიაზე: „И вновь из голубого дыма встает поэзия.... Она неперевоима — родному языку верна“. ამ სიტყვათა პირდაპირი მნიშვნელობით გაგება არ ეგების, რადგან მხოლოდ თარგმანის დიდებული ხელოვნება (შე)ახვედრებს და აახლოებს კულტურებს, ცივილიზაციებს. სწორედ ამგვარმა დამოკიდებულებამ თარგმანის მაღალი ხელოვნებისადმი გაანებივრა ქართველი მკითხველი ათასწლეულებიდან მანძილზე კულტურათა, ცივილიზაციათა მიჯნაზე, გააცნობიერებინა უნივერსუმის ერთიანობა და დაუნაწევრებლობა (მიუხედავად რელიგიური თუ ნებისმიერი სხვა ტიპის განსხვავებულობისა).

ზაზა უჯმაჯურიძის მთარგმანი კულტურულია, დახვეწილი, მთარგმნელი პწკარედს კი არ მიჰყვება მორჩილად, უპირველესად, ტექსტის სულს მოიხელთებს, სურნელს, ლიცლიცა, ლანდურ ნახევარტონებს, მელოდიას, რაც სიტყვების პოეზიად აქცევს, განწყობას ქმნის, ხან „სპილოს ძვლის კომპი“ განგამარტოებს, ხან — „ვამლის ქალაქ(ებ)ში“, „ზაფხულის ფერმიხდილ აჩრიდლებს“ მოგაახლებს/მიგაახლებს, დაგაბრუნებს უსაკუბის ბედნიერ ხანაში, სადაც ყველა უფლისწულია. ალბათ, სწორედ ამ განწყობის მოსახელთებლად ითარგმნა ზემოხსენებული „ფერნის გორაკიც“ და ტუვე დიტლევსენის „მოციმციმე ფარნებიც“. უელსელი ტომასი და დანიელი დიტლევსენი გარდასულ(ის) ლანდებზე ჰყვებიან და მათი ქართველი მესაიდუმლე თავმეკავებული, მაგრამ შინაგანად ღრმად განმცდელი ევროპელების კულტურულ ნარატივს კულტურულსავე ქართულ გაროზს შეურჩევს...

„არაფერი არ ამხდარა, ისე წავიდაო“, იტყვის დავით წერედიანი („თრიმლები“), „რა დიდხანს ეძებდი, რა ცოტას მიაგენო“ — ტუვე დიტლევსენი („მოციმციმე ფარნები“), „ნეტავ, ისე გავლი დღენი, ყოველი წამი მაკავშირებდეს ბავშვობასთანო“ — უილიამ უორდსვორთი („გული ძგერს სიხარულით“), „და ვიღვიძებდი სოფლის სახლში, რომელიც გაქრა ბავშვობასავითო“ — დილან ტომასი („ვამლის ქალაქთა უფლისწული“)...

„სწორედ ბავშვის ხანის მოგონებაა რთული, რადგან მისი ხანა უგრძესია ყველა ხანაზე... დიდი ტოლსტოი, ჰოო, რა მართალია — პირველი წლიდან მეხუთე წლამდე ხანი უფრო გრძელია, ვიდრე მეხუთე წლიდან — მეოთხმოცე წლამდე... ეგებ უკან, პირველი წლის უკან, საშოსკენ, ხანი კიდევ უფრო მეტია... უთუოდ მეტია...“ — იტყვის გრიგოლ რობაქიძე „გველის პერანგში“.

სამყაროს დიადი წიგნები ბავშვობაზე ჰყვებიან, მხოლოდ პრუსტიას ან ორივე ვუ-ლფის რომანებიც რომ გაიხსენო, ნელა, დაგემოვნებით, ნება-ნებად საკითხავი „დაკა-

რგული დროის ძიებაში“, ან „შუქურასაკენ“, ან „მოხედე სახლს, ანგელოზო“, იხიბლები საოცარი აურით, რასაც კალმის თუ ფუნჯის მხოლოდ დიდოსტატური მონასში ქმნის. ხვდები, ყველაფერი იქ იწყება — ფერნის გორაკზე.

მთარგმნელთან „თავისით მისული“ ტექსტები (გავიმეორებთ, აბსოლუტურად განსხვავებულ ეპოქათა, სივრცეთა პოეტური ანარეკლები) ქმნიან „ნელსევდიან“, „ნათელსევდიან“ აურას, როგორც ზემოხსენებული დიდებული რომანების დიდებულ სივრცე ირეკლავს ყოფითი ტრანსცენდენტურს.

დახვეწილი ქართული გამოლანდავს მთარგმნელის მაღალ გემოვნებას, ენის განსაკუთრებულ ცოდნა-მეგრძნებას, რაც მხოლოდ დიდებულ ტექსტებთან მიახლებიას იქმნება/გროვდება/ყალიბდება. რამდენი რამ უნდა (წა)ეკითხა მშობლიურ და უცხო ენებზე ზაზა უჯმაჯურიძეს, რომ ეპოვა სწორედ ეს სტილი — სადა, მომჭირნე, უსამკაულო, რავინირებული...

თითქოს, აბსოლუტურად განსხვავებულ ეპოქა-სივრცეთა ტექსტებს კი არ ვკითხულობთ, არამედ კონტრაპუნქტს, პარტიტურას მივებალებით. თითქოს, რა უნდა ჰქონდეთ საერთო რუმისა და უორდსვორთს, უიტმენსა და ანდერსენს, გალაკტიონსა და ბლოკს?! „სივრცეებში თანაბრობის“ პრინციპით, ნებსით თუ უნებლიეთ (ალბათ, მაინც ნებსით) ნარჩევი ტექსტები მკითხველს მაღალი პოეზიის ალტერნატიულ რეალობაში ინვეფენ, სადაც, თუ ლია სტურუას დავესხებით, „მშვენიერი სასონარკვეთაა“, თუ ანას — „წყნარი სადგური“ („შენ მე ყოველთვის მომცემ წყნარ სადგურს, სულთ დასამკვიდრებს“).

პოეზია (მით უფრო, მაღალი პოეზია) არ არის ლოგიკურ-რაციონალური განსჯის სივრცე, ემოციაა, თანაგანცდა, სიტყვის სასწაული... ამ სასწაულებითაა სავსე კრებული „ვამლის ქალაქთა უფლისწულიც“. ესაა ონიანი ესეში „ფიქრები პოეზიაზე“ წერდა: „პოეზიაში სათქმელი და მოსასმენია არა ცალკე გამოყოფილი შინაარსობრივ ინფორმაციულ-მსჯელობრივი რალაც, არამედ — მკვეთრი, შეორეკსტრებულ-შეხირთვებული მთელი... ლექსის სათქმელი ამოწმდება მუდმივის, წარუვალის ფრთხილით, რაციონალურად შეუმჩნეველის, ყველასთვის ნაცნობ-ახლობლურის შეგრძნებინების, ყველა ადამიანში ჩამარხული საწყისისაკენ მზერის მიბრუნების თბილ-ინტიმური პულსაციით... ყველა ჭეშმარიტება ძველია. მხოლოდ ყოველჯერზე განმეორებული გარდატეხა ჭეშმარიტი ხელოვანის „მე“-ში გამოიხიბოს ხოლმე მათ ბურუსიდან ხელახალი სიცოცხლისათვის“.

„ყოველჯერზე უნივერსალური გარდატეხა ჭეშმარიტი ხელოვანის „მე“-ში, ბურუსიდან ხელახალი სიცოცხლისათვის გამომხიბილი“, მთარგმნელის მაღალი ძალისხმევით, გიმშობლიურებს ფერნის უელსურ გორაკებს, დანის ციმციმე ფარნებსა და სამყურას გრილ ველებს, ჩრდილოურ ზღვათა მშვიდ სრუტეებში თეთრფერა აფრებს, ფროსტის ამერიკის ღრმა, მშვიდ, ბნელ ტყისპირსა და გაყინულ ტბას, საღამოობით რომ შეგაყოვნებს, „ლეიკისტთა“ შოტლანდიის ტბისპირეთს, ათასობით ყვითელი ნარგვიზით გაანათებულს, ვაიშნავების უკვდავ ბგერასაც... ყველა ეპოქასა და ყველა სივრცეში ცხოვრობ — შენია ეს სასწაული, სხვათაგან სხვაგან სხვა დროს განცდილი და შენთვის „ნათარგმანები“ „ხელის-ხელ საგოგმანები მარგალიტები“...

ასეთივე რუფუნებით, სილბოთი, სინაზით (იქნებ, მეტითაც) საკუთარ „მარგალიტებს“ — ბარათაშვილსა და გალაკტიონს — უცხოელ მკითხველს წარუდგენს მთარგმნელი, უცხოთაც რომ განიცადონ, როგორ „(და)ჰქროლავს სასტიკი ქარი“ „ვარდისფერ ატმებს, იმ ატმის ყვავილებს“, როგორ „ქრის ქარი“ საქართველოში, რა ლურჯია ქართული „ცისა ფერი“ და რომ „სიკვდილის გზა არაა არის, ვარდისფერ გზის გარდა“...

ეს ყველაფერი ქართველთა ჯერაც მოსაყოლი გვაქვს სამყაროსთვის, როგორც აკა მორჩილაძე ჰყვებოდა ფრანკურტის წიგნის ფესტივალზე, როსტომ ჩხეიძე და ლანა კალანდია — ესპანურენოვან მკითხველთან...

სკანდინავიის მკაცრი სილამაზე, ალბათ (ჰაინეს ლექსისა არ იყოს), აღვიძებს იდუმალ ლტოლვას „პალმისა“ „ფიჭვისადმი“... ოდესღაც ნორვეგიელი ჰამსუნის

წარმოსახვა გააჩნდა „ზღაპრულმა ქვეყანამ“ — საქართველომ... გალაკტიონის „ჰამლეტის ქნარით“, ლია(ნა) ელიავას „ჩემი სკანდინავია“, არჩილ ქიქოძის „ნორვეგიული დღიური“ „პალმის“ ტრფიალია „ფიჭვისადმი“ — საქართველოსი — სკანდინავიისადმი.

კრებულის ბოლოს პოეტური გამხელაა „მიზეზთგარეშე სიყვარულის“ — ავტორის ორიგინალურ ლექსში: „მინას ვემთხვევი, ვით მოცელილი ბამბუკის ღერო“ — აღმოსავლური „ბამბუკი“ აქ დასავლური „მოაზროვნე ლერწმის“ ჯუფთია.

მესამე ათასწლეულის მესამე ათწლეული დგას და ნელ-ნელა იხდება ჯერაც აუხდელი „რკინის ფარდა“. უცხოეთის ჯერაც აღმოსაჩენი ჰყავს/აქვს საქართველო. გასახარია, რომ ჟამის „უკმარ სინათლესა“ და მშობლიურ სივრცეზე „ერთი დიდი ტყის მახლობლად“ ევროპელთათვის გასაგებ ენებზე ჰყვებიან ნინო ხარატიშვილი და ლეო ვარდიაშვილი, გამუდმებით პარალელიზდება საქართველო-ევროპა, გრძნობ, რომ, ემიგრირებული ჯოისივით, არც ემიგრირებული ქართველები არასდროს მიდიან არსად (როდესაც ჯოისს ეკითხებოდნენ, როდის ბრუნდებით ირლანდიაშიო, მიუგებდა, როდის დამიტოვებიაო). როდესაც ზაზა უჯმაჯურიძის მიერ ნათარგმნ „დანიას გაეჩნდი“-ს ვკითხულობ (ჰანს ქრისტიან ანდერსენს დიდებულ მეზღაპრედ ვიცნობდი და არა როგორც პოეტს), ვხვდები, „რა ნესტრით ნაჩხვლეტი“ არჩევს/ირჩევს მთარგმნელი სწორედ ამ ლექსს (ამ ტიპის ლექსებს) სათარგმნად... როგორ მოინატრებს მსოფლიო მეზღაპრე დანიის გარდასული დიდების დაბრუნებას, ან იეიტსი — ირლანდიისას, ან ყოველი ქართველი — საქართველოსას...

არ შევჩერდები ქრესტომათიული კონცეპტების — „სადაურსა სად წაიყვანა?“, „უცხოებაში რაა სიამე?“ — დარდიან არსზე, არც გურამიშვილისა და რობაქიძის ემიგრაციის მალაღ ტრაგიზმზე. ბალმონტს აქვს ფრაზა: „Дай нам чуждо звучащих льдин“ („Слово о Калидасе“). რუსი სიმბოლისტი ამას, ზოგადად, პოეტის/ხელოვანის/მოაზროვნის ყოფაზე ამბობს, მაგრამ, ვფიქრობ, ფრაზა-კონსტრუქცია ამ კონტექსტშიც გამართლებულია.

რევაზ სირაძე წერდა დავით გურამიშვილზე: „გურამიშვილის ყოფითი ცხოვრება იყო ლაბირინთი. ლაბირინთის თავი დააღწია „დავითიანმა“ — პოეტის სულმა. სულმა ჩამოაღწია საქართველოში... გურამიშვილს საოცრად ახსოვს ქართული ენა — მისთვის ესაა რაღაც ერთიანი, ყოვლისმომცველი სინამდვილე, რომელშიც იგი ცხოვრობს და შედის, როგორც ეკლესიაში“.

გემოვნებიანი, დახვეწილი მთარგმნელი დანიაში ქმნის თავის საქართველოს, ქართული სიტყვის საუფლოს, და შინ ბრუნდება — ქართულ სიტყვაში, როგორც ტაძარში.

ერთი მოთხრობაც მაგონდებოდა თარგმანთა კითხვისას, ზაალ სამადაშვილის დახვეწილი „ჩვენთან, მალმიოში“ (მერე რა, რომ მალმიო შევდეთშია, და არა დანიაში): ემიგრანტი მუსიკოსი საქართველოში ბრუნდება რამდენიმე დღით, კონსერვატორიაში კონცერტი უნდა გამართოს. მეგობრები, ორმოცს გადაცილებული მამაკაცები, ემიგრანტი და სამშობლოში დარჩენილი (ავადმყოფობის გამო რომ, სამწუხაროდ, კონცერტს ვერ დაესწრებიან) იგონებენ ბავშვობას, სიყრმეს, გარდაცვლილ მეგობარს. გაკრთება სილუეტი გოგონასი, რომელიც ყველას ჩუმად უყვარდა და ახლა მალმიოშია, მუსიკოსის მეუღლეა და დედა ორი უმწვენიერესი, მაღალი, ქერა, ცისფერთვალა ქართველი გოგონასი, არაფრით რომ განირჩევიან „ნორდიკული ტიპის“ შევდთაგან....

საუბრის ბოლოს მუსიკოსს დასცდება, „ჩვენთან, მალმიოში“...

— სად? — გაიმეორებს მწოლიარე, თითქოს ვერ გაიგონა, თითქოს მხოლოდ ქალაქის სახელი ეუცხოვა.

— ჩვენთან, მალმიოში, — მიუგებს მეგობარი“.

ტექსტი თითქოს კი არ მთავრდება, წყდება (როგორც რობაქიძე ამბობს ქართულ ცეკვაზე). მწერალი არაფერს განმარტავს და ღია ფინალით მკითხველს სააზროვნო (და გულსაგლეჯ) სივრცეს უტოვებს.

რასაკვირველია, სამყარო, ერთი მხრივ, ძალიან პატარაა, „მალმიოც“ „ჩვენია“/„ჩვენთანაა“, სტოკჰოლმიც, კოპენჰაგენიც, ჰელსინკიც, ოსლოც, ბარსელონაც, პარიზიც, ოკეანისგალმეთიც, პლანეტაც, გალაქტიკაც, მაგრამ როცა სოსო მემველიანის ან მამუკა წიკლაურის ტექსტებს ვკითხულობ...

წინადადებას მრავალწერტილით დავასრულებ, რო-

გორც ცვეტაევამ დაასრულა ერთი თავისი ცნობილი ლექსი:

*Тоска по родине – давно разоблаченная морока,
Мне совершенно все равно,
где совершенно одинокой
Быть... В дом(е), и не знаящем что мой,
как госпиталь или казарма...
Все равно и все едино...
Но если по дороге куст встает, особенно,
рябина...*

ესმა ონიანი ესეში „საჭურვლითა მით სიმართლისათა“ აღნიშნავდა: „გაიხსენეთ ჩინური ფილოსოფიიდან — აბსოლუტზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, არამედ — ეზოს კვიპაროსზე, აყვავებულ ღობეზე... პრუსტი „ეზოს კვიპაროსზე“ ჰყვება“.

„ეზოს კვიპაროსზე“, „ცირცელზე“, ფერნის გორაკზე, ტყისპირს „გაკვირვებულ“ ცხენზე წერდნენ ისინიც, ვისი პოეტური ნააზრევიც თავისი ნათელი და სევდიანი წიგნისათვის შეარჩია ზაზა უჯმაჯურიძემ, რათა, „ქართულის ღვთაებრივ ვიბრაციებთან“ (მაკა გოგუაძე, „ერზაცი ისევ ხუმრობს“) კიდევ ერთხელ ზიარებით, არა მხოლოდ თავად განეცადა მსოფლიო ბრძენთა, „მაღალთა და მაღლად მხედთა“, მაღალი სევდა და სიხარული, „ჩვენთან, საქართველოში“ და „ჩვენთან, მალმიოში“ მყოფთათვისაც განეცდებიან...

„ვაშლის ქალაქთა უფლისწულობისათვის“ აქეზებს მკითხველს ეს დახვეწილი წიგნი, „პატარა უფლისწულობისთვის“ (ეგზიუპერი), „ბედნიერი უფლისწულობისთვის“ (უაილდი), დანიელი უფლისწულობისთვის („ყოფნა-არყოფნა?! საკითხავი, აი, ეს არის!“), საერთოდ — უფლისწულობისთვის... თავისუფლებისთვის... თავისი ვარსკვლავის, ვარდის, მელაკუდას მონატრებისთვის...

უიტმენის ვერლიბრში „სწავლული ასტრონომის (გავიხსენოთ წმინდა წერილისეული — „მეცნიერებაი განალაღებს, სიყვარული — აღაშენებს“) ჭკვიანი ლექციით“ გაბზერებული პროტაგონისტი ჰყვება, ჩახუთული საკონფერენციო დარბაზიდან „გამოვლასლასდი, ღამის ნოტიო ჰაერზე ცაში მდუმარე ვარსკვლავებს ავაცქერდი და შევებით ამოვისუნთქე“.

„ვარსკვლავთა ჟიკჟიკის“ მელოდია მთარგმნელს ვაჟას პოეზიიდან ეხსოვება, ვარსკვლავიერი ცა და ზნეობრივი კანონი — კანტის ფილოსოფიიდან... კრებულის წინასიტყვაობაში თავმდაბლად ამბობს, „მიუხედავად მთარგმნელობითი პროფესიონალიზმის ნაკლებობისა, ჩემში ისმის ლექსის მუსიკა, მისი წყობა თითქოს გადასათარგმნება (ქართული იქნება თუ ინგლისური) წკრიალებს ჩემში... გავბედე და ძონივით ავაცვი ეს ლექსები აბრეშუმის ძაფს. ყველა ქმნილებას აქვს არსებობის უფლება — ისინი ხომ თავისით მოვიდნენ ჩემთან. დაე, იცოცხლონ, რამდენიც უნერიათ“...


ლექსები, ალბათ, მართლაც, „თავისით მოდიან“ (ბავშვებივით, მერცხლებივით, ციციანთალებივით, კნუტებივით, ლეკვებივით — მათ ვერავინ ვერასდროს ვერაფერს აიძულებს).

ვფიქრობ, ძალიანაც დიდხანს, სულაც, სამუდამოდ „უნერიათ“ სიცოცხლე ამ ლექსებს — შეების, ბავშვობის (მთელი სიცოცხლის საგზაოდ წარსატანი) მოგონებების, იმედების, განაზრებების, ნუგეშის წიგნია „ვაშლის ყვავილთა უფლისწული“, ღამის ნოტიო ჰაერით და ცაში მდუმარე (თუ „მოჟიკიკი“) ვარსკვლავებით... მოსაყვლი, „განსახილველი“ წიგნი არაა („Нельзя анатомировать душу“ — დოსტოევსკი, „თქვენ ღვთაებრივი ცრემლის წვეთები ხშირად წუმპეში გადაგინურავთ“ — ანა), შესაგრძნებია, საგზნები, განსამარტოებელი, ჩასაღრმავებელი, ფრთებისა (ვაჟა იტყოდა, „ფრთების“) და სიხარულის მომნიჭებელი.

უფლის ნებაა და ბედნიერება, რომ მკურნალი აგროვებს „მარგალიტებს“ (რუმისა არ იყოს, „ხამანკას მუცელში დაფლულს (რომ) ტალღა ვერ ამისვრევს“ და, „მარგალიტებით“ (თუ „აბრეშუმის ძაფზე აცმული ძონით“) ხელდამშვენებული, ბრუნდება შინ — „ჩვენთან (თავისთან!) — საქართველოში“ „მალმიოდან“, სრულიად სამყაროდან, რომელიც ღმერთმა „ჩვენ, კაცთა, მოგვცა“... ყველგან შინაა — სიტყვასთან, უფალთან...

...სარკმლის მიღმა კი ქვის ქალაქ(ებ)ს „ვაშლის ქალაქ(ებ)ი“ ენაცვლება...

დანიაშიც... საქართველოშიც...



გიორგი კუცია

დუმილის დარღვევა

ფრაგმენტები
მომავალი
წიგნიდან

ტახტომანი

გულისრევის და თავის ტკივილის შეგრძნება ერთდროულად. ცივ ყავას ვწრუპავ ბოთლიდან და ღერს ღერზე ვწევ. რამდენიმე დღეა, 3 კოლოფზე ავედი. აგვისტოა. ცხელა, ცხელა, ცხელა საღამოს სამსახურიდან დაბრუნებული ჩემს ოთახში მოვთავსდი. ცოტა ხანში შორტებში გამოვდი და ტახტზე წამოწოლილი ძმას ვკითხე, რას შვრები. არაფერს, რას ვშვრები, მიპასუხა მან. დღეს ადრე გავიღვიძე, კომპიუტერი ჩავრთე და შევიტყვე რა, რომ წუხელ გვიან ღამით გამართული მატჩი, პიაჩენცა-ლჩე, ჩემთვის სასურველი შედეგით დამთავრებულიყო, კარგ ხასიათზე დავდექი, ხელები მოვიფშვნიტე და ბილეთში ერთადერთ თეთრად დარჩენილ მატჩზე ჩავფიქრდი. გუშინ უფროსი დეიდაშვილის გარდაცვალებიდან 17 წელი გავიდა. სასაფლაოზე ვიყავი. ყვითელფურცლებიანი ყვავილები ავიტანე და დეიდას საფლავის ქვასთან ქოთანში ჩავდე. შემდეგ დეიდას ვიხსენებდი და თვალზე ცრემლი მომადგა. ნამდვილი ქრისტიანი იყო. ასეთ ადამიანებს რამდენიმე საუკუნით ადრე წმინდანად რაცხდნენ.

ისევ დიდა

სიგარეტი აწყნარებდა. ერთხელ სოფელში, საღამოს, თავსხმა წვიმაში ერთად გავიარეთ ნახევარი კილომეტრი, სიგარეტი რომ გვეყიდა. სატელევიზიო ვიქტორინები და ინტელექტუალური თამაშების ყურება უყვარდა. ძალიან განათლებული ქალი იყო. ზოგის ნაკითხობის ფასი წიგნის სათაური ექნებოდა ნაკითხული. იმ საღამოსაც გავიდა. თავის საწოლზე წამოწვა და გვერდზე გადავარდნილი ლიტერატურული გაზეთით და ცალსაყურისათვის სათვლით დამხვდა. ნახევარ საათში მოვწიე მისი დარჩენილი ოთხი ღერი სიგარეტი „პირველი“. უნდა გენახათ მისი ახალგაზრდობის სურათები, ვერაფრით დავაჯერებდით, რომ შეიძლებოდა, ასეთი ყოფილიყო ოდესმე.

აქ დავამთავრებ

ასე რომ, მოდი, აქ დავამთავრებ ამ წიგნს. როცა ჩემი ცხოვრება დამთავრდება, ეს წიგნი დარჩეს იქნებ. ნუ დამძრახავ, რომ რაღაცნაირი წიგნი დავწერე და ნურც იმას იტყვი, რომ ეს წიგნი არ არისო. ჰოდა, დუმილი აქაც ვერ დავძლიე, მოვიდა დუმილის დრო, ვდუმდები და შემდეგ გასაუბრებამდე გემშვიდობები, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ლევანჩოს მიერ ნაბოძები სიგარეტის წევით. შეხვედრამდე.



ჟოჰანო კარგი ახალი ნიგნის თარგმნა მნიშვნელოვანია თანამედროვე ქართული სალიტერატურო პროცესებისთვის. ერთი მხრივ, საინტერესოა, ევროპაში რა ტიპის ნიგნები იწერება და გამოიცემა, მეორე მხრივ, ისინი გავლენას ახდენენ, შთაგონებას იწვევენ, ინსპირაციის წყაროები ხდებიან მწერლებისა თუ მეცნიერებისთვის. ამ ნიგნმაც შეიძლება დაბადოს იდეა, რომ მსგავსი ფორმატის ნიგნი გამოიცეს, მაგალითად გლაკტიონზე, რადგან მასაც ბევრი მშვენიერი, კონცეპტუალური ჩანახატი აქვს.

იშვიათი შემთხვევა არ არის, როდესაც მწერლები ხატავენ. მხატვრული ლიტერატურა ისეთი უნივერსალური ხელოვნებაა, რომელიც ფერწერასა და მუსიკას თავისთავად გულისხმობს, მაგრამ როცა ამას ემატება ისიც, რომ ავტორი არა მხოლოდ სიტყვას იყენებს ფუნჯად („სიტყვა ჩემი ფუნჯია“, — წერს კონსტანტინე გამსახურდია), არამედ თვითონ ფერს, ხაზსა თუ შუქ-ჩრდილებს ტილოზე აღბეჭდავს, მაშინ მკითხველისთვის კიდევ ერთი რაკურსით საინტერესო ხდება შემოქმედი. მაგალითად, პოლო იაშვილი პარიზში ხატვის შესასწავლად წაიყვანა; მიხეილ ჯავახიშვილიც წერს, რომ თავდაპირველად მხატვრობა უფრო იზიდავდა, თუმცა მერე სიტყვის სიყვარულმა გადასცალა.

ფრანც კაფკას ნახატებიც მისი სულის ნაწილია, მისი ფიქრის ნაკადების ამრეკლავი და გამომხატველი, აბსტრაქტულსა თუ სხეულებრივ ფორმებში ის თავის გაუნელებელ ტკივილს, მარტოსულობას, გაუცხოებას და ეგზისტენციალურ კრიზისს გამოხატავდა. ხაზებსა და ფერებში აქსოვდა იმ განცდებს, რომელთაც სიტყვებში ვერ ატევდა და ამ გზითაც ცდილობდა მტანჯველი ფიქრებისაგან გათავისუფლებას, მათი „გარეთ“ გამოტანის გზით. ეს ნახატები თანვე საიდუმლო, მეტაფიზიკური, მისტიკური აზრის მატარებელიც არიან, რადგან ბოლომდე არ ამხელენ სათქმელს, ამიტომაც მათი ნახვა მკითხველს სულის სიღრმეებისკენ უკვალავს გზას. ის არა მხოლოდ კაფკასთან მისასვლელ კიდევ ერთ გზას პოულობს, არამედ საკუთარი თავისა თუ სამყაროს შემეცნების გზასაც ადგება. ფრანც კაფკა რომ ხატავდა, კაფკას მოყვარულმა ქართველმა მკითხველმა, სავარაუდოდ, იცოდა, მაგრამ თუ ასეთი სერიოზული იყო მისი გატაცება, მხოლოდ ამ ნიგნით წარმოჩნდება, რომელიც ანდრეას კილხერმა პაულ შმიდტთან ერთობლივი თანამშრომლობით გამოსცა. ნიგნს ამრავალფეროვნებს ჯუდით ბატლერისა და ანდრეას კილხერის ესეები, რომლებშიც ამ ნახატთა საინტერესო ინტერპრეტაციებია წარმოდგენილი. ეს შესანიშნავი ნიგნი-ალბომი მაია პეტერ-მერიანაშვილმა, უკვე გამოცდილმა მთარგმნელმა, ჩინებულად გადმოაქართულა და გამომცემლობა „იბის-მა“ გამოსცა.

ქართველ მკითხველს უყვარს ფრანც კაფკა, მისი სიმბოლურ-ალეგორიული, გამორჩეული, პირქუში, მაგრამ მახვილგონივრული, ღრმააზროვანი სამყარო. ამიტომაც, ვფიქრობ, სიხარულით მიიღებს ამ ახალ გამოცემასაც. ნიგნი მრავალფეროვანია და მასში თავმოყრილია ის ნახატები, რომლებსაც კაფკა არა მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებთა ხელნაწერებში, არამედ პირად წერილებში, დღიურებსა და ბლოკნოტებში, სამოგზაურო ჩანაწერებში გვხვდება. ამავე დროს, ჩანახატებისთვის ცალკე რვეულიც ჰქონდა. ეს ყველაფერი გულდასმით არის მოძიებული, კლასიფიცირებული, სისტემატიზებული და სტრუქტურირებული, რათა მკითხველი გაერკვეს კაფკას ნახატთა უცნაურ, უჩვეულო, მაგრამ მიმზიდველ ლაბირინთებში. ეს ნახატებიც ისეთივე მრავალფეროვანი ფიქრების აღმძვრელია, როგორიც მისივე რომანები და მოთხრობები.


ნიგნს წინ უძღვის ანდრეას კილხერის ნაშრომი „კაფკას ნახატების ისტორია და ხვედრი“, რომელიც კარგად წარმოაჩენს, თუ რა იყო მიზეზი იმისა, რომ კაფკას ნახატებს მკითხველი სათანადოდ და ზედმიწევნით, სრულყოფილად არ იცნობდა. აღსანიშნავია, რომ ეს ნაწილი დეტექტივით იკითხება, რადგან მკითხველი თვალს მიადევნებს კაფკას ნახატთა უცნაურ ბედს. როგორც ცნობილია, კაფკამ მეგობარ მწერალ მაქს ბროდს სთხოვა, რომ მისი ნაწერები და ნახატები დაენვა. მაქს ბროდმა ეს დანაბარები არ შეუსრულა, ბევრი რამ გამოაქვეყნა, მაგრამ ნახატთა დიდი ნაწი-

ლი გამოუქვეყნებელი დარჩა. კაფკას სამხატვრო ნიჭზე კი მისი მხოლოდ ორმოციოდე ხელმისაწვდომი ნახატის მიხედვით ზერელე წარმოდგენის შექმნა შეიძლებოდა. ამ ცნობილ ნახატებს ძირითადად კაფკას ნიგნის ყდების გაფორმებისას იყენებდნენ. ამ თვალსაზრისით, არსებითად ვარიაციულად მეორდებოდა ერთი და იგივე ილუსტრაციები. 2002 წელს იმ დროს ხელმისაწვდომი ნახატების კოლექცია ნილს ბოხოვმა და მარიკე ვან დორსტმა გამოსცეს სახელწოდებით: „ერთხელ, დიდი მხატვარი: ფრანც კაფკა, როგორც მხატვარი“. ბოლო დროს გახდა ხელმისაწვდომი მწერლის მეგობრის, მაქს ბროდის უჯრებში ჩაქტილი ნახატების გაცნობა. ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა, მათ შორის, სასამართლო პროცესებისაც, გახდა საჭირო, რომ საბოლოოდ კაფკას ნახატებს თავი დაეღწია კერძო კოლექციათა ტყვეობიდან და დღის სინათლე ეხილა.

მაია ჯალიაშვილი

გაუშიფრავი იერობლივები

ფრანც კაფკას ნახატთა ოდისეა



ამ ნარკვევიდან წარმოჩნდება, რომ კაფკა ხატვით სერიოზულად სტუდენტობის დროსვე დაინტერესებულა, ის არა მხოლოდ ხატვის გაკვეთილებზე დადიოდა, არამედ ხელოვნების ისტორიის ლექციებსაც ესწრებოდა. მაქს ბროდი თვითონაც ხატავდა და ამიტომ კარგად ესმოდა კაფკას ნახატების ფასი — სთხოვდა, არაფერი გადაეყარა, თვითონ უფროსილდებოდა და აგროვებდა, თუმცა კაფკა ამ ნახატებს გულგრილად ეკიდებოდა. ბროდი იხსენებს, რომ ზოგიერთი ნახატი კაფკას იურიდიული კვლევების კიდებდა ანაქს კი ამოჭრა, რომ არ დაკარგულიყო. თუმცა, მწერალი ამ ნახატებს გარკვეულ მნიშვნელობას რომ ანიჭებდა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ თავის „ანდერში“ გასანადგურებელთა შორის მოიხსენია. ბროდმა კიდევ ერთი გაბედულება გამოიჩინა, როდესაც კაფკას არქივი გერმანული ნაციტების ხელში ჩავარდნისაგანაც გადაარჩინა. იგი ფაშისტთა დაპყრობილი ჩეხოსლოვაკიიდან პალესტინაში გაიქცა და თან კაფკას ხელნაწერებით სავსე ჩემოდანი წაიღო. ბროდი ყოველმხრივ ზრუნავდა, რომ ამ ხელნაწერთაგან არაფერი დაკარგულიყო, თვითონვე მოამზადა და გამოსცა მათი დიდი ნაწილი. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ბროდის ნიგნი კაფკაზე „მოგონებები და დოკუმენტები“ 1935 წელს ნაციტური რაიხის ლიტერატურულმა პალატამ აკრძალა და იგი პრალაში გამოიცა, აქ პირველად გამოქვეყნდა კაფკას რამდენიმე ნახატი. როგორც ავტორი წერს, კაფკას ხელნაწერთა ოდისეა გრძელდებოდა. მისი მემკვიდრეობა ისრაელიდან შვეიცარიის ბანკის სეიფებში გადაიტანეს. ბროდი ყველანაირად ცდილობდა კაფკას არა მხოლოდ ნაწარმოებთა, არამედ ნახატთა პოპულარიზაციას, მან ამ მიზნით მწერლის ნახატები მუზეუმებსაც სიმბოლურ ფასად მიჰყიდა, რათა მათი ღირებულება წარმოჩენილიყო. ბევრი ხიფათისა და თავგადასავლის შემდეგ კაფკას ნახატთა დიდი ნაწილი ისრაელის ბიბლიოთეკაში მოხვდა და ფართო აუდიტორიისთვის ხელმისაწვდომი 2019 წლიდან გახდა (150 ნახატი). კილხ-

ერის აღნიშნავს, რომ ხელნაწერების ფურცლებში ნაპოვნ ნახატებში არა მარტო ფიგურალურ სხეულისა თუ სახეების ფორმებს ვხვდებით, არამედ ორნამენტულ ესკიზებსაც. ზოგიერთი მათგანი აშკარად წერის პროცესში შეიქმნა, ამიტომ წერასა და ხატვას შორის ზღურბლზე იმყოფებიან. ეს ეხება, მაგალითად, „პროცესის“ მანუსკრიპტს, ასევე „კოშკის“ ხელნაწერსაც. ზოგიერთი ნახატი კი დამოუკიდებელი ღირებულებისაა.

სამანწილიან ნიგნში კაფკას ყველა შემოჩენილი და ხელმისაწვდომი ნახატია წარმოდგენილი ქრონოლოგიური პრინციპით იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ნახატი სავარაუდოდ დათარიღებულია. აქ არის დამოუკიდებლად შექმნილი, ტექსტის ინსპირაციითა და მწერლის წერის პროცესში შექმნილი ორნამენტული ნახატები, რომლებიც ფიქრის მდინარეებს ვიზუალურად მიჰყვებიან. ნახატთა რეპროდუქცი-

რებისას ავტორებმა, მცირე გამონაკლისის გარდა, დაიცვეს ორიგინალის ფერები და ზომები. ანდრეას კილხერი მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც ამ მნიშვნელოვანი გამოცემის პროცესში მიიღეს მონაწილეობა.

კაფკას ნახატთა ერთგვარ გზამკვლევადა წარმოგვიდგება ანდრეას კილხერის წერილი „ხატვა და წერა კაფკას შემოქმედებაში“. იგი მოიხმობს ახალგაზრდა გუსტავ იანოშის მიერ კაფკასთან 1920 წელს ჩანერილ დიალოგს, რომელიც 1947 წელს გამოიცა სათაურით: „ფრანც კაფკამ თქვა“. იგი საეჭვოდ მიიჩნევს კაფკას შემდეგ ნათქვამს და მას თვითონ იანოშს მიანერს: „ჩვენ, ებრაელები, არა ვართ მხატვრები. ჩვენ არ შეგვიძლია საგნების სტატიკურად გამოსახვა. ჩვენ მათ გამუდმებით მოძრაობაში, დინებაში, ტრანსფორმაციაში ვხედავთ. ჩვენ მოთრობელები ვართ“, „თავი დავანებოთ ამას, მოთრობელი თხრობაზე ვერ ილაპარაკებს, ის ან ჰყვება ამბავს, ან დუმს. სულ ესაა. მისი სამყარო მასში იწყებს ჟღერას, ან დუმს იმდროინდელ“. მისი აზრით, იანოში იმეორებს ებრაული რელიგიის კლიშეებს, ერთი მხრივ, აზრს, რომელიც ეფუძნება ხატვის აკრძალვას და აქედან ყალიბდება შესხედულება, თითქოს ებრაელები უუნაროები არიან მხატვრობაში. მეორე მხრივ, ებრაელთა მომთაბარეობას უკავშირდება აზრი „გამუდმებით მოძრაობაზე“. კილხერი ამ ნახატებს არა ნაწარმოებთა გაგრძელებად, ან ილუსტრაციებად, არამედ დამოუკიდებელ ქმნილებებად მიიჩნევს. მისი აზრით, ნახატსა და წერას შორის დამოკიდებულება გამოსახულების პერსპექტივიდან უნდა იქნას განხილული, ამავე დროს, აუცილებელია გაკეთდეს სისტემური ანალიზი კაფკას ნაწერებსა და ნახატებს შორის დამოკიდებულებისა.

რენესანსისა და ბაროკოს ხელოვნების ექსპერტი ოსკარ პოლაკი სტუდენტობისას კაფკასთან მეგობრობდა. სწორედ მისი გავლენით მწერალი ფერწერით დაინტერესდა. ბროდმა 1928 წელს დაწერილ რომანში „სიყვარულის ჯადოსნური სამეფო“ კაფკას უბრალო ავეჯით განწყობილი ოთახი აღწერა, კედლებზე ორიოდ სურათით. ერთი ჯანს თომას „გუთნის“ რეპროდუქცია იყო, მეორე კი მოცეკვავე მენადის ანტიკური რელიეფი. მას მოსწონდა მხატვარ ლუდვიგ რიხტერის ნახატები, დაინტერესებული იყო მისი ბიოგრაფიითაც. კაფკას აინტერესებდა იაპონური ხელოვნებაც და ესწრებოდა ამ თემაზე ემილ ორლიკის ლექციებს. ავტორი ფიქრობს, რომ იაპონური ფერწერის ეს თემატიკა გავლენა მოახდინა კაფკას წერისა თუ ხატვის მანერაზე. კაფკა არა მხოლოდ ნიგნებს კითხულობდა ხელოვნებაზე, არამედ გამოფენებზეც აქტიურად დადიოდა. მას წაუკითხავს ვან გოგის წერილები, გოგენის ავტობიოგრაფია, როდენის „საუბრები ხელოვნებაზე“... ის დაახლოებული იყო ახალგაზრდა ნოვატორ მხატვრებთანაც. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაქს ბროდთან ერთად იტალიას და საფრანგეთში მოგზაურობამ. გზაში წერდნენ დღიურებს და ხატავდნენ. თავის დღიურში მან ლუერის მხატვრებისა და ნამუ-

შევრების საკუთარი სია შეადგინა. ეს სია მოიცავდა კლასიკურ ხელოვნებას ანტიკური ხანიდან, ბაროკოს ჩათვლით, ტიცინს, რაფაელს, ველასკეს, რუბენს და სხვებს, ასევე, ორ საკულტო ქანდაკებას, ვენერა მილოსელსა და ბორგეს მუზეუმის გლადიატორს, რომლებსაც დღიურში დანვრისლებით განიხილავს. შემდეგ მან თავისი ჩანახატებიც გააკეთა ბორგეს გლადიატორის ვარიაციებით. ოცნებობდა გზამკვლევის შედგენასა და გამდიდრებაზე, რათა სამსახურის რუტინისაგან თავი დაეღწია.

მან გაიცნო ორი თანამედროვე მხატვარი, ალფრედ კუბინი და კურტ საფრანსკი, რომლებიც პრალაში ბროდს ესტუმრნენ. ალფრედ კუბინზე აღფრთოვანებული წერილიც გამოაქვეყნა. მოსწონდა ალფრედ კუბინის გროტესკული და ფანტასტიკური სტილი. 1932 წელს კუბინმა კაფკას მოთხრობა „სოფლის ექიმისთვის“ ექვსი ჩანახატი შექმნა. 1913 წელს კაფკა თავის დანიშნულ ფელიცე ბაუერს წერს სიზმრის შესახებ, წუხს, რომ სიტყვებით ვერ გადმოსცემს, რეალობისგან განსხვავებით, რა ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, ამიტომ ჩანახატს აკეთებს წერილში: „ოჰ, ღმერთო, რა ძნელია ქალღმერთზე ამის გადატანა. რანაირად უნდა აღვინერო, როგორ მივსერილობდი ხელი-ხელჩაკიდებულნი, თითქოს დისტანციით, მაგრამ მაინც საოცრად ახლოს... მოიცა, დაგახატო“. ფელიციას იმასაც სწერს, რომ ადრე ხატვა ძალიან იზიდავდა და სიამოვნებდა.

მხატვარი ფაიგლი კაფკას ნახატებს ექსპრესიონიზმთან, კუბიზმსა და სიურრეალიზმთანაც აკავშირებდა: „ნამდვილი ხელოვნება ყოველთვის სინთეზია. კაფკას სული უმთავრესად ანალიტიკურად დაშლილია, შინაარსი არა აქვს. მას არ გააჩნია არანაირი ეფექტური შინაარსი, არც ფორმა. კაფკას ობიექტია არარაობა. ის თავის ანალიზს აანალიზებს. სწორედ ასეა კუბიზმშიც, სიურრეალიზმშიც“. კაფკას ესკიზი მიანდა ხელოვნების ნამდვილ ფორმად. ამიტომაც ხშირად სწორედ ასეთ ესკიზებს ხატავდა. მისი ფიგურები შტრიხებით, ლაქებით არის წარმოდგენილი, დინამიკური და ექსპრესიულია. მისი ნახატების სიმბოლურობა დიდ ადგილს ტოვებს ნაირგვარი ინტერპრეტაციებისათვის. თავის ნახატებს „გაუშიფრავ იეროგლიფებს“ უწოდებდა. არ არის კლასიკური ნახატისთვის დამახასიათებელი სილამაზე, პროპორციები. კრიტიკოსთა აზრით, ის ბევრ მოდერნისტულ მიმართულებას ეხმანება, თუმცა არანაირი კლასიფიკაციის ჩარჩოში არ ეტევა, როგორც მისი ლიტერატურულ შემოქმედებაში, ნახატებშიც თავისუფალი და ზღვარგადალახულია. იგი განსაკუთრებით ინტენსიურად აკეთებდა ჩანახატებს, როდესაც წერისას ყოვნდებოდა. მისი გამოხატვა ფორმას იცვლიდა: „ჩემი ცხოვრების ხუთი თვე, როცა ვერაფერი დავწერე“. წერის უუნარობის გამოსახატავად კაფკამ გრაფიკულად გამოსახა ჰაერში გამოკიდებული კიბიდან ჩამოვარდნილი კაცი, რომელიც წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობს. ეს სახე შთაგონებულია აკრობატული იაპონური ხელოვნებით, რომელიც კაფკამ პრალის თეატრალურ ვარიეტში ნახა.

ერთ ჩანახატთან დაკავშირებით იგი სწერს მილენა იესენსკას: „იმისთვის, რომ დაინახო, რით ვარ „დასაქმებული“, წერილს დავურთავ ნახატს, მასზე ოთხი ძელია. ორი შუაში გადებული ჭოკით, რომელზეც „დამნაშავეს“ ხელებია მიმაგრებული. ორი გარე ძელი კი ფეხებისთვისაა. ძელების და-




შორებისას მასზე მიმაგრებული ადამიანი შუაზე გაიხევა. ძელზე მიყუდებულია ამის ჩამდენი, გადაჯვარდინებული ხელებითა და ფეხებით და თავი ისე მოაქვს, თითქოს ეს ყველაფერი მისი ორიგინალური გამოგონება ყოფილიყოს. არადა, მან ეს ყასბის-აგან გადაიღო, რომელიც თავისი მაღაზიის წინ გამოშვებულ ღორს ჰკიდებს“. კაფკა სიფრთხილით ეკიდებოდა თავისი ნაწარმოების ილუსტრირებასაც და ხშირად არ მოსწონდა გამომცემელთა არჩევანი. მაგალითად, როდესაც მისი „მეტამორფოზა“ უნდა გამოეცათ, გამომცემელს მისწერა, რომ მწერი საერთოდ არ დაეხატათ: „მწერი არ უნდა გამოჩნდეს... თუ მეც მაქვს უფლება, ილუსტრაციისთვის შემოთავაზება თავად გავაკეთო, მაშინ იმ სცენას ვირჩევდი, სადაც მშობლები და მმართველი ოთახის დაკეტილი კარის წინ დგანან, ან უფრო უკეთესი იქნებოდა, მშობლები და და განათებული ოთახში იმ ღროს, როცა ბნელით მოცული მეზობელი ოთახის კარი ღიაა“. არ უნდოდა, რომ ილუსტრაციას ტექსტზე დომინანტური როლი შეესრულებინა და დაერრილა ნაწარმოების პარაბოლური შინაარსი.

საინტერესო და საგულისხმო დაკვირვებებითაა სავსე ჯუდიით ბატლერის ესეი („მაგრამ რა ნიადაგი! რა კედელი!“ კაფკას ესკიზები სხეულებრივი ცხოვრებისა), რომელშიც კაფკას ნახატები მისივე ნაწარმოებებითაა ახსნილი. ერთი შეხედვით, მისი ჩანახატების გმირები თავისუფალნი არიან გრაფიტაციისგან: „გვათავისუფლებს თუ არა სხეულის ესკიზი მიწასთან შეხების ფუნდამენტური მოთხოვნილებისაგან? როგორც ჩანს, მიწასთან შეხების შეუძლებლობა კაფკას შემოქმედებას გასდევს ისევე, როგორც მიწაზე დარჩენის ან კედლეზე მიყრდნობის პრობლემა“. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით, მარკ შაგალის ნახატებიც შეიძლებოდა გაგვეხსენებინა. ჯუდიით ბატლერი იხსენებს კაფკას „მეტამორფოზასა“ და „განაჩენს“, რათა წარმოაჩინოს სხეულისა და სულის დამოკიდებულება. რადგან კაფკას ნახატები მისსავე ნაწერებშია მიმოხეული, სვამს კითხვას: „სად მთავრდება ნაწერი და სად იწყება ნახატი?“ თვითონვე ასე პასუხობს: „ნახატებში გრაფიკული ხაზები ისე მოძრაობენ, თითქოს ჰორიზონტალურობას ეთამაშებიან ან ეწინააღმდეგებიან, ზოგჯერ აკრობატულად, პაერში, ან ზოგჯერ რაღაც შეუძლებელი გზით გადაჭიმულნი, მოხრილნი. ისინი წონასწორობას ინარჩუნებენ ფეხებზე, რომლებითაც ნიადაგს არ ეხებიან, დალივლივებენ. ზოგან კი ჩანს კონტურული არასრული მონახაზი სხეულისა, რომელიც გრაფიტაციას, სხეულის პოზასა და ფორმის ერთიანობას გამოხატავს“.

აი, როგორ აღწერს ჯუდიით ბატლერი კაფკას ცნობილ ნახატს, მაგიდაზე დახრილ ფიგურას: „ნახატის კუთხოვნება ახლოსაა წრფის გეომეტრიულ გაგებასთან, თუმცა არა კუბისტურთან. ამ ნახატში სხეულს აშკარა მოცულობა აქვს. ხელები ხის ფრთებივითაა წარმოდგენილად მოხრილი, გაფშეკილი იდაყვებით. ფეხის თითები ისეა მიმართული, რომ მარცხენა ფეხი თითქმის სრულიად სწორია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, გეგონება ნახატი მწერლის მაგიდაზეა გადმოხრილი, მაგრამ შეიძლება ასევე დაცემული მოცეკვავეც იყოს... კაფკას ნახატებს რომ ჩაენვდეთ, უნდა დაფუკვირდეთ, თუ როგორ თავისუფლდება სტრიქონის გრაფიკული განზომილება წერილობითი ტექსტისგან და როგორი იღებს ახალ ფორმებს“.

ალბომის ბოლო წერილია პაველ შმიდტის „აღწერილობითი კატალოგი“, რომელშიც იგი წარმოაჩენს, რომ კაფკას ნახატთაგან ზოგი ჰეტერონომიულია, ესე იგი, კონკრეტულ ნაწარმოებს გარკვეული კუთხით უკავშირდება და ზოგი — ავტონომიური, რაც იმას ნიშნავს, რომ ნახატი საკუთარ თავს თვითონვე ხსნის და სხვას არაფერს მიემართება, ნახატი ქმნის მატერიალურ ფორმაში რაღაცას, რაც მანამდე არ არსებობდა. კაფკასთვის დამახასიათებელია სიტყვა-ნახატები. იგი წარმოაჩენს, რა გახდა საფუძველი ნახატთა გარკვეული წესით დალაგებისა. ავტორებმა, ძირითადად, დაიცვეს მათი შექმნის ქრონოლოგია. რაც შეეხება ორნამენტებს, რომლებსაც კაფკა ხშირად ხატავდა წერილსას, ამ ალბომში არ შეუტანიათ. წიგნი შესანიშნავი საჩუქარია კაფკას შემოქმედების მოყვარულთათვის.



პროვინციული ხუმრობები

ეს აბბაპი დიდი ხნისწინ მოხდა, როცა საქართველოს სოფლებში კოლმეურნეობები არსებობდა. არ დავასახელებ იმ რეგიონსა და სოფელს. ამ სოფლის მოსახლეობა გამოირჩეოდა თავისი ხუმრობებითა და კურიოზებით. პატივცემულო მკითხველო, მინდა, თქვენც გაგახალისოთ მათი სახუმარო ამბებით. სახელებს შევცვლი, რათა იქაურთა რომელიმე შთამომავალს უნებლიედ არ ვანყენინო, თუმცა რაა აქ სანყენი? სოფელში ძალიან უყვართ ზედმეტი სახელის შერქმევა და მეც ზოგს ამ სახელით მოვისენიებ, თუმცა შემთხვევითი დამთხვევაც შეიძლება მოხდეს.

მიშა კაკუჩამ სახლის აშენება გადაწყვიტა. მშენებლებად თანასუფლელები მიიყვანა. მუშაობის დროს კურკა ვანოს წელი გაუშუშდა. ძალა დამადგაო, დაიჩემა. სოფლის ხუმარების „საიდუმლო საბჭომ“ რომელსაც პირობითად ამხანაგური სასამართლო ეწოდებოდა და პირადად კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა, ასეთი რამ მოიგონა — თავმჯდომარის კაბინეტში განიხილა დაზარალებული კურკა ვანოს „საჩივარი“, სადაც იტყობინებოდა, რომ მიშა კაკუჩას სახლის მშენებლობისას დაიზიანა წელი და დაუქვეითდა მამაკაციური პოტენცია. სასამართლოს სხდომას ესწრებოდა თვით „ბრალდებულიც“. ცოტა ხანში წაიკითხეს განაჩენი: „ბრალდებულს დაეკისროს 500 მანეთი ჯარიმა დაზარალებულის სასარგებლოდ (რაც იმ დროს საკმაოდ დიდი თანხა იყო) ან დილა-სალამოს მასაჟი გაუკეთოს კურკა ვანოს დაზიანებულ ადგილებზე. ფერდაკარგული კაკუჩა მიშა თავჩაქინდრული ისმენდა „განაჩენს“. დაფიქრდა, სად ვიშოვო ამდენიო ფულიო. ბოლოს თავი ასწია და თქვა: „რთული საქმეა, მაგრამ მასაჟს ვირჩევო“. აი, იქ ატყდა სიცილი. „ბრალდებული“ ჯერ ვერ გამოერკვა, მერე მასაც აუტყდა სიცილი, როცა მიხვდა, რომ ჯარიმასაც და მასაჟსაც ასე იოლად გადაურჩა.

მეორე ამბავი ქეიფის დროს მოხდა. მთელი სოფლის კაცები შეიყარნენ კაკუჩა მიშას სახლში და ახალმოსახლეობას აღნიშნავდნენ. „ზალაში“ გაეშალათ უზარმაზარი სუფრა. სადღეგრძელოს სადღეგრძელო ცვლიდა. სუფრას მხოლოდ არტისტი ზაქრო აკლდა. ქალაქშია წასული მნიშვნელოვან საქმეზეო, თქვეს ოჯახის წევრებმა. სინამდვილეში არტისტი ზაქრო მიშასთან ადრიდანვე მივიდა და გვერდით ოთახში სახუმარო ორნისათვის ემზადებოდა. ზაქროს ერთი-ორი ეპიზოდური როლი ჰქონდა ნათამაშები კინოფილმებში და სოფელმა არტისტი შეარქვა. რადიოხაზი მოაწყო ისე, რომ „ზალაში“ უზარმაზარი „პრიომნიკით“ რასაც წინა ოთახში მიკროფონში დაილაპარაკებდა, რადიოგადაცემასავით მოისმენდნენ მოქიფეები. სახლის პატრონი შეთანხმებული იყო ოინბაზ არტისტთან, ხალხო „ამერიკის“ ხმა უნდა მოგასმენინოთო, გამოუცხადა სუფრასთან მსხდომებს. „ამერიკის ხმის“ მოსმენა მაშინ იკრძალებოდა და ყველამ ყურები ცქვითა. სურვილი და ინტერესი დიდი იყო. მასპინძელი მიუახლოვდა რადიომიმღებს და ხმას აუწია: „ლაპარაკობს ამერიკის ხმა ვაშინგტონიდან, — გაისმა ეთერში, — მეგობრებო, დღევანდელი გადაცემა ეძღვნება არა ამერიკის შეერთებულ შტატებს, არამედ საქართველოს ერთ ულამაზეს სოფელს“ და ასახელებს ამ სოფელს. გაოცებულმა სოფლელებმა პირები დაალეს. „მეგობრებო, — გან-

აგრძობს დიქტორი, — უმოწყალოდ იჩეხება ამ სოფლის უმშვენიერესი ხე-ტყე. ამ საქმეში კი დიდი წვლილი მიუძღვის სოფლის მეტყვევს, სინამდვილეში ბრაკონიერსა და ტყის გამჩანაგებელ კუნძი შალიკოს“. მეტყვევე შალიკო უჩუმრად წამოინია და შეუშრწევლად გაიძურნა კარებისაკენ. — სად მიხვალ, შეკაცო! — მიაძახა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, — ე, ბიჭო, ხუმრობაა, მობრუნდი!

სანამ გვერდითა ოთახიდან არ გამოვიდა სიცილისაგან აჭარხლებული ზაქრო, ვერ დაიჭერა კუნძი შალიკომ რომ ეხუმრებოდნენ.

ზოგი ჭირი მარგებელიაო ნათქვამია და იმის შემდეგ მართლაც შეჩერდა ხე-ტყის „უპრაგონოდ“ ჩეხვა.

ლეხნდა ამაშუკითაე

დედაჩემის დედა ოლია ამაშუკელი წარმოშობით სოფელი ამაშუკეთიდან იყო. ოლია ბებო პროფესიით პედაგოგი გახლდათ. პენსიაზე რომ გავიდა, შვილების აღზრდაში წაეშველა ჩვენს მშობლებს. ბებო მოგვისვამდა ხოლმე გვერდით და გვიკითხავდა ზღაპრებს, გვიყვებოდა საინტერესო ამბებს, თავისი ბავშვობის ისტორიებს, თქმულებებსა და ლეგენდებს. თან ისეთი მხატვრული გაფორმება იცოდა თხრობის დროს, რომ ბავშვები უშუალოდ იმ ამბის მომსწრედ წარმოვიდგენდით ხოლმე თავს. მეზობლებიც ხშირად უტოვებდნენ ბებოს თავიანთ შვილებს.

ერთხელ თავისი გვარის — ამაშუკელის და სოფელი ამაშუკეთის შესახებ ძალიან საინტერესო ლეგენდა გვიამბო:

თურმე საუკუნეების წინ, ძნელბედობის ჟამს, ხუთი ძმა ქიშვარდიანი სვანეთიდან აყრილა და მთა-მთა უვლიათ. მიადგნენ იმერეთის ერთ-ერთ ულამაზეს ადგილს და მთიდან გადმოუხედიათ. მოსწონებიათ მთის ძირში ერთი მყუდრო და ლამაზი ადგილი და უთქვამთ, ძმებო, ამაში უკეთესია, მოდი, აქ დავსახლდეთო. დასახლებულან და სოფლისათვის დაურქმევიათ ამაშუკეთი, ხოლო მათი შთამომავლები მას შემდეგ გამხდარან ამაშუკელები. ამაშუკეთი დღეისათვის იმერეთის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია. სოფელს ზემოდან კოზმანის წმინდა სალოცავი დასცქერის. სალოცავი სწრაფშემსენელი სასწაულმოქმედია და ჯანმრთელობასა და უშვილო ოჯახების გამრავლებას ევედრებიან მომლოცველები.

აბაპი ორი პროფესორისა ნამდვილი ამბავი

უნივერსიტეტში მამაჩემს სავლე წერეთელი უკითხავდა ფილოსოფიას.

ლექციებზე აუდიტორია გადაჭედილი იყო. ფანჯრის რაფებზეც ვერ ნახავდით თავისუფალ ადგილს. ბატონმა სავლემ, აი, რა უამბო სტუდენტებს ერთხელ: მეორე მსოფლიო ომის დროს ფრონტზე გაიწიეს თარჯიმნად, რადგან საუკეთესოდ იცოდა გერმანული ენა. ერთხელ გერმანელი ტყვე მიუყვანეს დასაკითხად. დასისხლიანებული და ნაცემი ტყვე საცოდავი შესახედავი იყო. სავლემ თავისი პირსახოცი მისცა და პირსაბანთან მიიყვანა. ტყვემ, თავი რომ მოინესრიგა, ამბის მოყოლა დაი-

წყო — იგი ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ყოფილა, ფილოსოფოსი და დღემდე არავინ მოეკლა და ვერც მოკლავდა. საუბარში ისე დაათენდათ, ვერც კი გაიგეს. მეორე დილით რუსი ოფიცერი შემოვიდა ტყვეს გასაყვანად. უნდა დაეხვრიტოთო, უთხრა სავლეს. მოკლედ, ყველა ღონე იმმარა სავლემ იმ ტყვეს გადასარჩენად და თავისას მიაღწია.

ტყვე პროფესორი იმ დღიდან სულ სავლეს გვერდით იყო. ქ. კენიგსბერგის ალემისას ბატონმა სავლემ ქალაქის ბიბლიოთეკაში გერმანელი ფილოსოფოსების წიგნები აღმოაჩინა და პოლკოვნიკს სთხოვა, ორი ვაგონი მომეცით წიგნების წასაღებადო. „რად გინდათ კაპიტალისტური ქვეყნის ფილოსოფოსებიო“ — იყო პასუხი. ბოლოს მაინც დაითანხმა პოლკოვნიკი, მაგრამ როდესაც ბიბლიოთეკასთან მივიდნენ, შენობა უკვე დაებომბათ და ცეცხლის ალში იყო გახვეული. სავლეს თვალზე ცრემლი მოადგა. გული დაწყდა უნიკალური ლიტერატურა რომ განადგურდა. ომი დამთავრდა. გავიდა წლები... ერთ დღეს ბატონ სავლეს უშიშროებიდან მიაკითხეს. ოჯახის წევრები შემფოთდნენ, სავლევ. უშიშროების წარმომადგენელი ეკითხება: „ბატონო სავლე, გერმანიაში რომ არ გაყავთ ნაცზობიო?“ სავლეს უცებ გაახსენდა გერმანელი პროფესორი.

აღმოჩნდა, რომ პროფესორ სავლე წერეთელს ბერლინის უნივერსიტეტიდან მოუვიდა იქაური პროფესორის მიწვევა. სპეციალური რეისით სასწრაფოდ გადააფრინეს ქართველი პროფესორი ბერლინში. იქ ნამდვილი სასწაული მოხდა. აეროპორტში გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს. წინ ის გერმანელი პროფესორი და მისი ოჯახის წევრები იდგნენ თაიგულებით, შემდეგ — პროფესორ-მასწავლებლები; ბოლოს — უნივერსიტეტის სტუდენტები. გერმანელმა პროფესორმა მათ სავლეზე მიუთითა და უთხრა, აი, ადამიანი, ვინც მე სიკვდილისგან მიხსნაო.

ბერლინელმა სტუდენტებმა აეროპორტიდან უნივერსიტეტამდე სულ ხელში აყვანილი ატარეს თურმე ბატონი სავლე.

მასპინძლებმა დიდი ნვეულება გაუმართეს სავლე წერეთელს წამოსვლისას. გერმანელმა პროფესორმა გაახსენა, კენიგსბერგში ბიბლიოთეკა რომ იწვოდა, შენ ტიროდი. გული არ დაგწყდეს, საუკეთესო წიგნებს გაჩუქებო.

მართლაც, ბატონი სავლე შინ ხელდამშვენებული დაბრუნდა — გერმანელმა კოლეგამ იგი უნიკალური წიგნებით დაასაჩუქრა. ნაწილი იმ წიგნებიდან ბატონმა სავლემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უსახსოვრა.

მოხუცი ბოზა დოკუმენტური მოთხრობა

ეს აბბაპი გასული საუკუნის 70-იან წლებში მოხდა.

ჯონდო წერეთელმა ფილოსოფიის ფაკულტეტი დაამთავრა, მაგრამ მოწოდებით პედაგოგი იყო. ალბათ ამიტომაც დაიწყო მუშაობა აღმზრდელად ბორჯომის ახალდაბის სკოლა-ინტერნატში. აღმზრდელ-მასწავლებლებს ხშირად უწევდათ ღამის მორიგეობა.

ბოშათა ბანაკი სტუმრობდა ხოლმე იმხანად ბორჯომის ხეობას. ჯონდოს ერთ-ერთი მორიგეობის დროს, გვიან საღამოს, ინტერნატს ორი ახალგაზრდა ბოშა მოადგა:

— ბატონო, ჩვენს მოხუც ბაბუას ჩაის დალევა უნდა, მაგრამ შაქარი გამოგვლევიო. დაბაში უკვე ყველა მაღაზია დაკეტლიო. თუ შეიძლება, ცოტა შაქარი მოგვცეთ. ბაბუ ლოგინად არის ჩავარდნილი. საჭიროველოში წამოსვლა რომ დავაპირეთ, გვთხოვა, ისე არ მინდა, მოგვკვდე, ერთხელ კიდევ რომ არ ვნახო საქართველოო. მას ეს თხოვნა შევუსრულეთ და ჩამოვიყვანეთ.

ჯონდომ ბიჭებს შაქარი გაატანა და ჩაფიქრდა — ნეტავ რა საიდუმლოს მალავს მოხუცი ბოშას გული? იქნებ ყმანვილკაციობისას უიმედოდ იყო ქართველ გოგოზე შეყვარებული? იქნებ ეს სიყვარული ცალმხრივი იყო, ან იქნებ გოგონასაც უყვარდა, მაგრამ მაწანწალა ბოშა ბიჭს ქალს ვინ გაატანდა... იქნებ, იქნებ...

მაინც რატომ მოუწევდა მოხუც ბოშას გული საქართველოსკენ... ვინ იცის...

ქორიპიტი ბრიალა, აქეთ-იქეთ ხშირ-ხშირად მოთამაშე თვალები, შევარდენი-ვით მახვილი მზერა, ბუსავით სმენა, მელი-ასავით ფაქიზი ყნოსვა და საკმაოდ ხმოვა-ნი, თუმცა ისევ მგელივით მაგარი მუხლი... არა, არ გეგონოთ ვინმე ბრგე ვაჟკაცს გაც-ნობდეთ, ეს ოთარაანთ თებროა. ჰო, ჰოო, ზუსტად, აი, იმ ოთარასი სიკვდილის პირას მყოფმა, თავის ერთადერთ საფიცარ ას-ულს, რომ დაუბარა — თუ გინდა სახლ-კარს ეღირსო, შენს ოჯახს შექმნა უნდა აღ-ირსოო!

ჩვენში დარჩეს და... თებროს ცოდვების გუდაში თუ ჩაგაჭყიტებთ, თვალნათლივ დაინახავთ, ბატონ ოთარზე ნაკლებად რო-დი უნდოდა თებროს არათითზე ოქროს ბე-ჭდის (როგორც თვითონ ეძახდა „კოლეც-ოს“) წამოცმა, მაგრამ მამის თხოვნაზე, რა-ღაცნაირად მაინც დაიმორცხვა და შეიმუშ-ნა.

— მიდი, შე ქალო, ცოტა აჩქარდი, თორ-ემა გადაიპენტე უშბასავითა და ეგაა! — რახან მარცხენა არ ემორჩილებოდა, მხო-ლოდ მარჯვენა ხელის ჰაერში გოროზად შეთამაშებას დასჯერდა ოთარი.

— რა ვქნა, მამიჯან, აბა, შენს გახარე-ბას, ბარემ ეგეც მითხარი. კაცი რა, მიტოს ვირი ხომ არაა, ეზოს გადაღმა გადავიდე და ცოლად გამოწყევი შემომყოფინოს!

— და რა იცი, რომ ვირი მაგასა ყო-ყინებს? — სქელ, თეთრ უღვაშებში ეშმა-კურად ჩაეღიმა ოთარს.

— ისეთი თვალებით მიყურებს, ისეთი-თაა... თან რამდენჯერაც მე დამინახავს. მა-ნამდის ჭკიანადაც რომ იყოს არა, აი, მემ-რის აცეტიდება და აცუნცრუკდება, მილ-იმის კიდევ ეგ პატრონ დასანავი ეგა, თი-თქოს თავს მანონებსო... — გაინაზა ლო-ყებშეფაკლული თებრო.

— ჰოო... მამა გიცხონდა... ისე არ დაკ-ვირვებიხარ, არა, დიდრონ ნაღვლიან თვა-ლებში არ ჩაგიხდია? იქნება სულაც მო-ჯადოებული პრინცია. შენ რომ ეძებდი ბა-ვშვობიდან მოყოლებული, იმ შენი კულა-ბიკა ზღაპრების გამოისობით! — ამას რომ ამბობდა, ბატონ ოთარს კაი გულიანი სიცილი სწყურდა, მაგრამ... ცალკე მტკი-ვანი ფერდები არ უშვებდნენ, ცალკე თე-ბროს გამოჯაფრების სურვილი ეძალეო-და... ჰოდა, ისეთი სერიოზული ხმით იძახ-და სათქმელს, მამის სიმკაცრეს ნაჩვევ თე-ბროს წამით არ შეჰპარვია ეჭვი, რომ მამა უბრალოდ ეხუმრებოდა.

ეგებ ეგრეც იყოს?... — სიტყვის უთქ-მელად შეფიქრიანდა თებრო, რომელსაც წამის მესამედში ხუთამდე დაწუნებული სა-სიძოს სახებამ ჩაუქროლა თვალნი.

აი, ის, პირველი, მეჩხერი თმა-კბილით და გრუზა უღვაშებით... საუღვამე თმა თავ-ზე რომ გაზრდოდა, მამის ვინ იცის, იქნებ კეკლუცა თებროს ქმრობას ღირსებოდა... ანდა ის მეორე, ყბედი და საქმე ძუნნი. სა-ქმეში ყოფილიყო გამრჯე და ხელმადლი-ანი, სიტყვების რახარუსსა და ფანტაზი — ძუნნი და... კი ენეოდა თებრო მესდროუ-ლად, მაგრამ... ეგჰ... ვაი, რომ ბესამე სას-იძოც არ იყო ლობიოს სარივით ტანაშვარ-თული თებროს შესაფერი. იმოდენა ღიპი ედო, იიმიდონა... ნარიჯისფერი ზედა, რომ ჩაეცვა გოგრა გეგონებოდა.

მეოთხეს და მეხუთეს ზუსტად ერთნა-ირი ნაკლი ჰქონდათ. დროსტარება და მუ-ცლის გაქორება იცოდნენ ნამეტნავად. ასე ლამიდან ლამემდე, დილიდან დილამდე... მარტო შოთების ცხოებაში უნდა განვლო ჩემი სიქორფე? არა, მარტო ვარვარა თო-ნემ უნდა ნახოს ჩემი ლამაზი სახის ნათე-ბა? ამას დასარტყნი ჭურჭლების მთებიც დაემატება და მორჩა, თებრო, ჩახურდა და ჩაიფერვლა შენი სილამაზე, ასე ფიქრობ-და მაშინ თებრო და ამავე ფიქრზე იდგა ამჟამადაც. თუმცა ხანდახან, განსაკუთ-რებით მაშინ, როცა მეზობლის ბავშვების ჭყვივლს გაიგებდა ან ქმრის უკან ადვენ-ებულ მეზობლისე ქალებს დაინახავდა, გულზე სევდა შემოწოლილი, ისე სხვათა შორის ჩაიბუტბუტებდა: რახან ცხოვრება „ვაი“ ყოფილა, ეგებ ამ „ვაის“ ისევ „ვუი“ ჯობდაო, მაგრამ გაქცეულ დროს, ისევე როგორც გაფრენილ ახალგაზრდობას, თე-



ნინო მზესელი

ჩემი ნუბეში...

ბრო ხომ ვერაფრით დაიბრუნებდა, თანაც მასავით უშვილძიროდ არცერთი სასიძო არ დარჩენილა. თებროს დაწუნებულებმა უცებვე იპოვეს მომწონებლები და თებროს ჯიბრზე სუყველამ ისეთი ქორწილები გა-დაიხადეს, მთელი სოფელი დიდხანს იყო ამ ამბების გამსხივებელი.

თუმცა თებროს ყველაზე მეტად მეხ-უთე სასიძო ენანებოდა. არა იმიტომ, რომ უყვარდა, უბრალოდ მეზობლად ცხოვრო-ბდა და ყველაზე ხშირად ასხენდებოდა.

არ უნდა გამეშვა ხელიდან! — ძილ-ბუ-რანში წაუფიქრებდა ხოლმე თებრო, მაშინ როცა სახლის აივანზე ან ეზოში მოფუსფუ-სე მახოს მოჰკრავდა თვალს.

უუფ, რა კარგია, რომ არ გაეყვითო! — სიხარულით ხტოდა თებრო მაშინ, როცა იმათი სახლიდან ჩხუბის და შეზარხოშებუ-ლთა შეხლა-შემოხლის ხმა გამოდიოდა.

რა კარგია, როგორც მინდა, რამდენიც მინდა, შემოიღია თბილად შეთბუნულმა ვიძინო. მინდაც წიგნი ვიკითხო, მინდაც ვი-ლილინო... აბა, მახოს ცოლივითა თეფშე-ბის ხეხვაში როდი დამათენდება! — ნიშნის მოგებით ამბობდა თებრო, მერე თითქოს ვინმე წართმევას უპირებდა, საბნის ყუას ხელებს ისე მაგრად მოუჭერდა და კმაყო-ფილი სახით თავის საყვარელ მარჯვენა გვერდზე გადაბრუნდებოდა.

ასე გადიოდა თებროს დღეები მამის ნათქვამ საბედისწერო სიტყვებამდე. მარ-თალია, ყმანვილი ქალი, კარგა ხანია, აღარ ეთქმოდა, მაგრამ ისეთი ალალი გული ჰქ-ონდა შემორჩენილი თებროს, გაგიკვირდ-ებათ და ზღაპრებისა დღემდე სჯეროდა. ახლაც რაღაცნაირად აეკვიატა მამის ფრა-ზა — ვირი შეიძლება მოჯადოებული პრინ-ცი იყოსო. აეკვიატა და მორჩა, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად ხვდებოდა, სის-უღელეზე ფიქრობდა, თებროს მაინც ჯი-



უტად ვირის პრინციობაზე ეფიქრებოდა: დილითაც, შუადღითაც, მერე უკვე ღამი-თაც... მოკლედ, შეატყო რა, ცუდად ჰქონ-და საქმე, თებრომ ყველაფრისთვის ერთი, მაგრამ კაი მსხვილი წერტილის დასმა გად-ანყვიტა.

უცხო თვალს რომ არ დაენახა და ისე-აც ქაქანა პირებს აქაქანების დამატებით მიზეზი არ მისცემოდათ, მეზობლის ეზო-ში შეპარვა და ბოძთან საბელით მიბმული ვირის თვალეში ჩახედვა თებრომ სუსხი-ან და, რაც მთავარია, უმთვარო ღამეს გად-ანყვიტა. ხელში ფანრიანი სანთებელა აი-ლო და შავ სამოსში შემოსილი, გზის ნათე-ბით ღამეს შეერია...

მიდის თებრო მიტოს ეზოსკენ, საცაა ჭიშკარსაც მიაღებდა და ეტყობა თავადვე უკვირს ასე უცნაურად რომ იქცევა. თავს კიცხავს და საყვედურობს, მაგრამ თით-ქმის მოსულია და უკან ხომ არ გამობრუნ-დება?!

— ეს რა მემართება ქა? არა, რა სისულ-ელეს ჩავდივარ! აბა, ერთი გვერდიდან შა-მახედა, ვინმეს მსგავსი რამ რომ ექნა ან თუნდაც მარტო ეთქვა, სიცილით გავბ-ჟირდებოდი, არ იქნებოდა ასე?

— ასე იქნებოდა, ასე! — თავის კითხ-ვას თავადვე გამოეპასუხა თებრო.

მაშ, მაშინ რაღამ გადამრია?! — მხრები აიჩჩა მიტოს ეზოსთან მისულმა და იმ იმ-ედით ეგებ ჭიშკარი ღია დარჩათო, ლომის თავის გამოსახულებიანი სახელური თავი-სკენ ძალიან ფრთხილად მოქაჩა. კარი არ გაიღო, სამაგიეროდ ეზოში მთელემარე ძა-ლლი გაავდა და ყეფა ატეხა.

— შენ კი დააკვირე პატრონს, ხმა გაიწყ-ვიტე სამგლე ქოფაკო! — ყეფის პასუხად ლობის იქეთ რამდენიმე კენჭი გადააგდო თებრომ, მაგრამ ამან ძალის კიდევ უფრო გაავეშა, ყეფას უმატა და მალე მთელ სო-

ფელს გააღვიძებდა, თებროს რომ არ ეყო-ჩალა და „ვაიდა ეს არის ის-ისთვის“ ანუ ვირისთვის წამოღებული სასუსნავიდან კაი მოზრდილი ლუკმა არ გადაეგდო.

ხელს, რომელიც აჭმევს, ძალისც არა კბენსო, ჰოდა, ქრთამის ჭამაში გართული მიტოს ძალისც უცებ გაყურდა.

თებრომ აქეთ-იქეთ მიიხედ-მოიხედა, შავი მოსასხამი შემოიძრო, წვერილი ყვავი-ლებით მოჩითული ჩითის კაბის კალთა მალა აინია და ლობის ყველაზე დაბალ მხარეზე გადაძვრა. პირდაპირ ვირის სამყოფელთან რომ აღმოჩნდა, გულაფან-ცქალეულ თებროს ეს უკვე კარგის ნი-შნად ემცნო. ისიც არ იყო ურიგო ნიშანი, რომ ვირს უდროო სტუმრის დანახვაზე არც ხმა გაუღია და არც ტლინკები აუყრ-ია, თუმცა ძილ გამტყდარმა ყურები რალაც საეჭვოდ კი შემართა.

— ჩემი ნუ გეში, ნუ... — ემანდ ყველაზე უშნო დროს არ ამიყროყინდესო, ვირის დამშვიდებას ცდილობდა, იქეთ დასამშვი-დებელი, გულაბაგიბუგებული თებრო.

აბა, ერთი თვალეში ჩამახედე, ეგება მართლაც შენა ხარ ჩემი ბედი და ჩემი ნუგ-ეში... — ხელში სანთებელა შეათამაშა თე-ბრომ და ფანარი ჯერ ისევ ძილით ამონის-ლულ თვალეში შეანათა პირუტყვს, რომე-ლიც იმ წამსვე ბევრ ადამიანზე პირმეტყ-ველი გახდა. დამფრთხალი ვირი მარტო ტლინკების ყრას და ყროყინს როდი სჯერ-დებოდა, საბელს ისეთი ძალით ექაჩებოდა, ცოტაც და აიწყებდა.

ისეთი რია-რია შეიქმნა, მკვდარივით მძინარე მიტოს კი არა, მართლა მკვდარს გააღვიძებდა.

თოფნაკრავივით წამოვარდა მიტო ზე-ზე. უჟამო სტუმრისთვის სამასპინძლოდ ნამდვილი თოფი მოიგდო გვერდზე და აი-ვანზე ვიშვიშით გაიჭრა.

— მიდი და დააჯერე ახლა, რომ ვირის მოსაპარად კი არა, ვირის თვალეში ჩასა-ხედად ვარ მოსული? — თავზე ბრაზი მოუ-ვიდა თებროს და იმ იმედით ვერ შემამჩნევ-სო, ლობის კუთხეში მიიყუჟა.

— რომელი ხარ მანდა! — დასჭექა, მა-გრამ რა დასჭექა მიტომ... — ხმა ამაილე, თორემა... — მუქარის ტონმა აშკარად იმა-ტა მასპინძლის ხმაში და ამ ხმას მალე ჩახ-მახის შეეყენების ხმამაც მისცა ბანი.

შეშინდა თებრო. მართლა სროლა არ ატეხოს ამ შეჩვენებულმაო და საცოდავი ხმით დაინიშნინა:

— ეს მე ვარ, მიტო, ოთარაანთ თებრო.

— თებრო არა! ვინ რეგვენი ხარ მაგ პა-ტიოსანი და მარგალიტივით გოგოს სახელს რომ ეფარები?! თებრონიას დაენაცვლოს მიტო, კია ცოტა ყინული, მარა... ან, შენა კი-დევაც მაგისთანა ლაჩრობისთვის, გეფი-ცები, ცოცხალი ვერ გამეპარები! — თქმა იმას არ ერქვა, უფრო ილრიალა მიტომ და ამ ღრიალს მალევე თოფის გრიალიც მოაყ-ოლა.

— გითხარი და მე ვარ! — სამალავიდან გამოხტა თებრო.

— შენა? მართლა შენა ხარ თებრონია?! თუ ეგრეა, მაშინ ჩემი ნუ გეში...

კიდევ კარგი, თებროს იმდენი ჭკუა მა-ინც ეყო, რომ იმ წელანდელი სიტყვების გაგონების შემდეგ, ვირის თვალეში ჩა-სახედად ვარ მოსულიო, ეს აღარ უთხრა მიტოს.

— იიი, რაღაცნაირად მომენატრე და... შენი ხვრინვის მოსასმენად მოვედი, — და-მორცხვებით წაილულულა და ძირს და-ხრილი წამნამები ნაზად ააფახულა თე-ბრომ.

— ამდენი წელია, შორიდან გეტრფი და... ამ შუალამით იმისთანა რა ბზიკმა გიკ-ბინა გოგო, როგორც იქნა თვალისა და რომ გამახედე, — თებროს სამკბილნაკლული ღიმილი შეაგება მიტომ.

იმ ღამეს თოფს დაცლა მაინც არ ასცდა, იმის შიშით, „ბზიკის ნაკებნმა“ ძალა არ და-კარგოს და თებრონია ისევ ძველებურად გაფხორილ ინდაურს არ დაემსგავსოსო — ხალხოო... ამ უქმეებზე ჩემს ქორწილში ჭამთ პურსა! — მიტომ, აი, ამის ძახილ-ძა-ხილით და თოფის სროლა-სროლით მთელი სოფელი ფეხზე დააყენა...

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს
კულტურის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის
სახელმწიფო ბიბლიოთეკარედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940

